

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2009, # 7

## ვალდებულებითი სამართალი (კერძო ნაწილი)

1. ქირავნობა
  - ნივთზე გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება გამქირავებლის მიერ
  - ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება
  - ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები
2. ქვეიჯარა
3. სესხის ხელშეკრულება
4. გადაზიდვის ხელშეკრულება
5. სადაზღვევო თანხის ანაზღაურება
6. საბანკო გარანტია
7. ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება
8. საზიარო უფლებები
  - საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას
  - წილთა თანაფარდობა
9. უსაფუძვლო გამდიდრება
  - ვითომ კრედიტორისაგან მოთხოვნის საფუძვლები
  - უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები

## 1. ქირავნობა

### ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები

#### განჩინება

#ას-840-1054-08

25 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: თანხის დაბრუნება

#### აღწერილობითი ნაწილი:

შპს „საბატელმა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „აჭარის ელექტროკავშირის“ მიმართ თანხის დაბრუნების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2003 წლის აგვისტოდან სარჩელის აღძვრამდე მოპასუხე მოსარჩელეს უკანონოდ ახდევინებდა შპს „საბატელის“ კუთვნილი საკაბელო წყვილებით სარგებლობის საფასურს, რის შესახებაც მხარემ არაერთხელ უშედეგოდ მიმართა შპს „აჭარის ელექტროკავშირს“. აღნიშნული ფაქტი დასტურდება 2006 წლის 18 აგვისტოს წერილით. 2003 წლის აგვისტოდან იანვრამდე შპს „საბატელს“ ზედმეტად დაერიცხა 3578,2 ლარი, 2004 წლის განმავლობაში -18301,7 ლარი, 2005 წლის განმავლობაში -13708,5 ლარი, 2006 წელს -13767 ლარი, ხოლო 2007 წელს -12196 ლარი. მოსარჩელე ვალდებული იყო, გადაეხადა არა საკაბელო წყვილებით სარგებლობისათვის განსაზღვრული ტარიფი, არამედ კაბელის კანალიზაციაში გატარებისათვის დადგენილი საფასური, შესაბამისად, დასახელებულ თანხებს შორის სხვაობამ შეადგინა 61551,4 ლარი, რაც, სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელემ ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ მას სადავო თანხა მოპასუხისათვის გადახდილი აქვს და აღნიშნულით შპს „აჭარის ელექტროკავშირი“ უსაფუძვლოდ გამდიდრდა. იმ შემთხვევაში, თუ შპს „საბატელი“ სადავო დარიცხულ თანხას უკანონოდ მიიჩნევდა, მას უფლება ჰქონდა, არ გადაეხადა იგი, მაგრამ გადაუხდეელი თანხის დაბრუნების შესაძლებლობას სამოქალაქო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით შპს „საბატელის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2003 წლის 20 თებერვალს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროსა და შპს „საბატელს“ შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც დარეგულირდა სამინისტროსა და შპს „საბატელის“ ურთიერთობასთან დაკავშირებული ტექნიკური და ფინანსური საკითხები. სამინისტრომ შპს „საბატელს“ გადასცა ქონება, მათ შორის, თავისუფალი სახაზო-საკაბელო წყვილები დროებით სარგებლობაში. ამავე ხელშეკრულებით შპს „საბატელმა“ აიღო ვალდებულება, გადაეხადა სამინისტროს კუთვნილი საკაბელო წყვილებით სარგებლობისათვის საიჯარო ქირა. აპელანტმა ვალდებულება იკისრა, დაეფარა არა საკუთარი წყვილებით სარგებლობისათვის საიჯარო ქირა, არამედ გადაეხადა კაბელის კანალიზაციაში გატარების საფასური, რაც საკაბელო წყვილებით სარგებლობისათვის საიჯარო ქირაზე ნაკლები იყო. მოგვიანებით, აღნიშნულ ხელშეკრულებაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს უფლებამონაცვლედ ჩართო შპს „აჭარის ელექტროკავშირი“. 2003 წლის აგვისტოში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროსა და შპს „საბატელს“ შორის ზეპირი ფორმით დაიდო 11174 მეტრი კაბელის ნასყიდობის ხელშეკრულება. კაბელების შესაძენად აპელანტს სამინისტროსათვის უნდა გადაეხადა 91637,84 ლარი, თუმცა მას აღნიშნული თანხა არ გადაუხდია. 2004 წლის 14 სექტემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის პირველმა მოადგილემ შპს „საბატელის“ დირექტორს მისწერა წერილი, სადაც მიუთითა, რომ კაბელების აპელანტისათვის მიყიდვა იყო არასწორი და კაბელები ექსპლუატაციისათვის გადაეწერა ქ.ბათუმის სატელეფონო ქსელს. 2006 წლის 16 თებერვალსა და იმავე წლის 10 ოქტომბერს მხარეთა შორის შედგა შეთანხმების ოქმები, რომლითაც აპელანტმა აიღო ვალდებულება, სრულად დაეფარა არსებული დავალიანება შპს „აჭარის ელექტროკავშირის“ მიმართ თანდართული გრაფიკის მიხედვით. ამ ოქმებით აღიარებულ დავალიანებაში შედიოდა აპელანტის მიერ 2003

წლის აგვისტოში შეძენილი კაბელებით სარგებლობისათვის გადასახდელი საიჯარო ქირაც. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ დავაში მნიშვნელოვანი იყო გარკვეულიყო, თუ ვინ წარმოადგენს სადავო საკაბელო წყვილების მესაკუთრეს, ვინაიდან, აპელანტის განმარტებით, 2003 წლის აგვისტოში მან კაბელები შეიძინა და ამიტომ, მოწინააღმდეგე მხარისათვის უნდა გადაეხადა არა საიჯარო ქირა საკაბელო წყვილებით სარგებლობისათვის, არამედ -კაბელის კანალიზაციაში გატარების საფასური, სხვაობა მათ შორის შეადგენდა 12196 ლარს და ამ ოდენობით შპს „აჭარის ელექტროკავშირი“ უსაფუძვლოდ გამდიდრდა. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო დაწესებულება, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, შესაბამისად, არ წარმოადგენდა იურიდიული პირს და მის გამგებლობაში არსებული ქონება ეკუთვნოდა სახელმწიფოს. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ 2003 წლის აგვისტოში სამინისტროს მიერ ზეპირი ხელშეკრულებით გასხვისებული კაბელები წარმოადგენდა სახელმწიფოს საკუთრებას და ამ გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელი იყო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვა. გარიგების დადების შედეგად სახელმწიფომ დაკარგა საკუთრების უფლება კუთვნილ ქონებაზე და ამ ქონებაზე საკუთრება გადაეცა კერძო სამართლის იურიდიულ პირს, ამდენად სადავო კაბელების გასხვისებით მოხდა სახელმწიფო ქონების პრივატიზება. სასამართლომ იხელმძღვანელა გარიგების დადების დროისათვის მოქმედი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონის მე-2 პუნქტით და ჩათვალა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრი არ იყო უფლებამოსილი, ერთპიროვნულად გაესხვისებინა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონება. ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს დებულების 4.1 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტრო უფლებამოსილი იყო, მიეღო გადაწყვეტილებები ძირითადი საშუალებების გადაცემის თაობაზე, მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვის სამინისტროსთან შეთანხმებით, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტმა 2003 წლის აგვისტოში კაბელების შეძენის თაობაზე გარიგება დადო არაუფლებამოსილ პირთან და სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 111-ე მუხლის საფუძველზე იგი ბათილია; მან არ წარმოშვა გარიგებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი და აპელანტი კაბელების მესაკუთრე არ გამხდარა. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო სახელმწიფო ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილიც რომ ყოფილიყო, ეს ხელშეკრულება მაინც ბათილი იქნებოდა კანონით დადგენილი ფორმის დაუცველობის გამო, ვინაიდან საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ ითვალისწინებდა სახელმწიფო ქონების პრივატიზებას კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვისა და პირდაპირის მიყიდვის ფორმებით. კონკურსის, აუქციონისა და პირდაპირი მიყიდვის შემთხვევაში, კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი ადგენდა პრივატიზაციის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებას, ხოლო იჯარა-გამოსყიდვის წესით ქონების პრივატიზებისას -ხელშეკრულების მარტივი წერილობითი ფორმით შედგენას. ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის ზეპირი სახით დადებულ ხელშეკრულებას სამართლებრივი შედეგები არ მოჰყოლია. პალატის მოსაზრებით, აპელანტი კაბელების მესაკუთრედ ვერ ჩაითვლებოდა იმ შემთხვევაშიც, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო კაბელების გასხვისებაზე უფლებამოსილიც რომ ყოფილიყო და ხელშეკრულება ფორმის დაცვით დადებულად ჩათვლილიყო, რადგან დადგენილია, რომ აპელანტს შეძენილი კაბელების საფასური სამინისტროსათვის არ გადაუხდია და ამის გამო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს 2004 წლის 14 სექტემბერს ხელშეკრულება მოიშალა. სასამართლომ მიიჩნია, რომ 2006 წლის 16 თებერვლისა და იმავე წლის 10 ოქტომბრის შეთანხმების ოქმებით, შპს „საბატელმა“ აიღო რა ვალდებულება, სრულად დაეფარა არსებული, მათ შორის, კაბელებით სარგებლობისათვის გადასახდელი საიჯარო ქირის დავალიანება შპს „აჭარის ელექტროკავშირის“ მიმართ, ფაქტობრივად, აპელანტი ხელშეკრულების მოშლას დაეთანხმა. სასამართლოს მოსაზრებით, ხელშეკრულებიდან გასვლა და მისი მოშლა არის ნების გამოვლენა, გარიგება და მხარეთა შორის დადებული ზემოხსენებული გარიგებით მათ შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება მოიშალა და ხელშეკრულების საგანი ისევ გამსხვისებლის საკუთრებაში გადავიდა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პალატამ დაადგინა, რომ სადავო საკაბელო წყვილები არ წარმოადგენდა და არც წარმოადგენს აპელანტის საკუთრებას, ისინი ეკუთვნის შპს „აჭარის ელექტროკავშირს“ და აპელანტს სავსებით საფუძვლიანად ეკისრება ამ წყვილებით სარგებლობისათვის საიჯარო ქირის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს „საბატელმა“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნა-

წლის და 111-ე მუხლი, როდესაც კაბელების შექმნის თაობაზე დადებული გარიგება შპს „საბატელსა“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს შორის ბათილად მიიჩნია. ფაქტობრივად სამინისტრომ გაასხვისა არა სახელმწიფოს, არამედ -თავისი ქონება, რაც დასტურდება 2004 წლის 26 მარტის ა-70 #083223 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით, სადაც გამყიდველად მითითებულია სამინისტრო და არა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. სამინისტრო სადავო გარიგებაზე არაუფლებამოსილი რომც ყოფილიყო, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ შპს „საბატელი“, სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის შესაბამისად, კეთილსინდისიერ შემძენს წარმოადგენდა. სააპელაციო პალატამ არასწორად მიუთითა სამინისტროს დებულების 4.1 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტზე, ვინაიდან აღნიშნული ნორმა ეხება სამინისტროს ძირითადი საშუალებების, სადავო კაბელები კი იყო ახალი, გამოუყენებელი. ამდენად, იმ მომენტისათვის მოქმედი საგადასახადო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად, ძირითად საშუალებად ვერ ჩაითვლებოდა. სასამართლომ მინისტრის მოადგილის 2004 წლის 14 სექტემბრის წერილის საფუძველზე არასწორად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის გარიგება მოიშალა, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში დაცული არ ყოფილა სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლით განსაზღვრული პირობები. ამდენად, გარიგების მოშლისათვის მხარის მიერ მართოდ ნების გამოვლენა საკმარისი არ არის. ამასთან, მითითებული წერილის საფუძველზე შპს „საბატელს“ რაიმე სამართლებრივი მოქმედება არ განუხორციელებია და თავისი ნება არ გამოუხატავს, რაც აუცილებელი იყო გარიგების მოსაშლელად. ამასთან, აღნიშნული წერილით ნების გამოხატვა საეჭვოა, რადგან მას ხელს აწერს მინისტრის მოადგილე. სასამართლომ არასწორად ჩათვალა, რომ ზემოხსენებული წერილის მიწერიდან 2 წლის შემდეგ 2006 წლის 16 თებერვლისა და 10 ოქტომბრის შეთანხმების ოქმებზე ხელმოწერა წარმოადგენდა შპს „საბატელის“ მიერ ხელშეკრულების მოშლაზე თანხმობის გამოხატვას. ამ შეთანხმებაში კაბელის დაბრუნებაზე არაფერია ნათქვამი. სამინისტროს არ უცდია კაბელების დაბრუნება, საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის მე-3 ნაწილით დაკისრებული ვალდებულება არ შეუსრულებია და ანგარიშ-ფაქტურები ბათილად არ უცვნიან. ამდენად, შპს „საბატელი“ სამინისტროს ნებას გარიგების მოშლასთან დაკავშირებით სერიოზულად ვერ აღიქვამდა. აღსანიშნავია, რომ მოწინააღმდეგე მხარემ ზუსტად ვერ დაასახელა სადავო კაბელის მისთვის დაბრუნების თარიღი და 2004 წლის 14 სექტემბრის ნაცვლად, მიუთითა 2005 წლის სექტემბერი.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2003 წლის 20 თებერვალს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროსა და შპს „საბატელს“ შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც დარეგულირდა სამინისტროსა და შპს „საბატელის“ ურთიერთობასთან დაკავშირებული ტექნიკური და ფინანსური საკითხები. სამინისტრომ შპს „საბატელს“ გადასცა ქონება, მათ შორის, თავისუფალი სახაზო-საკაბელო წყვილები დროებით სარგებლობაში. ამავე ხელშეკრულებით შპს „საბატელმა“ აიღო ვალდებულება, გადაეხადა სამინისტროს კუთვნილი საკაბელო წყვილებით სარგებლობისათვის საიჯარო ქირა. აპელანტმა ვალდებულება იკისრა, დაეფარა არა საკუთარი წყვილებით სარგებლობისათვის საიჯარო ქირა, არამედ გადაეხადა კაბელის კანალიზაციაში გატარების საფასური, რაც საკაბელო წყვილებით სარგებლობისათვის საიჯარო ქირაზე ნაკლები იყო. მოგვიანებით, აღნიშნულ ხელშეკრულებაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს უფლებამონაცვლედ ჩაერთო შპს „აჭარის ელექტროკავშირი“. 2003 წლის აგვისტოში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროსა და შპს „საბატელს“ შორის ზეპირი ფორმით დაიდო 11174 მეტრი კაბელის ნასყიდობის ხელშეკრულება. კაბელების შესაძენად აპელანტს სამინისტროსათვის უნდა გადაეხადა 91637,84 ლარი, თუმცა მას აღნიშნული თანხა არ გადაუხდია. 2004 წლის 14 სექტემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის პირველმა მოადგილემ შპს „საბატელის“ დირექტორს მისწერა წერილი, სადაც მიუთითა, რომ კაბელების აპელანტისათვის მიყიდვა იყო არასწორი და კაბელები ექსპლუატაციისათვის გადაეწერა ქ.ბათუმის სატელეფონო ქსელს. 2006 წლის 16 თებერვალსა და იმავე წლის 10 ოქტომბერს მხარეთა შორის შედგა შეთანხმების ოქმები, რომლითაც აპელანტმა აიღო ვალდებულება, სრულად დაეფარა არსებული დავალიანება შპს „აჭარის ელექტროკავშირის“ მიმართ თანდართული გრაფიკის მიხედვით. ამ ოქმებით აღიარებულ დავალიანებაში შედიოდა აპელანტის მიერ 2003 წლის აგვისტოში შექმნილი კაბელებით სარგებლობისათვის გადასახდელი საიჯარო ქირაც.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნია, რომ შპს „საბატელის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონით მითითებული დარღვევა არ არსებობს და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ, მხარეთა შორის 2003 წლის აგვისტოს წარმოშევა ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ძალითაც კასატორს მოწინააღმდეგე მხარემ გადასცა კაბელე-ბი, ხოლო შპს "საბატელი" ვალდებული იყო, გადაეხადა ნასყიდობის საგნის შეთანხმებული ღირებულება.

სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. თუ ხელშეკრულებაში ფასი პირდაპირ არ არის მითითებული, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მისი განსაზღვრის საშუალებებზე. ამავე კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო და კასატორს სადავოდ არ გაუხდია (უფრო მეტიც, საკასაციო სასამართლოს სხდომაზე დაადასტურა), რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულება მას არ შეუსრულებია - თანხა კრედიტორისათვის არ გადაუხდია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ შპს "აჭარის ელექტროკავშირს" სადავო ხელშეკრულება არ მოუშლია.

სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარღვევით ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი, ხოლო ამავე კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება).

აღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, კრედიტორი აღჭურვილია უფლებით, კონტრაჰენტის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მოშალოს ხელშეკრულება. იმ შემთხვევაში, თუკი მოვალე არ ეთანხმება ხელშეკრულების მოშლას, მას შეუძლია სადავო გახადოს ეს ფაქტი. მოცემულ შემთხვევაში კრედიტორის ნება ხელშეკრულების მოშლაზე დადგენილია, რაც მოვალეს - შპს "საბატელს" სადავოდ არ გაუხდია.

უსაფუძვლოა კასატორის არგუმენტი, რომ ხელშეკრულების მოშლის დამადასტურებელ მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს 2004 წლის 14 სექტემბრის წერილი და მას გასაჩივრებული განჩინებით არასწორი შეფასება მიეცა. კასატორი სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ მითითებული წერილის შინაარსი მისთვის ცნობილი იყო. რაც შეეხება კასატორის მითითებას, რომ წერილი ბუნდოვანია და არ შეიძლება შეწყვიტა უკვე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა, დაუსაბუთებელია, ვინაიდან მასში აშკარად გამოკვეთილია ნასყიდობის ხელშეკრულების მოშლის ნება. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო უთითებს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა, სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლის თანახმად, ხდება მეორე მხარისთვის შეტყობინებით. ხელშეკრულების მოშლა თავისი არსით არის ცალმხრივი ნების გამოვლენა, რომლის ნამდვილობისთვისაც კანონი (სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილი) ითვალისწინებს მეორე მხარის მიერ მის მიღებას. კასატორის არგუმენტაციის საწინააღმდეგოდ, ხელშეკრულების მოშლის ნების ნამდვილობა არ არის დამოკიდებული მეორე მხარის მიერ რაიმე ქმედების განხორციელებაზე და ასეთ დათქმას კანონი არც ითვალისწინებს, ვინაიდან თუკი არსებობს ხელშეკრულების მოშლის საფუძვლები, კრედიტორი არ შეიძლება დამოკიდებული იყოს მოვალის ნებაზე.

ასევე უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება, რომ ზემოხსენებული წერილის გაგზავნიდან ორი წლის შემდეგ შეთანხმების ოქმებზე კასატორის ხელმოწერა სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია შპს "საბატელის" მიერ ხელშეკრულების მოშლაზე თანხმობად, ვინაიდან შეთანხმების ოქმებში არაფერია ნათქვამი სატელეფონო კაბელის დაბრუნებაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით სრულიად ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნებს და მიიჩნევს, რომ კასატორის ზემოაღნიშნული მოსაზრება მტკიცებულების არასწორად შეფასების თაობაზე არ წარმოადგენს დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიას. მოდავე მხარეთა მიერ 2006 წლის 16 თებერვალს ხელმოწერილი შეთანხმების ოქმის პირველი პუნქტით განისაზღვრა შეთანხმების საგანი და მიეთითა, რომ შეთანხმება მოიცავს ამ შეთანხმების მიღწევამდე პერიოდში მხარეთა შორის წარმოშობილი ვალდებულებების განსაზღვრას. ამავე შეთანხმების მეორე პუნქტით კი მხარეები თანხმდებიან, რომ ეს შეთანხმება აუქმებს მხარეთა შორის სიტყვიერი თუ წერილობითი ფორმით მიღწეულ ყველა დანარჩენ შეთანხმებას, გარიგებასა და ხელშეკრულებას, გარდა 2005 წლის 23 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულებისა და ამ შეთანხმების შემდეგ აღმოჩენილ ახალ გარემოებას არა აქვს იურიდიული ძალა და გამოიყენება ეს შეთანხმება. შეთანხმების ოქმიდან ციტირებული პირობა ცალსახად გამორიცხავს საკასაციო საჩივრის არგუმენტაციას სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობის თაობაზე, ვინაიდან თვით კასატორის მიერ ხელმოწერილი ზემოხსენებული პირობით დადასტურებულია შპს "საბატელის" დამოკიდებულება შეთანხმებამდე არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებისადმი, მათ შორის, სადავო გარიგებისადმი. ამასთან, აღნიშნული შეთანხმება მინისტრის მოადგილის 2004 წლის სექტემბრის წერილის არარსებობის შემთხვევაშიც საკმარის საფუძველს წარმოადგენს მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების მოშლილად მიჩნევისათვის.

ამდენად, გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ სავსებით სწორად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის ნასყიდობის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა მოიშალა, შესაბამისად, ვინაიდან შპს "საბატელის" სასარჩელო მოთხოვნის საფუძველს ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგენს, სასამართლომ მართებულად არ დააკმაყოფილა იგი.

საკასაციო სასამართლო უთითებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად მიიჩნია ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად, მაგრამ აღნიშნული ვერ გახდება გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

შპს "საბატელის" საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება**

#### **განჩინება**

#ას-344-663-09

22 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),**

**ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),**

**ლ. ლაზარაშვილი**

**დავის საგანი:** ხელშეკრულების შეწყვეტა, თანხის დაბრუნება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გ. ა-შვილმა და ა. ნ-ძემ სარჩელი აღძრეს სასამართლოში შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისა და წინასწარ გადახდილი ქირის უკან დაბრუნების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1992 წელს მოსარჩელეებსა და საქართველოს რკინიგზის მუშათა მომარაგების სავაჭრო საწარმოო გაერთიანებას შორის დაიდო ქირავნობის ხელშეკრულება, რომლითაც გამქირავებელმა, მოპასუხემ ვალდებულება იკისრა, მოსარჩელეებისათვის სარგებლობის უფლებით გადაეცა მის ბალანსზე რიცხული წყნეთის დასასვენებელი სახლის ბინები 10 წლის ვადით, დამქირავებლებს კი უნდა გადაეხადათ შეთანხმებით გათვალისწინებული ქირა. მოსარჩელეებს ნება დაერთოთ, ჩაეტარებინათ ბინებისათვის როგორც მიმდინარე, ისე კაპიტალური რემონტი,

რომლის ღირებულებაც ჩათვლებოდა ბინის ქირაში. მოსარჩელებმა ოთახებს ჩაუტარეს კაპიტალური რემონტი, კეთილმოაწყვეს ავეჯით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირა გადაიხადეს წინასწარ. მიუხედავად ამისა, მოსარჩელებს ოთახებით სარგებლობის საშუალება მიეცათ მხოლოდ ორი წლის განმავლობაში, 1994 წლის დასაწყისამდე. ამის შემდეგ ბინები დაიკავეს დევნილებმა. რადგან დამქირავებლებმა, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ შეძლეს ბინებით სარგებლობა, ბინის ქირა კი გადახდილი ჰქონდათ სრულად, გამქირავებლის უფლებამონაცვლე შპს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალის თბილისის მე-4 სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციამ 2002 წელს განახლა ქირავნობის ხელშეკრულება და ქირავნობის ვადა გაგრძელდა 8 წლით, ხოლო მოსარჩელების მიერ უკვე გადახდილი ქირა დამატებით განისაზღვრა თვეში 54 ლარის, წელიწადში 648 ლარის ოდენობით. მოპასუხემ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, სამოქალაქო კოდექსის 533-ე, 534-ე მუხლების მოთხოვნები და ვერ უზრუნველყო დამქირავებლებისათვის უნაკლო ქირავნობის საგნის გადაცემა. ამდენად, ქირავნობის ხელშეკრულება უნდა შეწყდეს და 8 წლის ქირის საფასური თითოეულისათვის -5184 ლარი დაუბრუნდეთ მოსარჩელებს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: გამქირავებელმა ხელშეკრულება შეასრულა, მოსარჩელებს სარგებლობაში გადასცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოთახები უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო და მოსარჩელებმა ამ ოთახებით შეუზღუდავად ისარგებლეს 1994 წლამდე, ხოლო 1994 წელს, მოპასუხისაგან, დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ამ ბინებში შეიჭრნენ აფხაზეთიდან დევნილები, რაშიც მოპასუხეს ბრალი არ მიუძღვის. 2002 წლის 17 აგვისტოს მხარეებს შორის 8 წლის ვადით დაიდო ახალი ხელშეკრულება, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, ბინა დაკავებული აქვთ აფხაზეთიდან დევნილებს, რაზეც მოსარჩელებს პრეტენზია არ განუცხადებიათ. შესაბამისად, მათთვის ცნობილი იყო ქირავნობის საგნის უფლებრივი ნაკლის თაობაზე. ამდენად, მოპასუხეს ქირავნობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ დაურღვევია. რაც შეეხება მოსარჩელეთა მიერ წინასწარ გადახდილი თანხების ოდენობის განსაზღვრას, საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ ა. ნ-ძის მიერ 108 000 და 2370 მანეთის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, გ. ა-შვილის მიერ ქირის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი კი არაა წარმოდგენილი. 1993 წელს ქვეყანაში განხორციელდა ფულად-საკრედიტო რეფორმა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 24 მარტის #246 დადგენილებით „საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში საქართველოს ეროვნული ბანკის კუპონების გამოშვების შესახებ“ ეროვნულმა ბანკმა მიმოქცევაში გამოუშვა კუპონი და თანაფარდობა კუპონსა და მანეთს შორის განისაზღვრა ერთი-ერთზე, შემდგომ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 16 სექტემბრის #363 ბრძანებით ახალ ეროვნულ ვალუტად გამოცხადდა ლარი და კუპონის ლარზე გადაცვლის კურსი განისაზღვრა შეფარდებით 1000000 კუპონი 1 ლართან, ამრიგად, ა. ნ-ძის მიერ გადახდილი 108 000 მანეთი ერთი ლარიც კი არ გამოდის, მოსარჩელე კი მოითხოვს 5184 ლარის უკან დაბრუნებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა, გ. ა-შვილისა და ა. ნ-ძის სარჩელები დაკმაყოფილდა, შეწყდა მოსარჩელებსა და შპს „საქართველოს რკინიგზას“ შორის 2002 წლის 17 აგვისტოს წყნეთის დასასვენებელი სახლის მე-7 კორპუსში მდებარე #40 და #42 ბინებზე დადებული ქირავნობის ხელშეკრულება და შპს „საქართველოს რკინიგზას“ თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 5184 ლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1992 წლის 20 ივლისს ა. ნ-ძესა და საქართველოს რკინიგზის მუშათა მომარაგების სავაჭრო საწარმოო გაერთიანებას შორის დაიდო ქირავნობის ხელშეკრულება, რომლითაც მოპასუხემ იკისრა ვალდებულება, გადაეცა მოსარჩელისათვის გამქირავებლის ბალანსზე რიცხული წყნეთის და-შვენებელი სახლის მე-7 კორპუსში მდებარე #42 ბინა, რომელიც დამქირავებელს ხელშეკრულების ხელმოწერის დროისათვის დაკავებული ჰქონდა. ბინის ქირა განისაზღვრა თვეში 9 000 მანეთით. დამქირავებელი ვალდებული იყო, ჩაეტარებინა ბინისათვის კაპიტალური რემონტი გამქირავებელთან შეთანხმებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, შესრულებული სამუშაოების ღირებულება კი ჩაითვლებოდა ბინის ქირაში. 1992 წლის 20 სექტემბერს საქართველოს რკინიგზის მუშათა მომარაგების სავაჭრო საწარმოო გაერთიანებასა და გ. ა-შვილს შორის დაიდო ანალოგიური შინაარსის ხელშეკრულება წყნეთის დასასვენებელი სახლის მე-7 კორპუსში მდებარე #40 ბინაზე. მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ მოსარჩელებმა ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული ბინებით ისარგებლეს 1994 წლამდე, სანამ ბინებს იძულებით გადაადგილებული პირები დაიკავებდნენ. 2002 წლის 17 აგვისტოს მოსარჩელებსა და

შპს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ თბილისის მე-4 სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც 1992 წელს დადებული ქირავნობის ხელშეკრულების ვადა გაგრძელდა 8 წლით, რადგან მოსარჩელებმა ვერ შეძლეს გადაცემული ბინებით სარგებლობა 8 წლის განმავლობაში ბინების დევნილთა მიერ დაკავების გამო, 10 წლის ქირა კი უკვე გადახდილი ჰქონდათ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული რვაწლიანი ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო დამქირავებლის მიერ ბინების დაკავების შემდეგ. პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებში მოპასუხებმა დაადასტურეს მხარეთა შორის 2002 წლის 17 აგვისტოს დადებული ხელშეკრულების ნამდვილობა და კანონიერება. აღნიშნული ხელშეკრულების მე-2 მუხლით მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოქირავნების მიერ 10 წლის ქირა გადახდილი იყო. ბინის ქირა განისაზღვრა თვეში 54 ლარით, წელიწადში 648 ლარის ოდენობით. ხელშეკრულების მე-2 პუნქტის საფუძველზე სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ მხარეთა შორის დადებული თავდაპირველი გარიგებიდან გამომდინარე, გაფორმდა ახალი ქირავნობის ხელშეკრულება და დამქირავებელს 8 წლის ქირა - 5184 ლარი ჩაეთვალა წინასწარ გადახდილად. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 541-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში დამქირავებელი ნივთის ფლობას ვერ ახორციელებს მასში იძულებით გადაადგილებულ პირთა განთავსების გამო, შესაბამისად, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მას ხელშეკრულების მიმართ არანაირი ინტერესი არ გააჩნია. პალატის მოსაზრებით, ხსენებული ნორმიდან გამომდინარე, მოსარჩელები უფლებამოსილები არიან, უარი განაცხადონ ხელშეკრულებაზე. სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის საფუძველზე პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში 2002 წლის 17 აგვისტოს ხელშეკრულების მე-2 პუნქტით შპს „საქართველოს რკინიგზის“ განმარტების თანახმად, დამქირავებელთა მიერ გადახდილი ქირა წელიწადში 648 ლარის ეკვივალენტია, რაც 8 წლის განმავლობაში 5184 ლარს შეადგენს. შესაბამისად, შპს „საქართველოს რკინიგზას“ წარმოეშვა სადავო თანხის უკან დაბრუნების ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „საქართველოს რკინიგზამ“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სრულყოფილად და ობიექტურად არ გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები, არასწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები, რის შედეგად გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად დასაბუთებული არ არის. სასამართლომ დავის გადაწყვეტის დროს სამართლებრივად არ შეაფასა ის გარემოება, რომ 1992 წელს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელები (დამქირავებლები) შეუზღუდავად სარგებლობდნენ საიჯარო ქონებით 1994 წლამდე. მოსარჩელები იმთავითვე აღიარებდნენ, რომ 1992 წლიდან ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე დამქირავებელმა სამოქალაქო კოდექსის 531-ე მუხლის თანახმად, დროულად გადასცა მათ ქირავნობის საგანი და ადასტურებდნენ, რომ 1994 წლამდე შეუზღუდავად ფლობდნენ მას. ამდენად, შპს „საქართველოს რკინიგზას“ სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმები არ დაურღვევია. კეთილსინდისიერად და დროულად შეასრულა დამქირავებლის მოვალეობა, ხელშეკრულების დადებისთანავე, 1992 წელს, დროულად გადასცა დამქირავებლებს ქირავნობის საგანი და მათი უფლებები არც შემდგომ შეულახავს. 1994 წელს მათ მიერ დაქირავებულ ბინებს დაეუფლნენ იძულებით გადაადგილებული პირები, რაშიც შპს „საქართველოს რკინიგზას“, როგორც დამქირავებელს, ბრალი არ მიუძღვის. სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 541-ე მუხლის პირველი ნაწილი, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 575-ე მუხლი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. მოსარჩელებს, როგორც დამქირავებლებს, გააჩნიათ დაქირავებულ ნივთზე მესაკუთრის ტოლფასი უფლება და, როგორც მართლზომიერ მფლობელებს, სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის საფუძველზე, შეეძლოთ არამართლზომიერი მფლობელებისგან - იძულებით გადაადგილებული პირებისგან მოეთხოვათ უკანონო ხელშეშლის აღკვეთა, რაც მათ არ განუხორციელებიათ. სასამართლომ ასევე არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი და არ გაურკვევია, თუ რატომ არ მოახდინეს მოსარჩელებმა უკანონო ხელყოფისაგან ქირავნობის საგნის დაცვა. სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად მიუთითა მხარეებს შორის 2002 წლის 17 აგვისტოს დადებულ ხელშეკრულებაზე, მაგრამ სამართლებრივად არ შეაფასა საქმისათვის უმნიშვნელოვანესი გარემოება, რომ 2002 წლის 17 აგვისტოს ხელშეკრულების დადების დროს მოსარჩელებისათვის ცნობილი იყო იძულებით გადაადგილებულ პირთა მიერ ქირავნობის ნივთით კვლავაც უკანონო ფლობის თაობაზე და აღნიშნულზე პრეტენზია არ განუცხადებიათ. რაც შეეხება სასამართლოს მიერ მითითებულ იმ გარემოებას, რომ მოსარჩელებს წინასწარ ჰქონდათ გადახდილი 10 წლის ქირა, სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნა დაარღვია, ყოველმხრივ სრულად და ობიექტურად არ გამოიკ-



ვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები. საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ ა. ნ-ძის მიერ 1993 წლის იანვარში გადახდილი #26, #27 ქვითრები სულ 110,370 მანეთზე. სასამართლოს არ გამოუკვლეოვია ის გარემოება, რომ 1992 წლის 20 ივლისის ქირავნობის ხელშეკრულების მე-2 პუნქტის თანახმად, წყნეთის და-შვენებელი სახლის ბინის ქირა თვეში შეადგენდა 9000 მანეთს, ა. ნ-ძეს სულ გადახდილი აქვს დაახლოებით წელიწადისა და ერთი თვის ქირა, ხოლო გ. ა-შვილის მიერ ქირის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში წარმოდგენილი არ არის.

მოცემულ საქმეზე დადგენილია და კასატორს სადავოდ არ გაუხდია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1992 წლის 20 ივლისს ა. ნ-ძესა და საქართველოს რკინიგზის მუშათა მომარაგების სა-ვაჭრო საწარმოო გაერთიანებას შორის დაიდო ქირავნობის ხელშეკრულება, რომლითაც მოპასუხემ იკისრა ვალდებულება, გადაეცა მოსარჩელისათვის გამქირავებლის ბალანსზე რიცხული წყნეთის და-შვენებელი სახლის მე-7 კორპუსში მდებარე #42 ბინა, რომელიც დამქირავებელს ხელშეკრულების ხელმოწერის დროისათვის დაკავებული ჰქონდა. ბინის ქირა განისაზღვრა თვეში 9 000 მანეთით. დამქირავებელი ვალდებული იყო, ჩაეტარებინა ბინისათვის კაპიტალური რემონტი გამქირავებელთან შეთანხმებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, შესრულებული სამუშაოების ღირებულება კი ჩაითვლებოდა ბინის ქირაში. 1992 წლის 20 სექტემბერს საქართველოს რკინიგზის მუშათა მომარაგების სავაჭრო საწარმოო გაერთიანებასა და გ. ა-შვილს შორის დაიდო ანალოგიური შინაარსის ხელშეკრულება წყნეთის დასასვენებელი სახლის მე-7 კორპუსში მდებარე #40 ბინაზე. მოსარჩელეებმა ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული ბინებით ისარგებლეს 1994 წლამდე, სანამ ბინებს იძულებით გადაადგილებული პირები დაიკავებდნენ. 2002 წლის 17 აგვისტოს მოსარჩელეებსა და შპს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ თბილისის მე-4 სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც 1992 წელს დადებული ქირავნობის ხელშეკრულების ვადა გაგრძელდა 8 წლით, რადგან მოსარჩელეებმა ვერ შესძლეს გადაცემული ბინებით სარგებლობა 8 წლის განმავლობაში ბინების დევნილთა მიერ დაკავების გამო, 10 წლის ქირა კი უკვე გადახდილი ჰქონდათ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული რვაწლიანი ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო დამქირავებლის მიერ ბინების დაკავების შემდეგ.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებული დარღვევა არ არსებობს და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული საფუძველები მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული კასატორის მსჯელობა, რომ სააპელაციო პალატამ სათანადოდ არ შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებანი და არ გაითვალისწინა, რომ შპს „საქართველოს რკინიგზამ“, ქირავნობის ხელშეკრულების თანახმად, გადასცა მოსარჩელეებს ქირავნობის საგანი, რასაც ა. ნ-ძე და გ. ა-შვილი 1994 წლამდე შეუზღუდავად ფლობდნენ. 1994 წელს, კასატორის ყოველგვარი ბრალეულობის გარეშე, სადავო ოთახებში თვითნებურად შეიჭრნენ იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც აგრძელებდნენ ფართით სარგებლობას. 2002 წლის 17 აგვისტოს კი მხარეთა შორის ხელმოკრედ გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება და აღნიშნული ფაქტის მიუხედავად, მოსარჩელეები ახალი ქირავნობის გარიგების დადებას მაინც დასთანხმდნენ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება მართებულად დააფუძნა სამოქალაქო კოდექსის 541-ე მუხლს, რომლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, თუ დაქირავებული ნივთი მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცემა დამქირავებელს დაგვიანებით, ან, თუ შემდგომში მას წაერთვა სარგებლობის უფლება, მაშინ დამქირავებელს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე იმ ვადის დაცვის გარეშე, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების მოშლისათვის. უარი ხელშეკრულებაზე დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ დამქირავებელი დამქირავებლის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ აღკვეთს სარგებლობისათვის ხელშემშლელ გარემოებებს. ვადის განსაზღვრა არ არის საჭირო, თუ იმ გარემოებათა შედეგად, რომლებიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველს იძლევა, დამქირავებელმა დაკარგა ინტერესი ამ ხელშეკრულებისადმი. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ დამქირავებელი ვალდებულია, მხარეთა მიერ შეთანხმებულ დროს გადასცეს დამქირავებელს ქირავნობის საგანი და ქირავნობის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში უზრუნველყოს დამქირავებლის მიერ

მისი შეუზღუდავად ფლობა და სარგებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში დამქირავებელი უფლებამოსილია, შეთანხმებულ ვადაზე ადრე უარი თქვას ქირავნობის ხელშეკრულებაზე და, გამქირავებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ქირავნობის მიმართ ინტერესის დაკარგვის საფუძველზე, ადარ განუსაზღვროს გამქირავებელს ვადა ვალდებულების შესასრულებლად.

განსახილველ შემთხვევაში შპს "საქართველოს რკინიგზა" მიუთითებს, რომ მან მხარეთა შორის 1992 წელს დადებული ქირავნობის ხელშეკრულების პირობა შეასრულა და გ. ა-შვილსა და ა. ნ-ძეს გადასცა ქირავნობის საგანი –სადავო ოთახები, თუმცა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და არც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 2002 წლის 17 აგვისტოს ახალი ქირავნობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მოსარჩელებს გარიგებით გათვალისწინებული უძრავი ნივთი არ გადასცემიათ, რადგან იქ იძულებით გადაადგილებული პირები აგრძელებდნენ ცხოვრებას.

ამდენად, შპს "საქართველოს რკინიგზამ" დამქირავებელთა მიერ ქირავნობის ხელშეკრულების ფარგლებში სადავო ფართის დაუბრკოლებლივ ფლობა და სარგებლობა ვერ უზრუნველყო, რის გამოც გ. ა-შვილსა და ა. ნ-ძის მიერ ქირავნობის ხელშეკრულების მიმართ ინტერესის დაკარგვა სავსებით გამართლებულია და მათი მოთხოვნა გარიგების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით კანონიერად დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ ასევე სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლის მიხედვით, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება). მითითებული კანონის დანაწესი ადგენს, რომ მხარის მიერ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში გარიგებაზე უარის თქმისას მხარეებს უნდა დაუბრუნდეთ ყველაფერი, რაც მათ გარიგების შესრულების მიზნით ერთმანეთს გასდაცეს.

ამდენად, დასაბუთებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა, რომ დამქირავებელთა ინიციატივით ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის მართლობიერად მიჩნევის პირობებში გ. ა-შვილსა და ა. ნ-ძეს უნდა დაუბრუნდეთ 2002 წლის 17 აგვისტოს ხელშეკრულების შესასრულებლად მათ მიერ ქირის სახით წინასწარ გადახდილი 5184 ლარი (8 წლის განმავლობაში ყოველწლიურად ხელშეკრულებით გათვალისწინებული 648 ლარი).

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო პალატამ საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება დაადგინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ, კასატორი სადავოდ ხდის ა. ნ-ძისა და გ. ა-შვილის მიერ სადავო ქირის წინასწარ სრულად გადახდის ფაქტს და მიუთითებს, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილია მხოლოდ ა. ნ-ძის მიერ 1993 წლის იანვარში გადახდილი #26, #27 ქვითრები, სულ -110,370 მანეთზე, რაც დაახლოებით წელიწადისა და ერთი თვის ქირას შეადგენს, ხოლო გ. ა-შვილის მიერ ქირის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში არ მოიპოვება.

სააპელაციო სასამართლომ ზემოხსენებული სადავო გარემოება დაადგინა საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილი მხარეთა შორის 2002 წლის 17 აგვისტოს ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად "დამქირავებელმა ბინით ისარგებლა მხოლოდ 2 წლის განმავლობაში, ქირა კი გადახდილი აქვს 10 წლის", დაქირავებული ბინის ქირა განისაზღვრა წელიწადში 684 ლარით, "რაც დამქირავებელს გადახდილი აქვს წინა -10 წლის ვადით გაფორმებული ხელშეკრულებით".

ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული ხელშეკრულების ნამდვილობა კასატორს არც ერთი ინსტანციის სასამართლოში სადავოდ არ მიუჩნევია, მეტიც, სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად მიუთითა საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 23 მაისის სხდომის ოქმში დაფიქსირებულ შპს "საქართველოს რკინიგზის" წარმომადგენლის განმარტებაზე, რომ მხარეთა შორის არსებული ქირავნობის ხელშეკრულება კანონიერია და მის საფუძველზე მხარეების გარკვეული უფლებები წარმოიშვა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ა. ნ-ძისა და გ. ა-შვილის მიერ ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირის გადახდის ფაქტის უარსაყოფად კასატორმა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია ვერ წარადგინა.

ასევე ვერ იქნება გაზიარებული კასატორის მითითება სამოქალაქო კოდექსის 575-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, დამქირავებელს უფლება აქვს დაიცვას თავისი მფლობელობა ყოველი დარღვევისაგან, მათ შორის, მესაკუთრისგანაც. კანონის მითითებული დანაწესი დამქირავებელს უფლებას ანიჭებს, ქირავნობის ხელშეკრულების ფარგლებში დაუბრკოლებლად ფლობდეს ქირავნობის საგანს და არ დაუშვას სხვა პირთა მიერ აღნიშნული მფლობელობის ხელშეშლა. ამდენად, დასახელებული მუხლი ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც დამქირავებელს ქირავნობის საგანი ხელშეკრულების შესაბამისად გადაცემული აქვს. განსახილველ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, გ. ა-შვილსა და ა. ნ-ძეს მხარეთა შორის 2002 წლის 17 აგვისტოს ქირავნობის ხელშეკრულების

საფუძველზე სადავო ფართი არ გადასცემიან. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია კა-სატორის მოსაზრება, რომ მოსარჩელებს დასახელებული ნორმით მათთვის მინიჭებული უფლების რეალიზება არ მოუხდენიათ.

ამდენად, მოსარჩელებმა კანონიერად თქვეს უარი ქირავნობის ხელშეკრულებაზე და მოითხოვეს ქირის სახით წინასწარ გადახდილი თანხის დაბრუნება, რაც სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სწორად დააკმაყოფილა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

შპს "საქართველოს რკინიგზის" საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **ნივთზე გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება გამქირავებლის მიერ**

#### **განჩინება**

#ას-421-735-09

20 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი**

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, ქირის დაკისრება (სარჩელში); გაწეული ხარჯების ანაზღაურება (შეგებებულ სარჩელში)

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 6 ივნისს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა შპს "შაბომ" მოპასუხე ინდემწარმე გ. შ-იას მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა: ა. რუსთავში, ... ქ. #30-ში მდებარე შპს "შაბოს" საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართის გამოთხოვა მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან; ბ. მოპასუხისათვის ქირავნობის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირის -120 ლარის, აგრეთვე, 2006 წლის 1 ივლისიდან სარჩელის აღძვრამდე პერიოდში მიუღებელი შემოსავლის -1 440 ლარის (ყოველთვიურად 120 ლარის გათვალისწინებით), მთლიანობაში 2 880 ლარის დაკისრება.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2005 წლის 1 ივლისს შპს "შაბოსა" და ინდემწარმე გ. შ-იას შორის საცხოვრებელი სადგომის დაქირავების მიზნით დაიდო ხელშეკრულება. დაკავებული არასაცხოვრებელი ფართის ოდენობა შეადგენდა 24კვ.მ-ს. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ერთი წლით, ხოლო ქირის ოდენობა -120 ლარით განისაზღვრა.

მოსარჩელის მითითებით, გ. შ-იამ ხელშეკრულების პირობები დაარღვია, კერძოდ, 2006 წლის 1 ივლისამდე ქირა არ გადაიხადა. აღნიშნულის გამო ხელშეკრულება აღარ გაგრძელდებულა.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ იგი, როგორც მესაკუთრე, მოკლებული იყო ქონებით სარგებლობის შესაძლებლობას, რამდენადაც გაქირავებული ფართი მოპასუხის მფლობელობაში იმყოფებოდა, რომელიც მას კუთვნილი ქონებით სარგებლობის შესაძლებლობას არ აძლევდა. შპს "შაბოს" არაერთ სიტყვიერ მიმართვას ფართის გამოთავისუფლების თაობაზე მოპასუხის მხრიდან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. 2007 წლის 30 მაისს მოსარჩელემ გ. შ-იას სახელზე დაზღვეული წერილი გააგზავნა და ფართის გამოთავისუფლებისა და მიღება-ჩაბარების აქტის შესადგენად მოპასუხეს სამი დღის ვადა მისცა, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო.

მოპასუხე გ. შ-იამ სარჩელი არ ცნო და იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი წარადგინა მოპასუხე შპს "შაბოს" მიმართ. შეგებებულმა მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისაგან სადავო ფართზე მის მიერ სამუშაოებისათვის გაწეული დანახარჯის -5 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება.

შეგებულმა მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოპასუხესთან შეთანხმებით დაკავებულ ტერიტორიაზე ააგო კაპიტალური ნაგებობა. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ, როდესაც უნდა მომხდარიყო ნაგებობის სამართლებრივი რეგისტრაცია და შესაბამისად ლიცენზიის მოპოვება ვალუტის გადამცვლელი საქმიანობის განხორციელების შესახებ, შპს "შაბომ" მისთვის გაუგებარი მიზეზების გამო ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარი განუცხადა. სამშენებლო სამუშაოებისათვის გაწეული დანახარჯი შეადგენდა 5000 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს, რაც ანაზღაურებას ექვემდებარებოდა. მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად შეგებულ სარჩელში მიეთითა სამოქალაქო კოდექსის 545-ე, 973-ე მუხლები.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს "შაბოს" სარჩელი დაკმაყოფილდა: რუსთავში, ... ქ. #30-ში მდებარე უძრავი ქონება გამოთხოვილ იქნა ინდემწარმე გ. შ-იას მფლობელობიდან და გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა შპს "შაბოს", მოპასუხეს დაეკისრა ინდემწარმე გ. შ-იას სასარგებლოდ 2 880 ლარის გადახდა; ასევე დაკმაყოფილდა ინდემწარმე გ. შ-იას შეგებულ სარჩელი: შპს "შაბოს" მის სასარგებლოდ დაეკისრა 5 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა; თანხების დაკისრების ნაწილში განხორციელდა ზემომითითებული მოთხოვნების გაქვითვა და საბოლოოდ შპს "შაბოს" ინდემწარმე გ. შ-იას სასარგებლოდ დაეკისრა 5 120 ლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგინილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2005 წლის 1 ივლისს შპს "შაბოსა" და ინდემწარმე გ. შ-იას შორის დაიდო წერილობითი ხელშეკრულება რუსთავში, ... ქ.#30-ში მდებარე 24კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის ქირავნობის შესახებ; ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა ერთი წელი, 2006 წლის 1 ივლისამდე, ამასთან, ხელშეკრულება შეიცავდა დათქმას, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ იგი გაგრძელებულად ჩაითვლებოდა, თუ რომელიმე მხარე მის მოქმედებას არ შეაჩერებდა; ხელშეკრულებით ქირის ოდენობად განისაზღვრა თვეში 120 ლარი; შპს "შაბომ" მოპასუხეს ფართის გამოთავისუფლების თაობაზე მიმართა 2007 წლის 20 მაისს; სადავო ქონება საკუთრების უფლებით საჯარო რეესტრში ირიცხება შპს "შაბოს" სახელზე, ხოლო ქონებას ფაქტობრივად ფლობს ინდემწარმე გ. შ-ია.

საქალაქო სასამართლომ მიერ საქმეზე ასევე დადგინილად იქნა მიჩნეული, რომ ინდემწარმე გ. შ-იას სადავო ფართი ესაჭიროებოდა ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მოსაწყობად, აღნიშნულზე მხარეთა შორის არსებობდა შეთანხმება. იმის გამო, რომ ვალუტის გადამცვლელ პუნქტს უნდა დაეკმაყოფილებინა ეროვნული ბანკის შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი მოთხოვნები, ნივთზე გაწეულ იქნა აუცილებელი ხარჯები, კერძოდ: შედგა შენობის პროექტი, განხორციელდა შენობის რეკონსტრუქცია, შენობა შემოწმდა სეისმომდეგობაზე, ობიექტის დაცვის მიზნით შესაბამისი ხელშეკრულება გაფორმდა დაცვის პოლიციის განყოფილებასთან, მატერიალურ ფასეულობათა შენახვის თაობაზე ხელშეკრულება დაიდო ასევე საბანკო დაწესებულებასთან, ფართი აღიჭურვა ტელეფონით, საგანგაშო დილაკით და ტყვიანობაზე დაცვით მინით.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ასევე სამოქალაქო კოდექსის 172-ე, 531-ე და 411-ე მუხლებიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა შპს "შაბოს" სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, რაც შემდეგნაირად დაასაბუთა:

მოსარჩელე წარმოადგენდა ნივთის მესაკუთრეს, მოპასუხე ფლობდა ამ ნივთს და არ გააჩნდა მისი ფლობის უფლება, შესაბამისად, ნივთი გამოთხოვილი უნდა ყოფილიყო მოპასუხის მფლობელობიდან. აღნიშნული დასკვნის გამოტანისას მხედველობაში იქნა მიღებული ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, მისი მოქმედების ვადა გაგრძელდა 2007 წლის 20 მაისამდე, შპს "შაბოს" მიერ მოპასუხისათვის ფართის გამოთავისუფლების შესახებ მოთხოვნის წარდგენამდე.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხემ ვერ წარადგინა მტკიცებულებები მის მიერ დადგენილ დროსა და დადგენილი ოდენობით მოსარჩელისათვის ქირის გადახდის ან მათ შორის სხვა გარიგების არსებობის თაობაზე, რომელიც შეცვლიდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ქირის გადასახადის წესს, რისი გათვალისწინებითაც მოთხოვნა ქირავნობის თანხისა და მის შედეგად მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების შესახებ ასევე უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ინდემწარმე გ. შ-იას შეგებულ სარჩელთან მიმართებით საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 532-ე მუხლზე, რომლის თანახმად, გამქირავებელი მოვალეა, გადასცეს დამქირავებელს გაქირავებული ნივთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში და ქირავნობის მთელი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს ნივთის ეს მდგომარეობა. მოცემულ შემთხვევაში დგინდებოდა, რომ მხარეებს შორის გარიგების დადებისას არსებობდა მათ შორის შეთანხმება, რომ აღნიშნული ფართი დამქირავებელს ესაჭიროებოდა ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მოსაწყობად. მოსარჩელისათვის ცნობილი იყო ის გარემოება, რომ მის მიერ გა-

ქირავებული ნივთი არ აკმაყოფილებდა მსგავსი ტიპის ობიექტისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

სამოქალაქო კოდექსის 545-ე მუხლის შესაბამისად, გამქირავებელი ვალდებულია დამქირავებელს აუნაზღაუროს ნივთზე გაწეული აუცილებელი ხარჯები. აქედან გამომდინარე, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული კაპიტალური რემონტის ჩატარებისას ხარჯების გაწევა დამქირავებელს არ ეკისრებოდა.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, რამდენადაც გ. შ-ის მიერ ნივთზე გაწეული რემონტი აუცილებლობით იყო გამოწვეული, მას უნდა ანაზღაურებოდა აღნიშნული ხარჯები.

რაც შეეხებოდა ხარჯების ოდენობას, სასამართლომ მიიჩნია, რომ შეგებებული მოსარჩელის მიერ მითითებული ოდენობა (5 000 აშშ დოლარი) გონივრული იყო, რადგან ნივთს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, იგი აღიჭურვა ყველა იმ მოწყობილობით, რაც აუცილებელია ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მოსაწყობად. ამდენად, შეგებებული მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება სწორედ მითითებული თანხის ფარგლებში უნდა მომხდარიყო, რაც გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის არსებული კურსის გათვალისწინებით შეადგენდა 8 000 ლარს.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო ვითარება, როდესაც არსებობდა სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლით გათვალისწინებული ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შესაძლებლობა. სამოქალაქო კოდექსის 444-ე მუხლის მიხედვით, თუ გასაქვითი მოთხოვნები მთლიანად ვერ ფარავს ერთმანეთს, იქვითება მხოლოდ ის, რომლის მოცულობაც ნაკლებია მეორე მოთხოვნის მოცულობაზე. აქედან გამომდინარე, ვინაიდან მოსარჩელის მოთხოვნა ნაკლები იყო შეგებებული სარჩელით წარდგენილ მოთხოვნაზე, დადგინდა მოთხოვნების გაქვითვა, რის შედეგადაც მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა 5 120 ლარის გადახდა.

დასახელებული გადაწყვეტილება შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "შაბომ", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება.

აპელანტის მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 548-ე მუხლიდან გამომდინარე, მიმდინარე რემონტის ჩატარება, ჩვეულებრივ, ევალუბოდა დამქირავებელს, რომელსაც ფართის გადაკეთების ან რეკონსტრუქციის საკითხები გამქირავებელთან შეთანხმებული არ ჰქონია, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დამქირავებელი მოვალე იყო, ეს სამუშაოები შეესრულებინა საკუთარი ხარჯით.

აპელანტის მითითებით, ის გარემოება, რომ გამქირავებელს არ ეკისრებოდა დამქირავებლის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება, ქირავნობის ხელშეკრულებიდანაც დგინდებოდა, სადაც მკაფიოდ იყო განსაზღვრული დამქირავებლის ვალდებულება - გადაეცა დამქირავებლისათვის არასაცხოვრებელი ფართი ობიექტების გასახსნელად. ამდენად, ხელშეკრულების მიხედვით გამქირავებელს არ აუღია ვალდებულება გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ. ამასთან, საგულისხმოა, რომ მოწინააღმდეგე მხარეს არ წარუდგენია სამუშაოთა წარმოების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით შპს "შაბოს" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ინდემწარმე გ. შ-ის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებისა და თანხებთან მიმართებით ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის ნაწილში, აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ინდემწარმე გ. შ-ის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ 2005 წლის 1 ივლისს შპს "შაბოსა" და ინდემწარმე გ. შ-ის შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება არასაცხოვრებელი ფართის დროებით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე. ხელშეკრულების თანახმად, შპს "შაბომ" იკისრა ვალდებულება გადაეცა დამქირავებლისათვის არასაცხოვრებელი 24კვ.მ სხვადასხვა ობიექტების გასახსნელად. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2005 წლის 1 ივლისიდან 2006 წლის 1 ივლისამდე პერიოდი. ქირის ოდენობა მხარეთა შეთანხმებით შეადგენდა თვეში 120 ლარს.

საპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლიდან გამომდინარე, მხარეთა შორის დადებული იჯარის ხელშეკრულების მიმართ უნდა გამოყენებულიყო ქირავნობის ხელშეკრულების წესები, რის შესაბამისადაც მიუთითა აღნიშნული კოდექსის 545-ე მუხლზე. კანონის დასახელებული ნორმის მიხედვით, გამქირავებელი ვალდებულია დამქირავებელს აუნაზღაუროს ნივთზე გაწეული აუცილებელი ხარჯები. სასამართლოს განმარტებით, მითითებული ნორმის შინაარსის ანალიზი ცხადყოფდა, რომ აუცილებელ ხარჯებად ითვლებოდა დამქირავებლის მიერ გაწეული ის ხარჯები, რომელიც საქმის გარემოებებიდან გამომდინარე აუცილებლად იქნებოდა მიჩნეული. ამდენად, გამქირავებელი ვალდებული იყო, აენაზღაურებინა დამქირავებლის მიერ გა-

ღებულის არა ყველა ხარჯი, არამედ მხოლოდ ის ხარჯები, რაც დაკავშირებული იქნებოდა ნივთის სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

სამოქალაქო კოდექსის 532-ე მუხლის თანახმად, გამქირავებელი მოვალეა გადასცეს დამქირავებელს გაქირავებული ნივთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში და ქირავნობის მთელი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს ნივთის ეს მდგომარეობა. ამავე კოდექსის 535-ე მუხლის შესაბამისად, გაქირავებული ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ მას აქვს დათქმული თვისებები. თუ ეს თვისებები არ არის დათქმული, მაშინ გაქირავებული ნივთი მიიჩნევა უნაკლოდ, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეზე არ დასტურდებოდა გ. შ-იას მიერ დასახელებული გარემოებები, რომ ხელშეკრულების დადების მიზანი იყო სავალუტო საქმიანობის განხორციელება, გადაცემული ფართი არ აკმაყოფილებდა აღნიშნული საქმიანობისათვის დადგენილ პირობებს, რის გამოც გამქირავებელთან ზეპირი შეთანხმებით მოახდინა ძველი ფარდულის დაშლა და ახალი კაპიტალური ნაგებობის აგება. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით დგინდებოდა, რომ გამქირავებელმა დამქირავებელს დროებით სარგებლობაში გადასცა 24 კვ.მ სხვადასხვა ობიექტების გასახსნელად. ამრიგად, შეგებებული სარჩელის ავტორი ვერ ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ გამქირავებელმა მას გადასცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის უვარგისი ნივთი, რისთვისაც მის მიერ გაწეულ იქნა აუცილებელი ხარჯები.

რაც შეეხებოდა გ. შ-იას მიერ მითითებულ გარემოებებს იმის შესახებ, რომ მან შენობა აღჭურვა სიგნალიზაციით, ტყვიაგაუმტარი მინით, რკინის კარით, დადგა ტელეფონი და სხვა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული წარმოდგენდა არა ნივთისათვის აუცილებელ, არამედ დამქირავებლისათვის მიზანშეწონილ და საჭირო ხარჯებს ვალუტის გადამცვლელი ობიექტის მოწყობისა თუ უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, რომლისთვისაც გაწეული ხარჯების ანაზღაურება გამქირავებელს არ ეკისრებოდა. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 546-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, დამქირავებელი უფლებამოსილი იყო, დაეტოვებინა ის, რითაც მან გაქირავებული ნივთი აღჭურვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ინდემწარმე გ. შ-იას შეგებებული სარჩელი არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ინდემწარმე გ. შ-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შპს "შაბოს" სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული. კასატორი აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა შპს "შაბოს" წარმომადგენელ ვ. კ-ის მონაწილეობით, რომლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებლად სასამართლომ მხედველობაში მიიღო ადვოკატის ორდერი. თუმცა აღნიშნული ორდერით არ დგინდებოდა შპს "შაბოს" ნება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებით.

კასატორის მითითებით, დავის მიმდინარეობისას შპს "შაბომ" არ უარყო, რომ იჯარის ხელშეკრულების საგნის მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ სტანდარტს ვალუტის გადამცვლელი საქმიანობის განსახორციელებლად. ამასთან, სასამართლომ დადგინდა, რომ ინდემწარმე გ. შ-იამ ჩაატარა რეკონსტრუქცია ეროვნული ბანკის სტანდარტამდე მისაახლოებლად, რაშიც პრაქტიკულად ახალი ნაგებობის აგება იგულისხმება.

კასატორისათვის გაუგებარია, რატომ არ გამოიყენა სასამართლომ სადავო სამართალურთიერთობის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 545-ე მუხლი და რატომ არ მიიჩნია მოპასუხის მიერ გაღებული ხარჯი აუცილებელ ხარჯად, მაშინ როდესაც, სამოქალაქო კოდექსის 532-ე მუხლის თანახმად, გამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს ნივთი გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში. ის გარემოება, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქმიანობას ნამდვილად წარმოადგენდა ვალუტის გადამცვლელი საქმიანობა, საქმის მასალებით დგინდებოდა. რაც შეეხებოდა გაწეული ხარჯის ოდენობას, საქმეში არსებული აუდიტის შეფასების თანახმად მოპასუხის მიერ დაკავებული შენობა შეფასებულია 8000 ლარად, რაც შეადგენდა მოპასუხის მიერ გაწეული ხარჯის ოდენობას -5000 აშშ დოლარს.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ინდემწარმე გ. შ-იას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია საქმის გარემოებების სწორი სამართლებრივი შეფასების, სადავო ურთიერთობისათვის კანონის სწორი შეფარდების საფუძველზე, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილება ექვემდებარება უცვლელად დატოვებას.

მოცემულ შემთხვევაში კასატორი ითხოვს იჯარით გადაცემულ ნივთზე გაწეული აუცილებელი ხარჯის ანაზღაურებას.

სააპელაციო სასამართლომ სადავო ურთიერთობაზე სწორად გაავრცელა ქირავნობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, რომლის მიხედვით, იჯარის ხელშეკრულების თავით გაუთვალისწინებელი საკითხების გადასაწყვეტად გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები.

სამოქალაქო კოდექსის 545-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გამქირავებელი ვალდებულია, დამქირავებელს აუნაზღაუროს ნივთზე გაწეული აუცილებელი ხარჯები.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, აუცილებელ ხარჯად ითვლება დამქირავებლის მიერ გაღებული არა ყველა, არამედ - მხოლოდ ისეთი ხარჯი, რომლის გაწევაც ნივთის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში მოსაყვანად არის აუცილებელი. ამავე კოდექსის 532-ე მუხლი გაქირავებული ნივთის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში გადაცემის ვალდებულებას აკისრებს გამქირავებელს. კოდექსის 535-ე მუხლის შესაბამისად, გაქირავებული ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ მას აქვს დათქმული თვისებები. თუ ეს თვისებები არ არის დათქმული, მაშინ გაქირავებული ნივთი მიიჩნევა უნაკლოდ, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამქირავებლის მიერ ნივთზე გაწეული ხარჯების აუცილებლად მიჩნევის საფუძველი და ამ ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება იმ შემთხვევაში არსებობს, როდესაც სახეზეა ნივთის ხელშეკრულებით სარგებლობისათვის არავარგის მდგომარეობაში არსებობა, ანუ ისეთი ვითარება, როდესაც ნივთის მდგომარეობა არ იძლევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის განხორციელების შესაძლებლობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

მოცემულ შემთხვევაში კასატორი (მოიჯარე) ვერ ადასტურებს და არც საქმის მასალებით დგინდება ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელემ (მეიჯარემ) მას გადასცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის უვარგისი ნივთი და აღნიშნულის გამო მოიჯარემ გასწია აუცილებელი ხარჯი ნივთის ხელშეკრულებით დათქმული მიზნით გამოსაყენებლად, კერძოდ, ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მოსაწყობად. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, გამქირავებელმა დამქირავებელს დროებით სარგებლობაში გადასცა 24 კვ.მ ფართი სხვადასხვა ობიექტების გასახსნელად. ხელშეკრულებაში რაიმე კონკრეტული დათქმა ფართის ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მოწყობის მიზნით გადაცემის შესახებ არ არის. საგულისხმოა, რომ ხელშეკრულებით მოიჯარეს ფართი სწორედ იმ მიზნით გადაეცა, რომ მასზე სასურველი ობიექტის მოწყობა შემდგომში თავად განეხორციელებინა, რაც არ ნიშნავს, რომ ამ ობიექტის მოიჯარისათვის სასურველი დანიშნულებით გამოყენებისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება მეიჯარის ვალდებულებას წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კასატორის მიერ მითითებული გარემოებები იმის შესახებ, რომ მან შენობა აღჭურვა სიგნალიზაციით, ტყვიაგაუმტარი მინით, რკინის კარით, დადგა ტელეფონი და ა.შ., რაც აუცილებელი იყო ამ შენობაში ვალუტის გადამცვლელი პუნქტის ფუნქციონირებისათვის, ნივთისათვის გაწეულ აუცილებელ ხარჯად ვერ მიიჩნევა. შესაბამისად, ასეთი ხარჯების ანაზღაურებაზე მას მართებულად უთხრა უარი სააპელაციო სასამართლომ.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, ვინაიდან შპს "შაბოს" წარმომადგენელ ვ. კ-მეს არ გააჩნდა სრულყოფილი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის 18 აპრილის სხდომაზე, რადროსაც სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გამოიტანა გადაწყვეტილება, საქმის განხილვა გაგრძელდა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის სტადიიდან. სასამართლოს დასახელებულ სხდომაზე შპს "შაბოს" წარმომადგენლად ადვოკატი დ. ბ-მე, რომელსაც გააჩნდა სათანადოდ გაფორმებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. ამ შემთხვევაში წარმომადგენელ დ. ბ-მეს

წინა სასამართლო სხდომების წარმართვის მართლზომიერება სადავოდ არ გაუხდია და დაეთანხმა წარმომადგენელ ვ. კ-მის მიერ განხორციელებულ საპროცესო მოქმედებებს. ამასთან, კასატორი სადავოდ ხდის არა თავისი, არამედ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ხარვეზით საქმის განხილვას, ხოლო აღნიშნულმა რამდენად განაპირობა მისი უფლებების დარღვევა და როგორ იმოქმედა საქმის შედეგზე, ვერ ასაბუთებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

ინდემწარმე გ. შ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **2. ქვეიჯარა**

### **განჩინება**

#ას-323-643-09

9 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),**

**ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),**

**ლ. ლაზარაშვილი**

**დავის საგანი:** ნიუთის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა და უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „მშენმექანიზაცია-2000-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „თბილმეტრომშენის“ მიმართ კომპურა ამწის აღდგენის, დემონტაჟისა და ტრანსპორტირების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: საქართველოს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტის „მექანიზაციის მობილური სამმართველოს“ ბაზაზე 1994 წლის 26 დეკემბერს დაფუძნდა სს „მშენმექანიზაცია“, რომლის სამართალმემკვიდრეები 1999 წლის 22 დეკემბრიდან არიან შპს „მშენმექანიზაცია-2000“ და შპს „მამულო“. გაყოფის შედეგად მათ ბალანსზე რიცხულ ქონებაში შედის 1988 წელს გამოშვებული კომპურა ამწე კბ-100, 3-1<sup>ა</sup>, საქარხნო #4001. აღნიშნული ამწე რეგისტრირებულია 1990 წლის 21 ნოემბერს ამწე მექანიზმების, საქვაბე დანადგარებისა და თბოელექტროსადგურების ზედამხედველობის სამმართველოში ნომრით 26331. მხარეთა შეთანხმებით, კომპურა ამწე დამონტაჟდა და ამჟამად განლაგებულია თბილისის ზღვის დასახლებაში „თბილმეტრომშენის“ მშენებარე საცხოვრებელ სახლზე. „თბილმეტრომშენი“ წლების განმავლობაში იხდიდა ამწის მიერ შესრულებული მანქანა-საათების ღირებულებას, რაც შეწყვეტილ იქნა მშენებლობის დაუფინანსებლობის გამო. მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა მოპასუხეს თანხის გადახდის ან ამწის სხვა ობიექტზე გატანის მოთხოვნით, რაზედაც თანხმობა ვერ მიიღო. ამწის გამარცვისაგან დასაცავად მოპასუხემ მოხსნა მას მთელი ელექტრომოწყობილობა და შეინახა საწყობში.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელისათვის თანხა არასდროს არ გადაუხდია, კომპურა ამწე მართლაც იმყოფება მის ტერიტორიაზე, თუმცა მისი დემონტაჟისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. ამწის აღდგენის, დემონტაჟისა და ტრანსპორტირების თაობაზე მოსარჩელემ მხოლოდ 2003 წელს მიმართა, რისი ვალდებულებაც მხარეს არ ეკისრებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით შპს „მშენმექანიზაცია 2000-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვე-



ტილება მოპასუხის ხარჯით კომპურა ამწის დემონტაჟისა და ტრანსპორტირების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილდა, დანარჩენ ნაწილში კი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: 1992 წლის აპრილში თბილგვირაბ-მშენსა და მექანიზაციის მობილურ სამმართველოს შორის სამშენებლო მექანიზმებზე გაფორმდა ქვეიჯარის ხელშეკრულება, რომლის თანახმად სამმართველომ ვალდებულება იკისრა, თბილგვირაბ-მშენისათვის მიეწოდებინა სამშენებლო მექანიზმი კვ 100-3 1992 წლის 1 აპრილიდან 1992 წლის 31 დეკემბრამდე და შეესრულებინა ამწე სამუშაოები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში დადგენილი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად. სანაცვლოდ, თბილგვირაბმშენს უნდა უზრუნველყო ცვლაში არანაკლებ 8 საათის განმავლობაში სამშენებლო მექანიზმის შეუფერხებელი მუშაობა და დადგენილ ვადებში გადაეხადა შესრულებული სამუშაოს ღირებულება. კომპურა ამწის გამოყენება ხდებოდა თბილისის ზღვის დასახლებაში საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის და დღემდე ამწე დამონტაჟებულია აღნიშნულ მისამართზე. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მართვის სამინისტროს კოლეგიის 1994 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით დაფუძნდა სს „მშენმექანიზაცია“. თბილისის გლდანის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 19 ოქტომბრის დადგენილებით განხორციელდა სს „მშენმექანიზაციის“ რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში. 1999 წლის 23 დეკემბერს სს „მშენმექანიზაცია“ დაიყო ორ საწარმოდ: შპს „მშენმექანიზაცია 2000-ად“ და შპს „მამულოდ“. ქონების გაყოფის შედეგად, შპს „მშენმექანიზაცია 2000-ს“ გადაეცა კომპურა ამწე კვ 100.3, რომელიც ირიცხება მის საწესდებო კაპიტალში. თბილგვირაბმშენის სსმს-ს უფლებამონაცვლეს წარმოადგენს შპს „თბილმეტრომშენი“. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 154-ე, მე-4 მუხლებით და მიუთითა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულების თანახმად, გარიგება გაფორმდა საერთო დებულების საფუძველზე. პალატამ აღნიშნა, რომ მექანიზაციის სპეციალიზებულ ტრესტებსა (სამმართველოებს) და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებს შორის ურთიერთობებს აწესრიგებდა სსრკ-ის სამშენებლო საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1964 წლის 31 მარტს დამტკიცებული დებულება მექანიზაციის სპეციალიზებულ ტრესტებსა (სამმართველოებს) და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებს შორის ურთიერთობისა და ანგარიშების შესახებ. აღნიშნული დებულების პირველი ნაწილის მეორე პუნქტში აღნიშნულია, რომ ზემდგომი ორგანოების მიერ შედგენილი მექანიზაციის ტრესტები (სამმართველოების) გეგმის შესაბამისად, მექანიზაციის საშუალებების გამოყენებით ასრულებენ სამშენებლო, სამონტაჟო ჩატვირთვის, გადმოტვირთვისა და სხვა დამხმარე სამუშაოებს, აგრეთვე, იჯარით წარუდგენენ სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებს მექანიზმებს, მექანიზირებულ ინსტრუმენტს და ცალკეულ შემთხვევებში სამშენებლო მანქანებს. მესამე პუნქტის შესაბამისად, ტრესტების (სამმართველოების) მიერ ამ დებულების მეორე პუნქტით გათვალისწინებული წესით მექანიზაციის სამუშაოს შესრულება წარმოებს ხელშეკრულებებით, რომლებიც ფორმდება მოქმედი კანონმდებლობით. აღნიშნული დებულების მეოთხე ნაწილით რეგულირდება მექანიზაციის ტრესტების მიერ სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებისათვის იჯარის პირობებში მანქანებისა და მექანიზებული ინსტრუმენტების გადაცემის საკითხი. 28-ე პუნქტით გათვალისწინებულია სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების ვალდებულებები, რომლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციები ვალდებული არიან, მექანიზაციის ტრესტს (სამმართველოს) დროულად (იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ) საკუთარი ძალებითა და ხარჯებით მიაწოდონ მექანიზმი, მანქანა და მექანიზირებული ინსტრუმენტი და ჩააბარონ აქტით. პალატამ აღნიშნა, რომ მოდავე მხარეები წარმოადგენენ გარიგების ხელშემკვრელი მხარეების უფლებამონაცვლეებს და მათზე ვრცელდება ყველა ის უფლება-მოვალეობები, რაც ზემოაღნიშნული დებულებით მხარეთა შორის იყო განსაზღვრული, კერძოდ, ხელშეკრულების მხარე, თბილგვირაბმშენი ვალდებული იყო, საკუთარი სახსრებით უზრუნველყო კომპურა ამწის ჩაბარება მექანიზაციის მობილური სამმართველოსათვის. შესაბამისად, შპს „თბილმეტრომშენმა“ საკუთარი ხარჯებით უნდა მოახდინოს კომპურა ამწის დემონტაჟი, ტრანსპორტირება და ჩააბაროს ის მოსარჩელეს. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა კომპურა ამწის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის შესახებ მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 288-ე, 75-ე მუხლებით, ამავე კოდექსის მე-80 მუხლით და დაადგინა, რომ ქვეიჯარის ხელშეკრულება სამშენებლო მექანიზმების მუშაობაზე გაფორმდა განსაზღვრული ვადით -1992 წლის 1 აპრილიდან 1992 წლის 31 დეკემბრამდე. მოსარჩელის ახსნა-განმარტებით პალატამ ასევე დაადგინა, რომ საიჯარო ხელშეკრულება შეწყდა 1992 წელს და მის შემდგომ აღარ გაგრძელებულა, რასაც მოპასუხის წარმომადგენელიც ადასტურებს, ამდენად, აპელანტის განმარტება, რომ ხელშეკრულება გრძელდებოდა ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგაც, არ უნდა იქნეს გაზიარებული. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებები, რომლებზედაც აპელანტი თავის მოთ-

ხოვნას ამყარებს, არ ადასტურებს ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებას. პალატამ ჩათვალა, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 271-ე მუხლის მეორე აზნაცისა და ამავე კოდექსის 274-ე მუხლის მოქმედება სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის დადებულ, ასევე, საყოფაცხოვრებო ქირავნობის ხელშეკრულებებზე არ ვრცელდება, არამედ ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდგომ მხარეთა შორის უნდა გაფორმებულიყო ახალი ხელშეკრულება, რაც საქმის მასალებით არ დადასტურებულა. ამდენად, სააპელაციო პალატამ დადგინილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება შეწყდა 1992 წლის 31 დეკემბერს და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესახებ მოთხოვნაზე ხანდაზმულობასთან დაკავშირებით სამოქალაქო კოდექსის 573-ე, 129-ე მუხლების დანაწესები არ უნდა გავრცელდეს. პალატის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე, ზემოაღნიშნული დებულების შესაბამისად, ვალდებული იყო, იჯარის ვადის ამოწურვის შემდგომ დროულად მიეწოდებინა ამწე მოსარჩელისათვის (რაც მას არ განუხორციელებია და არც მოსარჩელეს მოუთხოვია მისი დაბრუნება 2006 წლამდე). სამოქალაქო სამართლის კოდექსის 75-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო მას შემდეგ, რაც მოსარჩელემ შეიტყო, რომ მან ვერ უზრუნველყო კომპურა ამწის დაცვა-შენახვა და ამწე გაიძარცვა. სასამართლომ დაადგინა, რომ ამწე გაიძარცვა 1993-94 წლებში და აღნიშნული მოსარჩელისათვის ცნობილი იყო, ვინაიდან ის სისტემატურად ნახულობდა ამწეს. სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სარჩელი შეტანილია 2006 წლის 12 დეკემბერს, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის შემდეგ, რაც, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 84-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში შპს „თბილმეტრომშენმა“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა აპელანტის მითითებაზე, რომ ქირავნობის ხელშეკრულება მოიცავდა კონკრეტულ პერიოდს, კერძოდ, კომპურა ამწე „თბილგვირაბშენს“ ქირავნობით გადაცემული ჰქონდა 1992 წლის 1 აპრილიდან 1992 წლის 31 დეკემბრამდე. აღნიშნულის მიუხედავად, პალატამ მიიჩნია, რომ მხარეებს უნდა ეხელმძღვანელებათ არა იმ დროს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსით, არამედ სსრკ-ის საამშენებლო საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1964 წლის 31 მარტს დამტკიცებული დებულებით და მოპასუხეს სასამართლოს გადაწყვეტილებით დავალა კომპურა-ამწის დემონტაჟი და ტრანსპორტირება, რაც კანონის არასწორად განმარტების შედეგია. საქმის მასალებით უდავოდაა დადგენილი, რომ 1993 წლიდან ქვემოქირავნეს კომპურა ამწე აღარ ესაჭიროებოდა მშენებლობისათვის და აღარ იყენებდა მას. აპელანტისათვის ასევე ცნობილი იყო, რომ 1993-1994 წლებში კომპურა ამწე დაზიანდა და გაიძარცვა, რაც მხარემ დაადასტურა პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლო სხდომებზე. ამდენად, უსაფუძვლოა მოსაზრება, რომ ქირავნობის ან თუნდაც იჯარის ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ მისთვის 2006 წლამდე ცნობილი არ იყო. შპს „მშენმექანიზაცია 2000“ და მისი წინამორბედი ორგანიზაცია ვალდებული იყვნენ, სათანადო სარჩელით კანონით დადგენილ ვადებში მოეთხოვათ კომპურა ამწის ქირავნობის ან საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტა და ზარალის ანაზღაურება, რაც მათ არ განუხორციელებიათ. მოდავე მხარეებს შორის 1993 წლიდან ხელშეკრულების შეწყვეტის ფაქტი იმითაც დასტურდება, რომ მოიჯარე კომპურა ამწის სარგებლობისათვის მეიჯარეს 1993 წლიდან ქირას აღარ უხდიდა. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს შპს „მშენმექანიზაცია 2000-ის“ მოთხოვნა ხანდაზმულად უნდა ეცნო, როგორც კომპურა-ამწის აღდგენის, ასევე, მისი დემონტაჟისა და ტრანსპორტირების ნაწილშიც. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მოიპოვა სსიპ საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის ამწე მექანიზმების, საქვაბე დანადგარებისა და თბოელექტროსადგურების ზედამხედველობის სამმართველოს მიერ გაცემული ცნობა, რომლის მიხედვით თბილისის ზღვის დასახლების ტერიტორიაზე ამჟამად დგას კომპურა ამწე კბ 100.3 საქარხნო #3308, რეგისტრაციის #25268, რომელიც ეკუთვნის მექანიზაციის მობილური სამმართველოს „საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამსახურს“. შპს „მშენმექანიზაცია 2000“ კი თავის სასარჩელო განცხადებაში ითხოვდა 1988 წელს დამზადებულ კბ 100, 3-1<sup>ა</sup> კომპურა-ამწეს საქარხნო #4001, რეგისტრაციის #26331, რომელიც მდებარეობს თბილისის ზღვის დასახლებაში, რეალურად ასეთი ნომრის კომპურა-ამწე თბილისის ზღვის დასახლებაში არ დგას. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა თბილისის ზღვის დასახლებაში მდებარე კომპურა-ამწის აღდგენის, დემონტაჟისა და ტრანსპორტირების შესახებ ყოველგვარ იურიდიულ საფუძველსაა მოკლებული, რამდენადაც მითითებული ამწე მოსარჩელის საკუთრება არ არის და სულ სხვა ორგანიზაციას ეკუთვნის.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შპს „მშენმექანიზაცია 2000-მა“ წარმოადგინა 2009 წლის 15 სექტემბრის #ა-1919-09 განცხადება, რომელსაც დაურთო წერილობითი მტკიცებულებანი 9 ფურცლად.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს "თბილმეტრომშენის" საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებული დარღვევა არ არსებობს და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული საფუძვლები მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 1992 წლის აპრილში თბილგვირაბმშენსა და მექანიზაციის მობილურ სამმართველოს შორის სამშენებლო მექანიზმებზე გაფორმდა ქვეიჯარის ხელშეკრულება, რომლის თანახმად სამმართველომ ვალდებულია იკისრა, თბილგვირაბმშენისათვის მიეწოდებინა სამშენებლო მექანიზმი კბ 100-3 1992 წლის 1 აპრილიდან 1992 წლის 31 დეკემბრამდე და შეესრულებინა ამწე სამუშაოები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში, დადგენილი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად. სანაცვლოდ, თბილგვირაბმშენს უნდა უზრუნველყო ცვლაში არანაკლებ 8 საათის განმავლობაში სამშენებლო მექანიზმის შეუფერხებელი მუშაობა და დადგენილ ვადებში გადაეხადა შესრულებული სამუშაოს ღირებულება. კომპურა ამწის გამოყენება ხდებოდა თბილისის ზღვის დასახლებაში საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის და დღემდე ამწე დამონტაჟებულია აღნიშნულ მისამართზე. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მართვის სამინისტროს კოლეგიის 1994 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით დაფუძნდა სს „მშენმექანიზაცია“. თბილისის გლდანის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 19 ოქტომბრის დადგენილებით განხორციელდა სს „მშენმექანიზაციის“ რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში. 1999 წლის 23 დეკემბერს სს „მშენმექანიზაცია“ დაიყო ორ საწარმოდ: შპს „მშენმექანიზაცია 2000-ად“ და შპს „მამულოდ“. ქონების გაყოფის შედეგად, შპს „მშენმექანიზაცია 2000-ს“ გადაეცა კომპურა ამწე კბ 100.3, რომელიც ირიცხება მის საწესდებო კაპიტალში. თბილგვირაბმშენის სსმს-ს უფლებამონაცვლეს წარმოადგენს შპს „თბილმეტრომშენი“.

მხარეთა შორის დავის წარმოშობის მომენტისათვის მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქცია) 154-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით ან ამ კოდექსის მე-4 მუხლში აღნიშნული სხვა საფუძვლით. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მეორე აბზაცის მიხედვით კი სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა გარიგებებისაგან, რომლებიც თუმცა არაა გათვალისწინებული კანონით, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას; ადმინისტრაციული აქტებისაგან, მათ შორის -სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის დაგეგმვის აქტებისაგან. დასახელებული ნორმები ცხადყოფს, რომ მხარეებს შორის უფლება-მოვალეობების წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველი შეიძლება იყოს გარიგება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ სავსებით სწორად გაამახვილა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ სადავო ქვეიჯარის ხელშეკრულების დადების საფუძვლად მხარეებმა გარიგებაში მიუთითეს საერთო დებულებაზე, ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დავის გადაწყვეტისას მართებულად იხელმძღვანელა სსრკ-ის სამშენებლო საქმეთა სახ. კომიტეტის მიერ 1964 წლის 31 მარტს დამტკიცებული დებულებით მექანიზაციის სპეციალიზებულ ტრესტებსა (სამმართველოებს) და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებს შორის ურთიერთობისა და ანგარიშგების შესახებ. აღნიშნული დებულების პირველი ნაწილის მეორე პუნქტის მიხედვით, მექანიზაციის ტრესტები (სამმართველოები) გეგმის შესაბამისად, რომლებსაც ადგენს ზემდგომი ორგანოები მექანიზაციის საშუალებების გამოყენებით ასრულებენ სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოებს, ჩატვირთვის, გადმოტვირთვისა და სხვა დამხმარე სამუშაოებს, აგრეთვე, წარუდგენენ სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებს მექანიზმებს, მექანიზირებულ ინტერუმენტს და ცალკეულ შემთხვევებში სამშენებლო მანქანებს იჯარით. მესამე პუნქტის შესაბამისად, ტრესტების (სამმართველოების) მიერ ამ დებულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით მექანიზაციის სამუშაოს შესრულება წარმოებს ხელშეკრულებებით, რომლებიც ფორმდება მოქმედი კანონმდებლობით. ამავე დებულების მე-4 ნაწილით განსაზღვრულია მხარეთა ურთიერთობა მექანიზაციის ტრესტების მიერ მანქანებისა და მექანიზებული ინტერუმენტების გადაცემისას სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებისათვის იჯარის პირობებში, ხოლო 28-ე პუნქტით გათვალისწინებულია სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების ვალდებულებები, რომლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამშენებლო და სამონტაჟო

ორგანიზაციები ვალდებული არიან, მექანიზაციის ტრესტს (სამმართველოს) დროულად (იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ) საკუთარი ძალებითა და ხარჯებით მიაწოდონ მექანიზმი, მანქანა და მექანიზირებული ინსტრუმენტი და ჩააბარონ აქტით.

მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, ზემოხსენებული დებულება არეგულირებს ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებს მექანიზაციის ტრესტებსა (სამმართველოებს) და სამშენებლო ორგანიზაციებს შორის, რა დროსაც იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში, სათანადო სამუშაოების შესრულების მიზნით, მექანიზაციის ტრესტები (სამმართველოები) სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებს გადასცემენ მექანიზმებს, მექანიზირებულ ინსტრუმენტებსა და სამშენებლო მანქანებს. ამასთან, დებულება ითვალისწინებს სამშენებლო ორგანიზაციათა ვალდებულებას, იჯარის ვადის გასვლის შემდეგ საკუთარი ხარჯით მოახდინონ იჯარის საგნის დემონტაჟი და მეიჯარისათვის დაბრუნება.

განსახილველ შემთხვევაში სადავო ქვეიჯარის ხელშეკრულება გაფორმდა რა თბილგვირაბმშენსა და მექანიზაციის მობილურ სამმართველოს შორის, აღნიშნული გარიგებით წარმოშობილი უფლება-მოვალეობანი იმავე მოცულობით ვრცელდება მითითებულ ორგანიზაციათა უფლებამონაცვლეებზე - შპს „თბილმეტრომშენსა“ და შპს „მშენმექანიზაცია 2000-ზე“.

ამდენად, სრულიად დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ სადავო იჯარის საგნის -კომპლურა ამწის დემონტაჟისა და ტრანსპორტირების ვალდებულება შპს „თბილმეტრომშენს“ უნდა დაეკისროს. შესაბამისად, ამ ნაწილში სააპელაციო პალატამ შპს „მშენმექანიზაცია 2000-ის“ სასარჩელო მოთხოვნა სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებულად სწორად ჩათვალია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ მხარეთა შორის არსებობდა არა იჯარის, არამედ -ქვეიჯარის ხელშეკრულება, რომელთან დაკავშირებული დავაც უნდა გადაწყვეტილიყო მხოლოდ სამოქალაქო სამართლის კოდექსის ნორმათა საფუძველზე, ზემოთ მითითებული დებულების მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად, ვინაიდან მითითებული მოსაზრება ეწინააღმდეგება მხარეთა შორის დადებული გარიგების შინაარსს.

ასევე უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება კომპლურა ამწის დემონტაჟისა და ტრანსპორტირების ნაწილში მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, ვინაიდან მოპასუხეს არასდროს გაუხდია სადავოდ მოსარჩელის საკუთრება სადავო ნივთზე, ხოლო მესაკუთრეს უფლება აქვს, მისი მიხედვლების შესაბამისად ნებისმიერ დროს მოითხოვოს ნივთის გამოთხოვა. ნივთის გამოთხოვის უფლება დაკავშირებულია მის დემონტაჟთან და ორივე მოთხოვნასთან დაკავშირებული ხანდაზმულობის ვადები ერთნაირად უნდა იყოს გამოთვლილი. შესაბამისად, ნივთის მესაკუთრე უფლებამოსილია, მოითხოვოს ნივთის სხვისი უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა, ხოლო არაუფლებამოსილი მფლობელი ვალდებულია, თავისი ხარჯებით დააბრუნოს ნივთი.

რაც შეეხება კასატორის არგუმენტს ახალი მტკიცებულების წარდგენის თაობაზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. აღნიშნული ნორმის სამართლებრივი ანალიზი ცხადჰყოფს, რომ საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის განხილვისას შემოიფარგლება მხოლოდ იმ ფაქტებისა და მტკიცებულებების შეფასებით, რომელზეც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს აქვთ ნამსჯელი. განსახილველ შემთხვევაში კასატორი უთითებს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მოიპოვა სსიპ საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის ამწე მექანიზმების, საქვაბე დანადგარებისა და თბოელექტროსადგურების ზედამხედველობის სამმართველოს მიერ გაცემული ცნობა, რომლის მიხედვით თბილისის ზღვის დასახლების ტერიტორიაზე ამჟამად დგას კომპლურა ამწე კბ 100.3 საქარხნო #3308, რეგისტრაციის #25268, რომელიც ეკუთვნის მექანიზაციის მორბილური სამმართველოს „საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამსახურს“. შპს „მშენმექანიზაცია 2000“ კი თავის სასარჩელო განცხადებაში ითხოვდა 1988 წელს დამზადებულ კბ 100, 3-1<sup>ა</sup> კომპლურა-ამწეს საქარხნო #4001, რეგისტრაციის #26331, რომელიც მდებარეობს თბილისის ზღვის დასახლებაში. აღნიშნული კი ადასტურებს, რომ რეალურად ასეთი ნომრის კომპლურა-ამწე თბილისის ზღვის დასახლებაში არ დგას. ამდენად, შპს „თბილმეტრომშენის“ მიერ წარმოდგენილ ახალ მტკიცებულებასა და მასთან დაკავშირებულ მხარის მოსაზრებაზე საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს, ვინაიდან ზემოხსენებული გარემოება სააპელაციო პალატის მიერ არ შეფასებულია.

საკასაციო სასამართლოში ახალი მტკიცებულების წარდგენის დაუშვებულობის გამო შპს „მშენმექანიზაცია 2000-ს“ უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 2009 წლის 15 სექტემბრის #ა-1919-09 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 9 ფურცლად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

შპს "თბილმეტრომშენის" საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

შპს "მშენმექანიზაცია 2000-ს" დაუბრუნდეს მის მიერ 2009 წლის 15 სექტემბრის #ა-1919-09 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 9 ფურცლად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**3. სესხის ხელშეკრულება**

**განჩინება**

#ას-1055-1239-08

5 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი**

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 6 ივლისს სს „საქართველოს საზღვაო ბანკმა“ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს შპს „ბათუმის სავაჭრო ნავსადგურის“ მიმართ და მოპასუხისათვის 486 312.5 აშშ დოლარის დაკისრება მოითხოვა.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2002 წლის 28 ივლისს მოსარჩელემ სს „საქართველოს სავაჭრო ნავსადგურთან“ გააფორმა საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოპასუხეზე სესხად გაიცა 700 000 აშშ დოლარი. ხელშეკრულების შესრულების ვადად განისაზღვრა 2017 წელი, ხოლო წლიური პროცენტის სახით -14%. ხელშეკრულებით დადგინდა, რომ კრედიტისა და კუთვნილი საპროცენტო სარგებლის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში მსესხებელს ვადაგადაცილებულ დღეზე კრედიტორისთვის უნდა გადაეხადა პირგასამტეხლო კრედიტის თანხის თვიური 2% რაოდენობით, ხოლო გადახდის გრაფიკით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის -ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თანხის თვიური 2%. ხელშეკრულებითვე იქნა განსაზღვრული მსესხებლის ვალდებულების შესრულების კონკრეტული გრაფიკი, რომლის თანახმად, ვალდებულების შესრულების პერიოდად მითითებულ იქნა ყოველი თვის ბოლო, ხოლო ყოველთვიურ გადასახდელ თანხაში განისაზღვრა როგორც ძირითადი, ისე -დარიცხული პროცენტის თანხის ნაწილი.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შპს „ბათუმის სავაჭრო ნავსადგურს“ მიერ სრულდებოდა ნაწილობრივ 2004 წლის სექტემბრამდე, შემდგომ მან შეწყვიტა ვალდებულების შესრულება, აღარ გადაიხადა გრაფიკით გათვალისწინებული ყოველთვიური თანხა, რის გამოც დავალიანების თანხამ შეადგინა 1 050 646.56 აშშ დოლარი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს „ბათუმის სავაჭრო ნავსადგურს“ დააკისრა სს „საქალაქო საზღვაო ბანკის“ სასარგებლოდ 546 334.26 აშშ დოლარის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების დროს არ ყოფილა მოთხოვნილი სესხის პროცენტი და ვადაგადაცილების პროცენტი.

მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის 486312.5 აშშ დოლარის დაკისრება სესხის ძირითადი თანხის პროცენტისა და პირგასამტეხლოს სახით, რაც სარჩელის აღძვრის პერიოდისათვის შეადგენდა 486 312.5 აშშ დოლარს -დარიცხული პროცენტის სახით -379409.8 აშშ დოლარს, ხოლო პირგასამტეხლოს სახით -107 902.7აშშ დოლარს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. შპს „ბათუმის სავაჭრო ნავსადგურს“ დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 353 662 ლარის გადახდა. თანხის დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლობის გამო.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2002 წლის 28 ივლისს სს „საქართველოს საზღვაო ბანკს“ და შპს „ბათუმის სავაჭრო ნავსადგურს შორის“ გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ბანკის მიერ მოპასუხეზე სესხად გაიცა 700 000 აშშ დოლარი. ხელშეკრულების შესრულების ვადად განისაზღვრა 2017 წელი, ხოლო წლიური პროცენტის სახით -14%. ძირითადი ხელშეკრულების მე-5 პუნქტის თანახმად განისაზღვრა, რომ კრედიტისა და კუთვნილი საპროცენტო სარგებლის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში მსესხებელს ვადაგადაცილებულ დღეზე კრედიტორისათვის უნდა გადაეხადა პირგასამტეხლო კრედიტის თანხის თვიური 2% რაოდენობით, ხოლო გადახდის გრაფიკით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის -ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თანხის თვიური 2%. მოპასუხემ დაარღვია ვალდებულება, რის გამოც მოსარჩელემ ვადაზე ადრე შეწყვიტა ხელშეკრულება და მოითხოვა თანხის უკან დაბრუნება. დადგენილი იქნა, რომ მოპასუხეს ძირითადი თანხის სახით დავალიანებად გააჩნდა 546 334.26 აშშ დოლარი, რომლის გადახდაც დაეკისრა სასამართლოს გადაწყვეტილებით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მითითებული თანხა მოპასუხეს ნებაყოფლობით არ გადაუხდია, ხოლო მოსარჩელეს მისი მოთხოვნა ძირითადი თანხის გადახდის მოთხოვნასთან ერთად არ დაუყენებია.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება, შესრულება შეუძლებელია გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც. სასამართლოს მითითებით, მხარეები საკრედიტო ხელშეკრულების დადების დროს შეთანხმებული იყვნენ ძირითადი თანხისა და შესაბამისი პროცენტის გადახდის თაობაზე. ხელშეკრულების თანახმად, 2004 წლის სექტემბრიდან 2006 წლის ივნისამდე მოპასუხეს პროცენტის სახით უნდა გადაეხადა 275 206 აშშ დოლარი. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მითითებული თანხა მოპასუხეს გადახდილი არ ჰქონდა და შესაბამისად, ამ თანხის გადახდაზე მოსარჩელის მოთხოვნა საფუძვლიანი იყო.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს ასევე უნდა დაეკისრებოდა ხელშეკრულების დარღვევისათვის გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა გრაფიკით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის -ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თანხის თვიური 2%-ის ოდენობით. დასახელებულმა თანხამ ხელშეკრულების მე-5 პუნქტით დადგენილი გაანგარიშებით 2004 წლის სექტემბრიდან 2006 წლის ივნისამდე პერიოდში შეადგინა 78 456 აშშ დოლარი.

სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხეს დაეკისრებოდა პროცენტის გადახდა ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც. მოსარჩელემ საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა და ძირითადი თანხის გადახდა მოითხოვა 2006 წლის სექტემბერში და სასამართლოს მითითებით, ამ დროიდან მხარეთა შორის ხელშეკრულება შეწყდა, შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის თანხების მოთხოვნა უსაფუძვლო იყო.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის წარმომადგენლის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ბანკს შეუჩერდა საბანკო საქმიანობის ლიცენზია და ამიტომ მას ბანკის სასარგებლოდ აღარ უნდა დაეკისრებოდა ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცენტებისა და პირგასამტეხლოს გადახდა. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების დღიდან კომერციულ ბანკს ეკრძალება ამ ლიცენზიით მინიჭებული საქმიანობა. „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესით დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2003 წლის 11 ივლისის #159 ბრძანების მეორე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების დღიდან ბანკში წყდება პროცენტებისა და საურავების დარიცხვა დეპოზიტებზე და სხვა ვალდებულებებზე. სასამართლოს მოსაზრებით, მითითებული ნორმის მიხედვით პროცენტებისა და საურავების დარიცხვა წყდება ბანკის კრედიტორების მიმართ არსებულ დეპოზიტებზე და სხვა ვალდებულებებზე. მანამდე დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები მხარეებმა უნდა შეასრულონ პირნათლად. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმება ან შეჩერება ბანკს არ ართმევს უფლებას, მოპასუხეს მოსთხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის, პირგასამტეხლოსა და ზიანის ანაზღაურება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურმა“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და მოპასუხისათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, სს „საქართველოს საზღვაო ბანკს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, მტკიცებას არ საჭიროებენ ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. კანონიერ ძალაში შესული ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ 2006 წლის 4 ივნისის მდგომარეობით, 2002 წლის 28 ივნისის საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შპს „ბათუმის სავაჭრო ნავსადგურის საბანკო დავალიანება სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ წინაშე დარიცხული პროცენტებით შეადგენდა 564 334.26 აშშ დოლარს, რაც განსახილველი სარჩელის წარდგენის დროისათვის გადახდილია, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოპასუხეს მის წინაშე გააჩნდა 2004 წლის სექტემბრიდან 2006 წლის ივნისამდე პერიოდის საპროცენტო სარგებლის გადახდისა და ვალდებულების არაჯეროვანი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია სათანადო მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ 2006 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაკისრებული საპროცენტო სარგებელი მოიცავდა მხოლოდ 2004 წლის სექტემბრამდე წარმოშობილ სარგებელს. სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ 2004 წლის სექტემბრიდან 2006 წლის ივნისამდე პერიოდში, შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურის“ დავალიანებამ (საპროცენტო სარგებელი და პირგასამტეხლო) შეადგინა 486 312.5 აშშ დოლარი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების დღიდან კომერციულ ბანკს ეკრძალება ამ ლიცენზიით მინიჭებული ყოველგვარი საქმიანობა. ამავე კანონის მე-20 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საბანკო საქმიანობად მიიჩნევა როგორც დეპოზიტების მოზიდვა, ისე სესხების გაცემა. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2003 წლის 11 ივლისის ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად: „საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების დღიდან, ბანკში წყდება პროცენტებისა და საურავების დარიცხვა დეპოზიტებსა და სხვა ვალდებულებებზე“. პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების დღიდან საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ სესხებზე პროცენტებისა და საურავების დარიცხვის აკრძალვასაც, ვინაიდან ნორმაში მითითებულ „სხვა ვალდებულებად“, რაც დეპოზიტებთან ერთად შეიძლება ითვალისწინებდეს პროცენტებისა და საურავების დარიცხვას, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლიდან გამომდინარე, შეიძლება მიჩნეულ იქნას გაცემული სესხიდან წარმოშობილი ვალდებულებებიც.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „საქართველოს საზღვაო ბანკმა“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის 353 662 აშშ დოლარის დაკისრება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია ბანკის წინაშე არსებული მოპასუხის ვალდებულება შესრულებულად. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ სასარგებლოდ შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურს“ ვალდებულების დარღვევის გამო დავალა სესხის ძირითადი თანხის -564. 334.26 აშშ დოლარის ვადაზე ადრე გადახდა, რითაც დადგენილ იქნა მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა. მითითებული გადაწყვეტილების მიღების დროს არ ყოფილა მოთხოვნილი სესხის პროცენტი და ვადაგადაცილების პროცენტი. ბანკმა შემდგომ აღძრა სარჩელი და ზიანის ანაზღაურების სახით მოითხოვა ზემოაღნიშნული თანხების დაკისრება. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით განისაზღვრა არა მიყენებული ზიანის ოდენობა, არამედ -დადგენილი იქნა ზიანის არსებობის ფაქტი.

2002 წლის 28 ივნისის საკრედიტო ხელშეკრულების მე-5 პუნქტის თანახმად, კრედიტორს პროცენტთან ერთად, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე უნდა გადაეხადა თანხის თვიური 2%, ხოლო გადახდის გრაფიკის დარღვევისთვის -ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თანხის თვიური 2%. კასატორის აზრით, აღნიშნული მუხლების გათვალისწინებით, ზიანის ოდენობა უნდა გამოთ-

ვლილიყო 2004 წლის სექტემბრიდან, ანუ მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობიდან იმ მომენტამდე, როცა მოპასუხეს დაეკისრებოდა შესაბამისი თანხის გადახდა.

კასატორის აზრით, სასამართლომ არასწორად განმარტა და გამოიყენა „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონის პირველი მუხლი და მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი, რადგან ამ ნორმებით ბანკს ეკრძალება ახალი გარიგებების დადება ლიცენზირებას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების მიზნით, თუმცა მას უნარჩუნდება უფლებამოსილება, დაასრულოს ლიცენზიის არსებობის პირობებში დადებული გარიგებები და მიიღოს მისგან წარმოშობილი სარგებელი. კასატორის მოსაზრებით, ასევე არასწორია „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2003 წლის 11 ივლისის #159 ბრძანების მეორე მუხლის მესამე ნაწილის გამოყენება, რომლის თანახმად, საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების დღიდან ბანკში წყდება პროცენტებისა და საურავების დარიცხვა დეპოზიტებსა და სხვა ვალდებულებებზე. ამ ნორმის მიხედვით, პროცენტებისა და საურავების დარიცხვა წყდება ბანკის კრედიტორების მიმართ არსებულ დეპოზიტებზე, რომელთა მიმართ არსებული დავალიანება გადაიტანება შესაბამისი პირის ძირითადი თანხის ანგარიშზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2003 წლის 11 ივლისის ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის განმარტებას იმგვარად, რომ საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების დღიდან ბანკს აღარ აქვს უფლება, საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ სესხებზე მოითხოვოს პროცენტისა და საურავის დარიცხვა. „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის“ მე-2 მუხლის მითითებული ნორმა ითვალისწინებს, რომ საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების დღიდან ბანკში წყდება პროცენტებისა და საურავების დარიცხვა დეპოზიტებსა და სხვა ვალდებულებებზე და ამ თარიღისათვის დარიცხული გაუცემელი პროცენტები გადაიტანება შესაბამისი პირის ძირითად ანგარიშზე. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნულ ნორმაში გათვალისწინებულ „სხვა ვალდებულებებში“ იგულისხმება ბანკის ვალდებულებები სხვა პირთა მიმართ, მაგალითად, როგორცაა დეპოზიტებიდან გამომდინარე ვალდებულებები და აქ არ არის საუბარი მოვალეთა ვალდებულებებზე ბანკის მიმართ. „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის“ მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომერციულ ბანკს ევალება, სრულად გამოიყენოს კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად მის ხელთ არსებული საშუალებები, მათ შორის, სრულად ამოიღოს მის მიმართ არსებული დავალიანებები. „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის“ მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს, რომ ბანკის ლიკვიდატორი ვალდებულია, მსესხებელთა და სხვა დეპიტორთა მხრიდან დავალიანების წერილობითი დასტურით ან რესტრუქტურისაგან გათვალისწინებულ ვადებში დაუფარაობის შემთხვევაში განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება სასამართლო ორგანოებში საქმეების აღძვრის ჩათვლით. უფრო მეტიც, ამავე წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ბანკის ლიკვიდაციის პროცესს დასრულებულად მიიჩნევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სესხებისა და სხვა აქტივების ამოღება შეუძლებელია იმის გამო, რომ მათი მფლობელები გაკოტრებულები არიან ან არ გააჩნიათ რეალიზებადი ქონება. ამდენად, ლიკვიდაციის პროცესში მყოფ კომერციულ ბანკს სრული შესაძლებლობა აქვს, მოვალეთა მიმართ წარადგინოს საპროცენტო და სხვა დავალიანების მოთხოვნები არამარტო საბანკო ლიცენზიის გაუქმებამდე არსებულ პერიოდზე, არამედ ამ პერიოდის შემდეგაც, თუკი ასეთი დავალიანება არსებობს.

მიუხედავად სააპელაციო სასამართლოს მიერ ნორმის არასწორი განმარტებისა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნულს არ გამოუწვევია საქმეზე არსებითად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა. მოსარჩელე სს „საქართველოს საზღვაო ბანკი“ სარჩელით ითხოვდა 2004 წლის სექტემბრიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე პერიოდში მოპასუხე სს „ბათუმის სავაჭრო ნავსადგურისათვის“ პროცენტისა და პირგასამტეხლოს (ვადაგადაცილების პროცენტის) დაკისრებას. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ კანონიერ ძალაში შესული ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილების განხილვის საგანი იყო როგორც სესხის ძირითადი თანხა, ისე –საპროცენტო დავალიანება და ვადაგადაცილების პროცენტი. მოცემულ საქმეზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ სარჩელი დაკმაყოფილდა მხოლოდ 2004 წლის სექტემბრიდან 2006 წლის ივნისამდე პერიოდის პროცენტისა და პირგასამტეხლოს თანხის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში, ხოლო დანარჩენი პერიოდის მოთხოვნის მიმართ სარჩელი არ



დაკმაყოფილდა, რაც სს „საქართველოს საზღვაო ბანკს“ სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებია. ამდენად, საკასაციო საჩივრის დავის საგანია 2004 წლის სექტემბრიდან 2006 წლის ივნისამდე პერიოდის პროცენტისა და პირგასამტეხლოს დავალიანება, რაც მოცულია კანონიერ ძალაში შესული ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სესხის ხელშეკრულება**

#### **განჩინება**

#ას-399-715-09

13 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი**

**დავის საგანი:** ფულადი ვალდებულების შესრულება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2005 წლის 9 აგვისტოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა სს „საქართველოს საზღვაო ბანკმა“ მოპასუხე შპს „ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-ს“ მიმართ. მოსარჩელის საბოლოო მოთხოვნას წარმოადგენდა: 2002 წლის 15 აგვისტოს საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე ბანკიდან მის მიერ სესხის სახით აღებული თანხის, სასამართლო გადაწყვეტილების მიღების დღემდე დარიცხული პროცენტის და ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის პირგასამტეხლოს, აგრეთვე სს „საქართველოს საზღვაო ბანკთან“ 2002 წლის 30 სექტემბერს დადებული საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების, მთლიანობაში 1 357 179 აშშ დოლარის, ასევე წარმომადგენლის ხარჯის მოპასუხისათვის დაკისრება.

სასარჩელო განცხადებიდან და მასზე თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ 2002 წლის 15 აგვისტოს გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება #454 სს „საქართველოს საზღვაო“ ბანკსა და შპს „ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-ს“ შორის, რომლის თანახმად, ბანკმა მოპასუხე ორგანიზაციას მისცა სესხი 500 000 აშშ დოლარის ოდენობით. ხელშეკრულების შესრულების ვადად განისაზღვრა 2017 წელი, ხოლო წლიური პროცენტად -14%.

ზემოაღნიშნული საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად მხარეებს შორის დაიდო გირავნობის ხელშეკრულება #454-ა, რომლითაც საკრედიტო უზრუნველყოფის საშუალებად განისაზღვრა შპს „ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-ს“ წილი შპს „უნივერსალური სავაჭრო ცენტრის“ საწესდებო კაპიტალში.

ძირითადი ხელშეკრულების მეხუთე პუნქტის თანახმად, კრედიტისა და კუთვნილი საპროცენტო სარგებლის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში მსესხებელს კრედიტორისათვის უნდა გადაეხადა პირგასამტეხლო დაუფარავი კრედიტის თანხის თვიური 2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

2002 წლის 30 სექტემბერს შპს „ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-სა“ და სს „საქართველოს საზღვაო ბანკს“ შორის დაიდო კიდევ ერთი საკრედიტო ხელშეკრულება #2002, რომლის შესაბამისად მოპასუხემ სესხის სახით აიღო 1 000 000 აშშ დოლარი ერთი თვის ვადით.

მოსარჩელის მითითებით, 2002 წლის 15 აგვისტოს #454 საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე საბანკო დავალიანება დარიცხული პროცენტებით შეადგენდა 527 931 აშშ დოლარს, ხოლო 2002 წლის 30 სექტემბრის #561 საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელეს გააჩნდა 82 527 აშშ დოლარის ოდენობით დავალიანება. სარჩელის აღძვრის დროისათვის აღნიშნული თანხები ჯამი შეადგენდა 610 458 აშშ დოლარს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 25 აგვისტოს განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 18 დეკემბრის განჩინებით შპს "უნივერსალური სავაჭრო ცენტრი" განსახილველ საქმეში ჩაება მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

2007 წლის 8 ივნისს იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი წარადგინა შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-მ", რომელმაც მოითხოვა სს "საქართველოს საზღვაო ბანკთან" დადებული 2002 წლის 15 აგვისტოს #454 საკრედიტო და #454-ა გირავნობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა და ამ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ურთიერთვალდებულებების შესრულებულად აღიარება.

შეგებებული მოსარჩელის განმარტებით, სადავო 2002 წლის 15 აგვისტოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე სესხი იყო მიზნობრივი ხასიათის, რომელიც ბანკმა გასცა შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ცენტრის" სასარგებლოდ შპს "უნივერსალურ სავაჭრო ცენტრში" 39.462%-იანი წილის შესაძენად. შპს "უნივერსალური სავაჭრო ცენტრის" 100%-იანი წილის მფლობელი იყო სს "საქართველოს საზღვაო ბანკი", რომლისგანაც უნდა შეემთხვეოდა აღნიშნული წილი. აქედან გამომდინარე, სესხის გამცემი და წილის გასხვისების სანაცვლოდ ანაზღაურების მიმღები იყო სს "საქართველოს საზღვაო ბანკი". პრაქტიკულად, სესხად გაცემული 500 000 აშშ დოლარი მოპასუხეს არ მიუღია, იგი დარჩა მოსარჩელესთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგებებულმა მოსარჩელემ მიიჩნია, რომ სახეზე იყო ურთიერთგასაქვეითი მოთხოვნები, ერთი მხრივ, ბანკი ვალდებული იყო, შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-თვის" გადაეცა 500 000 აშშ დოლარი, ხოლო შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ", თავის მხრივ, მოვალე იყო, იგივე თანხა დაებრუნებინა ბანკისათვის.

შეგებებული მოსარჩელის მოსაზრებით, ბანკსა და ტერმინალს შორის 2002 წლის 15 აგვისტოს დადებული #454 საკრედიტო ხელშეკრულება იყო ბათილი. ამის დასაბამებლად შეგებებულმა მოსარჩელემ მიუთითა "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტზე. კანონის დასახელებული ნორმის თანახმად, კომერციულ ბანკს არა აქვს უფლება, რომელიმე კლიენტთან დადოს ისეთი ხელშეკრულება, რომლის მიხედვით სესხის გაცემის ან რაიმე საბანკო მომსახურების გაწევის პირობაა ამ ბანკის ან მისი რომელიმე მონათესავე საწარმოს არასაბანკო მომსახურების შესყიდვა ან გამოყენება. აქედან გამომდინარე, სს "საქართველოს საზღვაო ბანკს" არ ჰქონდა ისეთი ხელშეკრულების დადების უფლება, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ისევ ბანკის საკუთრებაში არსებული ქონების შესყიდვა.

შეგებებულის მოსარჩელის განმარტებით, 2002 წლის 15 აგვისტოს ხელშეკრულების ბათილობის შედეგად აღდგებოდა პირვანდელი მდგომარეობა. რამდენადაც მოპასუხეს საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა რეალურად არ მიუღია, შესაბამისად, მას არც თანხის დაბრუნების ვალდებულება გააჩნდა. რაც შეეხებოდა საკრედიტო ხელშეკრულებაში მითითებული წილის დაბრუნების საკითხს, აღნიშნული წილი შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-ს" საკუთრებაში არ იმყოფებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-ს" მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1 357 179 აშშ დოლარის გადახდა, მასვე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდა 5 000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟი, სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" მოთხოვნა წარმომადგენლის ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა; მოპასუხის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ 2002 წლის 15 აგვისტოს და 2002 წლის 30 სექტემბერს მხარეებს შორის დაიდო #454 და #561 სესხის ხელშეკრულებები, რომელთა მიხედვით, სს "საქართველოს საზღვაო ბანკმა" მოპასუხეზე გასცა კრედიტი 500 000 აშშ დოლარისა და 1 000 000 აშშ დოლარის ოდენობით.

სასამართლოს განმარტებით, ზემოაღნიშნული ხელშეკრულებები წარმოადგენდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებს, რომლითაც კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით (სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლი). საბანკო კრედიტის ხელშეკრულება არის რეალური ხელშეკრულება, რომლის თანახმად საბანკო დაწესებულება მსესხე-

ბელს აძლევს სასყიდლიან კრედიტს. ამდენად, ხელშეკრულების დადება დასტურდება მსესხებლისათვის თანხის გადაცემით.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის შესაგებელში მითითება იმის შესახებ, რომ მას 2002 წლის 15 აგვისტოს #454 ხელშეკრულების საფუძველზე ბანკისაგან აღებული აქვს 500 000 აშშ დოლარი, უნდა შეფასებულიყო როგორც მოპასუხის აღიარება, რომლითაც დასტურდება მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოება აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხის მიერ თანხის მიღების თაობაზე.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" მიერ საქმეში წარდგენილ მოპასუხის მიმართვის ასლზე ბანკისადმი, რომლითაც იგი ითხოვდა სესხის სახით 500 000 აშშ დოლარის მიღებას, აგრეთვე, 2002 წლის 15 აგვისტოს #466 საგადასახადო დავალების ასლზე, რომლითაც მოპასუხემ მესამე პირს გადაურიცხა მითითებული თანხა და აღნიშნა, რომ დასახელებული მტკიცებულებების ანალიზიც ადასტურებდა მოპასუხის მიერ ამ თანხის მიღებას.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, ასევე არ არსებობდა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომლის მიმართ უნდა გავრცელებულიყო ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა. ვადის ათვლა უნდა მომხდარიყო იმ დროიდან, როდესაც შეგებულმა მოსარჩელემ შეიტყო, რომ ბანკმა მას მოთხოვნილი თანხა არ გადაურიცხა. რამდენადაც 2002 წლიდან შეგებებული სარჩელის შეტანამდე გასული იყო 3 წელი, მოთხოვნა ხანდაზმული იყო.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 361-ე, 405-ე მუხლებზე და განმარტა, რომ ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას; ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას; თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ; ამასთან, დამატებითი ვადის დაწესება აუცილებელი არ არის იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ურთიერთობის გაგრძელება დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას.

რამდენადაც საქმეზე დგინდებოდა, რომ მოსარჩელემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და 2002 წლის 15 აგვისტოს #454 ხელშეკრულების თანახმად მოპასუხეს უნაღდო წესით გადასცა 500 000 აშშ დოლარი, ხოლო 2002 წლის 30 სექტემბრის ხელშეკრულებით გადასცა 1 000 000 აშშ დოლარი, ხოლო მოპასუხეს ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების შემდეგ გადასახდელი ჰქონდა 1 357 179 აშშ დოლარი, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ვალდებულება შესრულებას ექვემდებარებოდა.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება სასარჩელო მოთხოვნის მთავარ სხდომაზე გაზრდის თაობაზე, ვინაიდან 2007 წლის 20 ივნისის დაზუსტებულ სარჩელში, რომელიც სასამართლოში წარდგენილ იქნა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულების დავალება, კერძოდ, ამ უკანასკნელისათვის ბანკიდან სესხის სახით აღებული თანხის, მასზე სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე დარიცხული პროცენტისა და ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის პირგასამტეხლოს გადახდა, რაც არ წარმოადგენდა მკაცრად განსაზღვრულ თანხას და გამოთვლილი უნდა ყოფილიყო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის, შესაბამისი დროის მონაკვეთის გათვალისწინებით.

საქალაქო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ, რამდენადაც წარდგენილი 2008 წლის 12 თებერვლის ხელშეკრულებიდან არ ირკვეოდა, გასწია თუ არა მოსარჩელემ ხარჯი ადვოკატის მომსახურებისათვის.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-მ", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტის მითითებით, შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-ს" მიერ კრედიტის მიღების დამადასტურებლად სასამართლომ მიიჩნია 2002 წლის 15 აგვისტოს კრედიტის აღების თხოვნით ბანკისადმი მიმართვის ასლი. ამგვარი მიმართვა მხარის მიერ სესხის მიღების დამადასტურებელ მტკიცებულებად არ უნდა მიჩნეულიყო.

აპელანტი საგულისხმოდ მიიჩნევს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ კრედიტის ძირითადი თანხის და დარიცხული პროცენტის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია. მისი აზრით, მოწინააღმდეგე მხარე ასეთ მტკიცებულებას ვერც წარად-

გენდა, რადგან შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-ს" საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა არ მიუღია.

სასარჩელო მოთხოვნის საბოლოოდ ფორმულირება, კერძოდ, მოთხოვნილი თანხის 1 357 179 აშშ დოლარით განსაზღვრა მოხდა სასამართლოს ძირითად სხდომაზე, რისი უფლებაც, აპელანტის აზრით, მოსარჩელეს არ გააჩნდა. აღნიშნულის შედეგად დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნა.

2002 წლის 30 სექტემბრის საკრედიტო ხელშეკრულებასთან მიმართებით აპელანტმა მიუთითა სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" სალიკვიდაციო კომისიის დასკვნაზე მსესხებლის დავალიანების შესახებ. ამ დასკვნის მიხედვით, კლიენტის - "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-ს" მიერ გადახდილია ძირითადი თანხა -1 000 000 აშშ დოლარი და დარიცხული პროცენტი -77 760 აშშ დოლარი. აქედან გამომდინარე, აპელანტისათვის გაუგებარია, რითი იხელმძღვანელა სასამართლომ მისთვის 82 527 აშშ დოლარის დაკისრებისას და საერთოდ, რა სახის დავალიანებას წარმოადგენდა ეს თანხა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-ს" სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება შეიცვალა მოპასუხისათვის თანხის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-ს" სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" სასარგებლოდ დაეკისრა 1 075 196.5 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-ს" 2002 წლის 15 აგვისტოს მიმართვაზე სს "საქართველოს საზღვაო ბანკისადმი", რომლითაც მან მოითხოვა პარტნიორული წილის გამოსყიდვის მიზნით 500 000 აშშ დოლარი (მოთხოვნაში მითითებულია, რომ მას თან ერთვოდა 2002 წლის 15 აგვისტოს საკრედიტო ხელშეკრულება #454), აგრეთვე, საქმეში არსებულ ამონაწერზე ანგარიშსწორების ანგარიშიდან და დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ზემოაღნიშნული მიმართვის საფუძველზე სს "საქართველოს საზღვაო ბანკმა" შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-ს" სავალუტო ანგარიშზე #3612001400070700 ჩაურიცხა 500 000 აშშ დოლარი.

აპელანტისათვის დასახელებული თანხის გადარიცხვის ფაქტის დამადასტურებლად სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-ს" წარმომადგენლის მიერ წარდგენილ მტკიცებულებაზე (შეპასუხებაზე), სადაც მოპასუხე მიუთითებდა, რომ მან სს "საქართველოს საზღვაო ბანკიდან" აიღო სესხი 500 000 აშშ დოლარის ოდენობით და სესხის დაფარვის ვადა იჭურბოდა 2017 წელს.

იმის გათვალისწინებით, რომ მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოშობილი იყო ვალდებულებითი სამართლის საფუძველზე, კერძოდ, სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სადავო საკითხის გადასაწყვეტად სწორად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლზე, 316-ე, 361-ე, 405-ე, 625-ე (ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი რედაქციით) მუხლებზე.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-თვის" დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობის სისწორე. სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, უნდა შემცირებულიყო, კერძოდ, განახევრებულიყო სასამართლოს მიერ დადგენილი შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო და აპელანტს მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს სახით უნდა დაკისრებოდა 199 455.5 აშშ დოლარის, ხოლო მთლიანობაში -1 075 196.5 (494.444+381.297+199.455.5) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია აპელანტის მოსაზრება იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ სს "საქართველოს საზღვაო ბანკი" სარჩელით ითხოვდა 610 458 აშშ დოლარის გადახდას, თანხის ოდენობის გაზრდა კი მოხდა ძირითად სხდომაზე და სასამართლომ არასწორად დააკმაყოფილა გაზრდილი მოთხოვნა 1 357 179 აშშ დოლარის ოდენობით, რითაც დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლი. საქმეზე დგინდებოდა, რომ სს "საქართველოს საზღვაო ბანკმა" დაზუსტებული სარჩელით სასამართლოს მიმართა 2007 წლის 20 ივნისს და მოითხოვა სესხის სახით აღებული თანხის, დარიცხული პროცენტისა და ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის პირგასამტეხლოს განსაზღვრა და დაკისრება სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან. აღნიშნულმა თანხამ (მოსარჩელის გამოთვლით) დაზუსტებული სარჩელის შეტანის დროს შეადგინა 979 631.34 აშშ დოლარი, ხოლო გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის -1 357 179 აშშ დოლარი. ამ გარემოებებზე მითითებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია,

რომ სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" სალიკვიდაციო კომისიის დასკვნას მსესხებლის დავალიანების შესახებ, რომლის მიხედვით დგინდებოდა, რომ შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-ს" გადახდილი ჰქონდა ძირითადი თანხა 1 000 000 აშშ დოლარი და პროცენტის სახით 77 760 აშშ დოლარი. ამასთან, მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარდგენილი ამონაწერით ანგარიშსწორების ანგარიშიდან ვერ დგინდებოდა, 2002 წლის 1 ოქტომბრისთვის რა თანხა დარჩა გადასახდელი მოპასუხეს 666.66 აშშ დოლარით, რომელმაც 2003 წლის 30 დეკემბრისათვის შეადგინა 160.287.33 აშშ დოლარი. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2002 წლის 30 სექტემბრის #577 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობის გამო 82.527 აშშ დოლარის მოთხოვნა დაუსაბუთებელი იყო და არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მისთვის 1 075 196.5 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-მ", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის აღნიშნული თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმა.

კასატორის ზემოაღნიშნული მოთხოვნის საფუძველები შემდეგში მდგომარეობს:

სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლი. ამ ნორმის თანახმად, საბანკო კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით. შესაბამისად, სახეზე უნდა იყოს კრედიტის გადაცემის და მსესხებლის მიერ ამ თანხის მიღების ფაქტი. თავისთავად საკრედიტო ხელშეკრულების არსებობა არაფერს ნიშნავს, თუ ამ ხელშეკრულების საფუძველზე არ მომხდარა მსესხებლისათვის თანხის გადაცემა. ბანკის მიერ თანხის გადაცემა უნდა განხორციელებულიყო სათანადო პირის მიერ ხელმოწერილი და ბანკის ბეჭდით დამოწმებული საგადასახადო დავალების საფუძველზე, რომელიც დაადასტურებდა, რომ ბანკმა საკრედიტო ხელშეკრულებით ნამდვილად გადაურიცხა 500 000 აშშ დოლარი მოსარჩელეს. შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-ს" მიმართვა კრედიტის მიღების მოთხოვნით არ წარმოადგენს იმ გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებას, რომ მხარემ სესხი ნამდვილად მიიღო.

კასატორისათვის გაუგებარია, იმ პირობებში, როდესაც სს "საქართველოს საზღვაო ბანკი" საუბრობს 2002 წლის ნოემბრამდე მოპასუხის მიერ თანხის გადახდაზე, რატომ არ წარუდგინა მან სასამართლოს კრედიტის ძირითადი თანხის და დარიცხული პროცენტის გადახდის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი. აქვე კასატორი დასძენს, რომ მოსარჩელე ასეთ დოკუმენტს იმ მარტივი მიზეზით ვერ წარადგენდა, რომ შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-ს" არანაირი თანხა არ მიუღია.

კასატორის აღნიშნავს, რომ ანგარიშსწორების ანგარიშით, რომელსაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეყრდნობა, არ დასტურდება საზღვაო ბანკის მიერ შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-სათვის" თანხის მიცემის ფაქტი. ამ დოკუმენტში მითითებულია, რომ 2002 წლის 15 აგვისტოს მოპასუხეს ანგარიშზე ედო თანხა 500 000 აშშ დოლარის ოდენობით და არა ის, რომ მან ეს თანხა საზღვაო ბანკისგან მიიღო. გარდა ამისა, დასაწყისში მითითებულია, რომ მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს ამონაწერს ანგარიშიდან 1862001400070700, მაშინ როდესაც ანგარიშის ნომერი ყველა დანარჩენ შემთხვევაში განსხვავებულია.

კასატორის აზრით, ზემომითითებული დოკუმენტის სიყალბეში ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ თავისთავად ამონაწერი წარმოადგენს ფიზიკური თუ იურიდიული პირის საბანკო ანგარიშზე ყველა თანხის მოძრაობის ამსახველ დოკუმენტს. ამონაწერი არ შეიძლება არსებობდეს ამონარიდის სახით და ასახავდეს მხოლოდ ერთ კონკრეტულ საბანკო ოპერაციას.

2002 წლის 30 ოქტომბერს მხარეებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ერთ მილიონ დოლარზე. აღნიშნულ ხელშეკრულებაში მიეთითა სავალუტო ანგარიში #3612001400070700, ანუ იმ ანგარიშის ნომერი, რომლის ამონაწერიც წარადგინა მხარემ და რომელიც მოიცავს პერიოდს -2002 წლის აგვისტოდან 2005 წლის 27 იანვრამდე. კასატორის მოსაზრებით, ეს ამონაწერი ნამდვილი რომ იყოს, მასში აუცილებლად უნდა ეპოვა ასახვა 1 მილიონი დოლარის ოდენობის თანხის მოძრაობას (2002 წლის 30 სექტემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხა), რომ აღარაფერი ითქვას სხვა საკრედიტო თანხებზე, რომლებიც 2002 წელს საზღვაო ბანკმა გასცა შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-ზე".

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძველების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-ს" საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სა-

სამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი ვერ აქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორი გადაწყვეტილების გამოტანას.

საქმეზე დადგენილია, რომ 2002 წლის 15 აგვისტოს სს „საქართველოს საზღვაო ბანკსა“ და შპს „ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-ს“ შორის დაიდო #454 საკრედიტო ხელშეკრულება 500 000 აშშ დოლარის სესხის გაცემის შესახებ. ხელშეკრულების შესრულების ვადად განისაზღვრა 2017 წელი, ხოლო წლიურ პროცენტად -14%. ამავე ხელშეკრულების თანახმად, კრედიტისა და კუთვნილი საპროცენტო სარგებლის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში მსესხებელს კრედიტორისათვის უნდა გადაეხადა პირგასამტეხლო კრედიტის თანხის თვიური 2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. აღნიშნული ხელშეკრულება ძალაშია.

საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად შპს „ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-ს“ და სს „საქართველოს საზღვაო ბანკს“ შორის დაიდო გირავნობის ხელშეკრულება #454-ა, რომლითაც საკრედიტო უზრუნველყოფის საშუალებად განისაზღვრა შპს „ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-ს“ სადამფუძნებლო წილი შპს „უნივერსალური სავაჭრო ცენტრის“ საწესდებო კაპიტალში.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის დავის საგანია 2002 წლის 15 აგვისტოს საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების არსებობა. კასატორი სადავოდ ხდის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული კრედიტის თანხის -500 000 აშშ დოლარის მიღებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. აქედან გამომდინარე, სს „საქართველოს საზღვაო ბანკმა“ უნდა დაადასტუროს, რომ 2002 წლის 15 აგვისტოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა შპს „ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-ს“ მიღებული აქვს, ხოლო ამ უკანასკნელმა შესაბამისი მტკიცებულებებით უნდა დაამტკიცოს თანხის მიუღებლობა და გააქარწყლოს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

მოცემულ შემთხვევაში სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ მიერ წარდგენილი მტკიცებულებით, კერძოდ, საქმეში არსებული დოკუმენტით დასტურდება, რომ შპს „ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-მ“ 2002 წლი 15 აგვისტოს მიმართა სს „საქართველოს საზღვაო ბანკს“ პარტნიორული წილის გამოსყიდვის მიზნით 500 000 აშშ დოლარის მიღების მოთხოვნით. მოთხოვნაში მითითებულია, რომ მას თან ერთვის საკრედიტო ხელშეკრულება #454. გარდა ამისა, მოსარჩელის მიერ საქმეზე წარდგენილია საგადასახადო დავალების ასლი, ასევე ამონაწერი ანგარიშსწორების ანგარიშიდან, რომლის თანახმად, სს „საქართველოს საზღვაო ბანკმა“ ამავე დღეს -2002 წლის 15 აგვისტოს შპს „ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-ს“ სვალუტო ანგარიშზე ჩარიცხა 500 000 აშშ დოლარი.

შპს „ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-ს“ ზემოაღნიშნული მტკიცებულებების საწინააღმდეგოდ რაიმე სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მხარეთა მტკიცების ტვირთის შეფასების საფუძველზე სწორად დაადგინა 2002 წლის 15 აგვისტოს საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხის მიერ მიღება და, შესაბამისად, ეს უკანასკნელი სწორად ცნო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების ანაზღაურებაზე ვალდებულ პირად. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 361-ე, 405-ე, 625-ე მუხლებზე და სწორად განმარტა, რომ სს „საქართველოს საზღვაო ბანკი“ დასახელებული ხელშეკრულებით დადგენილი უფლება-მოვალეობების ფარგლებში უფლება-მოსილია, მოსთხოვოს შპს „ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-ს“ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების ანაზღაურება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

შპს „ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ-ს“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### 4. გადაზიდვის ხელშეკრულება

##### განჩინება

#ას-453-695-08

21 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი,

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

##### აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 14 ივლისს სს "ქართულმა შაქრმა" თბილისის საოლქო სასამართლოს შპს "საქართველოს რკინიგზის" მიმართ სასარჩელო განცხადებით მიმართა. მოსარჩელემ დაზუსტებულ სარჩელში აღნიშნა, რომ 2002 წლის 10 აპრილს სს "ქართულ შაქრსა" და შპს "საქართველოს რკინიგზას" შორის ხელშეკრულება დაიდო, რომლითაც განისაზღვრა შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ სს "ქართული შაქრის" მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციის პირობები. მხარეთა მიერ ჩატარებული ქრონომეტრაჟის შესაბამისად, შაქრის ნედლეულის ვაგონებიდან დაცლის დროდ 9 ვაგონისათვის 24 საათი განისაზღვრა. 2003 წლის იანვრამდე მხარეები ხელშეკრულების პირობებს ასრულებდნენ. 2003 წლის იანვარში შპს "საქართველოს რკინიგზამ" ცალმხრივად შეაჩერა ხელშეკრულების მე-8 და მე-14 პუნქტები, რომლებიც შეეხებოდა ვაგონების მისასვლელ ლიანდაგზე ყოფნისა და ერთი ვაგონის დაცლაზე გათვალისწინებულ დროს და სს "ქართულ შაქრს" უკანონოდ გადაახდევინა ვაგონების გამოყენების საფასური, 2003 წლისათვის 87 448 ლარი, ხოლო 2004 წელს -370 172, 80 ლარი. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2003 წლის იანვრიდან მათ არაერთხელ მიმართეს შპს "საქართველოს რკინიგზას" ხელშეკრულების მე-8 და მე-14 პუნქტების აღდგენის მოთხოვნით, რაც 2004 წლის 20 აგვისტოდან განხორციელდა. 2005 წლის 14 მარტს სს "ქართულმა შაქრმა" შაქრის ნედლეულის ახალი პარტია შემოიტანა და მისი რკინიგზით ტრანსპორტირება დაიწყო, ხოლო 2005 წლის 21 მარტს შეტანილ იქნა ცვლილება ხელშეკრულებაში. აღნიშნული ცვლილება ითვალისწინებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნორმის ზევით მიწოდებულ და დაყოვნებულ თითოეულ ვაგონზე სატარიფო გადასახადის დარიცხვას. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებაში ცვლილება 2005 წლის 21 მარტს შევიდა, შპს "საქართველოს რკინიგზამ" სს "ქართულ შაქრს" სატარიფო გადასახადები მთელი გასული პერიოდისათვის დააკისრა, რაც მოსარჩელის აზრით, უკანონო იყო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სს "ქართული შაქრის" წარმომადგენელმა შპს "საქართველოს რკინიგზისათვის" 457 620 ლარის დაკისრება, ან ამ თანხის შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2005 წლის 2 ივნისს მოთხოვნილი ვაგონით სარგებლობისა და ტვირთით სარგებლობის გადასახადის ანგარიშში ჩათვლა მოითხოვა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 14 ივლისის განჩინებით სს "ქართული შაქრის" სარჩელი განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაეცა.

შპს "საქართველოს რკინიგზამ" შეგებებული სარჩელი აღძრა და სს "ქართული შაქრისათვის" ვაგონებით სარგებლობის საფასურის 599 409,5 ლარის, აგრეთვე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -5000 ლარის დაკისრება მოითხოვა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2003 წლიდან 2005 წლის იანვრის ჩათვლით შპს "საქართველოს რკინიგზა" ახორციელებდა სს "ქართული შაქრის" ნედლეულის გადაზიდვას სადგურ ბათუმიდან სადგურ აგარამდე, ექსპედიტორი შპს "ინტერი" იყო. აღნიშნული გადაზიდვის ხელშეკრულება მესამე პირის, ტვირთმიმღებ სს "ქართული შაქრის" სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებას წარმოადგენდა. ვინაიდან "ქართულ შაქრს", როგორც ტვირთმიმღებს, ტვირთის გადაცემის ხელშემწილი გარემოების არსებობის მოტივით უარი არ უთქვამს მიწოდებული შაქრის ნედლეულის მიღებაზე, მას ტვირთის მიღებისა და მიწოდებული ვაგონების დროულად დაცლის ვალდებულება წარმოეშვა. სადგურ აგარაში ვაგონების დაყოვნება სს "ქართუ-

ლი შაქრის" მიზეზით იყო გამოწვეული, შესაბამისად სწორედ მას უნდა დაჰკისრებოდა ვაგონით სარგებლობის საფასურის გადახდა. შპს "ინტერის" მიერ განაცხადის წარდგენით თავად მხარეებმა უარყვეს ხელშეკრულების პირობა დღე-ღამეში მხოლოდ 9 ვაგონის მიწოდების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით სს "ქართული შაქრის" სარჩელი შპს "საქართველოს რკინიგზის" მიმართ არ დაკმაყოფილდა, ხოლო შპს "საქართველოს რკინიგზის" შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, სს "ქართულ შაქარს" შპს "საქართველოს რკინიგზის" სასარგებლოდ 599 409,6 ლარის გადახდა დაეკისრა. სასამართლომ არ გაიზიარა სს "ქართული შაქრის" მტკიცება, რომ შპს "საქართველოს რკინიგზა" თვითნებურად აწვდიდა ხელშეკრულებით განსაზღვრულზე მეტი რაოდენობის ვაგონებს და აღნიშნა, რომ სს "ქართულ შაქარს" შეეძლო უარი ეთქვა 9 ვაგონზე მეტის მიღებაზე, რაც მას არ გაუკეთებია, შესაბამისად, იკისრა ვალდებულება ზედმეტი რაოდენობის ვაგონებზეც დაეცვა კანონმდებლობის მოთხოვნები.

სს „ქართულმა შაქარმა“ გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლა, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება და შეგებებულ სარჩელზე უარის თქმა მოითხოვა. აპელანტის მტკიცებით, სასამართლომ შპს "ინტერის" წერილები უსაფუძვლოდ მიიჩნია 829 ვაგონის მიწოდების მოთხოვნის დამადასტურებელ მტკიცებულებად და არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი ისეთი მტკიცებულებები, როგორცაა სადავო პერიოდის მოკრების ბარათები, ვაგონების მიწოდებისა და აკრების უწყისები, აგრეთვე თავად ხელშეკრულების პირობები, ასევე, არ იმსჯელა იმის თაობაზე, ჯეროვნად შეასრულეს თუ არა მხარეებმა თავიანთი ვალდებულებები, გარდა ამისა, გადაწყვეტილებაში არ იყო მითითებული რა ფაქტობრივი გარემოებები დაადგინა სასამართლომ ან რომელ მტკიცებულებებს დაეყრდნო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით შპს "ქართული შაქრის" სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება შპს "საქართველოს რკინიგზის" შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებული ახალი გადაწყვეტილებით შპს "საქართველოს რკინიგზის" სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ 2002 წლის 10 აპრილს სს "ქართულ შაქარსა" და შპს "საქართველოს რკინიგზას" შორის ხელშეკრულება დაიდო, რომლითაც განისაზღვრა შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ სს "ქართული შაქრის" მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციის პირობები;

2003 წლიდან 2005 წლის იანვრის ჩათვლით, შპს "საქართველოს რკინიგზა" სადგურ ბათუმიდან სადგურ აგარამდე სს "ქართული შაქრის" ნედლეულის გადაზიდვას ახორციელებდა. გადაზიდვები ხორციელდებოდა ექსპედიტორ შპს "ინტერის" განცხადების საფუძველზე;

შპს "ინტერი" შპს "საქართველოს რკინიგზას" სადგურ აგარამდე შაქრის ნედლეულის გადასაზიდვად დიდი რაოდენობით ვაგონების მიწოდებას სთხოვდა. ტვირთის გადაზიდვის ღირებულების გადახდა წინასწარ ხორციელდებოდა;

მხარეთა შორის დადებული #52/2 ხელშეკრულების საფუძველზე მისასვლელ ლიანდაგზე ერთდროულად 9 ვაგონი მიეწოდებოდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სს "ქართული შაქარი" ხელშეკრულებაში 2005 წლის 21 მარტს განხორციელებულ ცვლილებებამდე თავისუფლდებოდა ვაგონით სარგებლობის გადასახადისაგან მისასვლელი ლიანდაგის გათავისუფლების მოლოდინში, მიუხედავად მიწოდებული ვაგონების რაოდენობისა, ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის გარემოებებით არ დასტურდებოდა, რომ სს "ქართული შაქარმა" 457 620 ლარი იმ პერიოდისათვის გადაიხადა, როცა იგი გათავისუფლებული იყო ვაგონით სარგებლობის გადასახადისაგან. რაც შეეხება შპს "საქართველოს რკინიგზის" შეგებებულ სარჩელს, სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან წარმოდგენილი არ ყოფილა "რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის" წესების 414-ე მუხლით გათვალისწინებული საერთო ფორმის აქტები, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა პასუხისმგებლობის დადგენა შეუძლებელი იყო.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩივრა.

სს „ქართული შაქრის“ წარმომადგენელმა საკასაციო საჩივრით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმება და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სს „ქართული შაქრის“ მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონები, რომლებიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს სარკინიგზო კოდექსის ნორმები, რომლის თანახმადაც რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის ერთადერთ საფუძველს წარმოადგენს ტვირთამგზავნის მიერ გაკეთებული განაცხადი. ასეთი განაცხადი შპს „საქართველოს რკინიგზაში“ საერთოდ არ ყოფილა წარდგენილი და, შესაბამისად, „საქართველოს რკინიგზას“ არ ჰქონდა უფლება, სარკინიგზო კო-



დექსის ნორმების დაუცველად, თავისი შეხედულებისამებრ ტვირთი გადაეზიდა, ხოლო, რაც შეეხება საქმეში არსებულ შპს „ინტერის“ წერილებს ვაგონების გამოყოფის თხოვნით, კასატორის მითითებით, ეს არის სარკინიგზო გადაზიდვებში მიღებული ფორმა და აღნიშნული წერილების საფუძველზე რკინიგზა ჯერ კიდევ არ არის უფლებამოსილი, ტვირთმიმღებს მიაწოდოს გამოყოფილი ვაგონები, რადგან შპს „საქართველოს რკინიგზა“ სარკინიგზო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ტვირთის გადაზიდვას აწარმოებს მხოლოდ სათანადოდ ფორმით განაცხადის წარდგენის შემთხვევაში. კასატორმა ასევე აღნიშნა, რომ შპს „ინტერის“ წერილები თუნდაც ჩაითვალოს განაცხადებად, ამის მიუხედავად, შპს „საქართველოს რკინიგზას“ 2002 წლის 10 აპრილის ხელშეკრულების საფუძველზე უფლება არ ჰქონდა, სს „ქართული შაქრისთვის“ მიეწოდებინა ხელშეკრულების მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ ოდენობაზე მეტი ვაგონი.

შპს „საქართველოს რკინიგზამ“ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით სს „ქართული შაქრის“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შპს „საქართველოს რკინიგზის“ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებითაა გამოტანილი, კერძოდ კი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის უხეში დარღვევით. მითითებული ნორმის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და გარემოებებს, რომლებიც მხარეს შეემლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში და არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა. კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოში სს „ქართულმა შაქარმა“ ახალ ფაქტობრივ გარემოებაზე მიუთითა და სადავოდ გახადა მათი მიზეზით რკინიგზის ვაგონების მოცდენის ფაქტები. სააპელაციო პალატამ კი სრულად გაიზიარა აპელანტის მოსაზრება საერთო ფორმის აქტებთან დაკავშირებით და ამ აქტების საქმეში წარმოდგენლობის მოტივით არ დააკმაყოფილა რკინიგზის შეგებებული სარჩელი.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ, ვინაიდან სს „ქართული შაქარი“ თავად აღიარებდა დაბა აგარაში მიწოდებული ვაგონების მოცდენის ფაქტს და შესაბამისი წერილობითი მტკიცებულებებიც წარმოადგინა, შპს „საქართველოს რკინიგზამ“ საჭიროდ აღარ ჩათვალა საერთო ფორმის აქტების სასამართლოში წარდგენა.

კასატორის მითითებით, სს „ქართული შაქარი“ არც თავდაპირველ და არც დამატებით სააპელაციო საჩივარში არ უარყოფდა ვაგონების მოცდენას, აღნიშნული გარემოება აპელანტმა სადავოდ მხოლოდ სააპელაციო საჩივრის არსებითი განხილვისას მიცემული განმარტების დროს გახადა, რაც სააპელაციო სასამართლოს მიერ უკანონოდ იქნა გაზიარებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 4 სექტემბრის განჩინებებით შპს „საქართველოს რკინიგზისა“ და სს „ქართული შაქრის“ საკასაციო საჩივრები მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ სს „ქართული შაქრის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

2002 წლის 10 აპრილს სს „ქართულ შაქარსა“ და შპს „საქართველოს რკინიგზას“ შორის ხელშეკრულება დაიდო, რომლითაც განისაზღვრა შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ სს „ქართული შაქრის“ მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციის პირობები;

2003 წლიდან 2005 წლის იანვრის ჩათვლით შპს „საქართველოს რკინიგზა“ სადგურ ბათუმიდან სადგურ აგარამდე სს „ქართული შაქრის“ ნედლეულის გადაზიდვას ახორციელებდა. გადაზიდვები ექსპედიტორ შპს „ინტერის“ განცხადების საფუძველზე ხორციელდებოდა;

შპს „ინტერი“ შპს „საქართველოს რკინიგზას“ სადგურ აგარამდე შაქრის ნედლეულის გადასაზიდვად დიდი რაოდენობით ვაგონების მიწოდებას სთხოვდა. ტვირთის გადაზიდვის ღირებულების გადახდა წინასწარ ხორციელდებოდა;

მხარეთა შორის დადებული #52/2 ხელშეკრულების საფუძველზე მისასვლელ ლიანდაგზე ერთდროულად 9 ვაგონი მიეწოდებოდა.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სს "ქართული შაქრის" მტკიცებას, რომ მას არ ჰქონდა უფლება, გამოეყო ვაგონები, ვინაიდან შპს "საქართველოს რკინიგზისათვის" დადგენილი ფორმის განაცხადები წარდგენილი არ ყოფილა.

საქმეში წარმოდგენილია ექსპედიტორ შპს "ინტერის" წერილები შპს "საქართველოს რკინიგზისადმი", რომლებითაც ის ითხოვს გარკვეული რაოდენობის ვაგონების მიწოდებას.

მოცემულ შემთხვევაში გადაზიდვის ხელშეკრულების მხარეებია შპს "საქართველოს რკინიგზა" – გადაზიდველი, შპს "ინტერი" – ექსპედიტორი და სს "ქართული შაქრი", რომლის სასარგებლოდაც დადებული იყო გადაზიდვის ხელშეკრულება. მართალია, შპს "ინტერის" წერილები თავისი ფორმით არ შეესაბამება "რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესებით" გათვალისწინებულ განაცხადს, მაგრამ მათში დაფიქსირებულია მოთხოვნა კონკრეტული რაოდენობის ვაგონების გამოყოფის თაობაზე, ანუ მხარის მიერ გამოვლენილია ნება. მხარეთა ნამდვილი ნება საკმარისია იმისათვის, რომ გარიგება დადებულად ჩაითვალოს. სამოქალაქო კოდექსის 672-ე მუხლის მიხედვით, გადაზიდვის ხელშეკრულება ფორმდება ზედნადების (ან სხვა დოკუმენტის) სახით. ზედნადების არარსებობის, მისი ხარვეზის ან დაკარგვის მიუხედავად, გადაზიდვის ხელშეკრულების შინაარსი და ნამდვილობა განისაზღვრება ამ თავის ნორმებით. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, გადაზიდვის ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული ფორმალური მოთხოვნების დაუცველობა ამგვარი ხელშეკრულების ბათილობას არ იწვევს. ასეთ შემთხვევებში მთავარია მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა ნათლად მიუთითებდეს გადაზიდვის ხელშეკრულების დადებაზე. მოცემულ შემთხვევაში, შპს "ინტერის" წერილები და შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ ვაგონების გამოყოფის ფაქტი საკმარისი სამართლებრივი საფუძველია იმისათვის, რომ ხელშეკრულება დადებულად ჩაითვალოს. ამდენად, კასატორის მითითება იმის შესახებ, რომ სპეციალური ფორმის განაცხადების არარსებობის გამო, რკინიგზა არ იყო უფლებამოსილი, ვაგონები გამოეყო, უსაფუძვლოა.

საკასაციო პალატა ასევე არ იზიარებს კასატორ სს "ქართული შაქრის" მტკიცებას, რომ 2002 წლის 10 აპრილის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შპს "საქართველოს რკინიგზა" არ იყო უფლებამოსილი სს "ქართული შაქრისათვის" დღე-ღამეში 9 ვაგონზე მეტი მიეწოდებინა და ქარხანა პასუხისმგებელი არ არის 9 ვაგონზე მეტის მოცდენაზე.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სარკინიგზო გადაზიდვები თავის თავში ორ ხელშეკრულებას აერთიანებს – ტვირთის გადაზიდვას საერთო სარკინიგზო ქსელის მეშვეობით და მისასვლელი ლიანდაგით სარგებლობას.

საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგი წარმოადგენს ცალკეულ პირთა მომსახურებისათვის განკუთვნილ ლიანდაგს, რომელიც სარკინიგზო ქსელთან დაკავშირებულია უწყვეტი რელსის ლიანდაგით და რკინიგზის, ტვირთგამზავნის (ტვირთმიმღების) ან სხვა პირის მფლობელობაშია.

"რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების" 394-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ვაგონების მიწოდებისა და გამოყვანის პირობები, აგრეთვე, ვაგონების ბრუნვის ტექნოლოგიური ვადა განისაზღვრება ამ წესებით, საქართველოს სხვა სამართლებრივი აქტებითა და მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციის ხელშეკრულებით.

განსახილველ შემთხვევაში, მხარეებმა 2002 წლის 10 აპრილის ხელშეკრულებით განსაზღვრეს მისასვლელ ლიანდაგზე ვაგონის მიწოდებისა და გამოყვანის პირობები.

კასატორი აღნიშნავს, რომ 9 ვაგონზე მეტის მიწოდების შემთხვევაში, ვაგონების მოცდენაზე სს "ქართული შაქარი" მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა პასუხისმგებელი, თუ ხელშეკრულებაში შევიდოდა ცვლილება და ქარხანა ვალდებული იქნებოდა იკისრებდა მისასვლელ ლიანდაგზე ნორმის ზევით მიწოდებული ვაგონების მოცდენისათვის სატარიფო პოლიტიკით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გადახდის ვალდებულებას. ამგვარი ცვლილება კი, ხელშეკრულებაში მხოლოდ 2005 წელს განხორციელდა.

მართალია, ხელშეკრულებაში ცვლილება წერილობითი ფორმით 2005 წლის 21 მარტს შევიდა, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ცვლილების განხორციელებამდე, კერძოდ კი 2004 წლის ივნისისათვის, შპს "საქართველოს რკინიგზა" მხარეებს აწვდიდა შპს "ინტერის" მოთხოვნის შესაბამისი რაოდენობის ვაგონებს. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, შპს "ინტერი" მოცემულ ხელშეკრულებაში ექსპედიტორი იყო, ხოლო სს "ქართული შაქარი" – ტვირთმიმღები, ანუ მხარე, ვის სასარგებლოდაც ხორციელდებოდა გადაზიდვა. შპს "საქართველოს რკინიგზამ" რამდენჯერმე გამოყო შპს "ინტერის" მოთხოვნის შესაბამისი რაოდენობის ვაგონები, სს "ქართულ შაქარს" კი, არც ერთხელ უთქვამს უარი ამ რაოდენობის ვაგონების მიღებაზე. მხარეთა ნება შეიძლება გამოვლინდეს არა მარტო პირდაპირი მითითებით, არამედ კონკლუდენტური მოქმედებითაც. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში მხარეებმა თავიანთი კონკლუდენტური მოქმედებით უარყვეს 2002 წლის 10 აპრილის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვაგონების მაქსიმალური

ლური რაოდენობა, შესაბამისად, სს „ქართული შაქარი“ პასუხისმგებელია შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ გამოყოფილი ყველა ვაგონის მოცდენაზე და სასამართლომ მართებულად არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა გადახდილი თანხის უკან დაბრუნების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სს „ქართული შაქრის“ სარჩელთან დაკავშირებით არსებითად სწორია და უცვლელად უნდა დარჩეს.

რაც შეეხება შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკასაციო საჩივარს, პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გარემოებები, რომლებიც სარკინიგზო მიმოსვლის მონაწილეთა პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს, დასტურდება კომერციული, ტექნიკური და საერთო ფორმის აქტებით. ამავე მუხლის მე-15 ნაწილის მიხედვით კი საერთო ფორმის აქტების შედგენა უნდა მოხდეს „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების“ შესაბამისად. აღნიშნული წესების 433-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საერთო ფორმის აქტს ადგენს სადგური ამ წესების დანართში მოცემული ფორმით, ხოლო იმავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საერთო ფორმის აქტით დასტურდება დანიშნულების სადგურში ვაგონების დაყოვნება ტვირთმიმღების ან მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლის მიზეზით. იმავე წესების 440-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საერთო ფორმის აქტში, რომლის საფუძველზეც გადაიხდება რკინიგზის ვაგონებით (კონტეინერებით) სარგებლობის საფასური – აღნიშნება ვაგონის (კონტეინერის) დაყოვნების მიზეზი, მისი ნომრები, დაყოვნების დაწყებისა და დამთავრების, აგრეთვე დაყოვნების ფაქტობრივი დრო. აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების“ შესაბამისად შედგენილი საერთო ფორმის აქტი არის ერთადერთი დოკუმენტი, საიდანაც შეიძლება დადგინდეს ვაგონების მოცდენის მიზეზი და ტვირთის მიმღების ბრალი. აღნიშნულის გარეშე კი, ვაგონების მოცდენისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება შეუძლებელია.

მოცემულ შემთხვევაში საერთო ფორმის აქტები საქმეში წარმოდგენილი არ არის, ამასთან კასატორი შპს „საქართველოს რკინიგზა“ უთითებს, რომ მათ სასამართლოსათვის არ წარუდგენიათ ზემოაღნიშნული აქტები, ვინაიდან მოსარჩელე ვაგონების მოცდენის ფაქტს სადავოდ არ ხდოდა. იგივე არგუმენტს იშველიებდა მხარე სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას.

მართალია, საპროცესო კანონმდებლობით, საქმის წარმოებისას მხარეები სარგებლობენ თავისუფლებით წარადგინონ მტკიცებულებები, დაასაბუთონ თავინთი მოთხოვნა, ან მიუთითონ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც შეიძლება მათი მოთხოვნის დაკმაყოფილებას დაედოს საფუძვლად, მაგრამ ეს უფლება არ არის შეუზღუდავი. დისპოზიციურობის პრინციპის ზემოაღნიშნული ელემენტების რეალიზაცია უნდა მოხდეს იმგვარად, რომ მოწინააღმდეგე მხარეს ჰქონდეს შესაძლებლობა გააქარწყლოს ამგვარი მტკიცება. სწორედ ამიტომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია, საქმის წარმოების რომელ ეტაპზე შეუძლია მხარეს წარადგინოს ახალი მტკიცებულებები, გაზარდოს სასარჩელო მოთხოვნა ან მიუთითოს ახალ ფაქტებზე.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სასამართლოს უნდა გამოეკვლია და ემსჯელა, მოსარჩელემ რეალურად, საქმის წარმოების რომელ ეტაპზე გახადა სადავოდ ვაგონების მოცდენის ფაქტი და საერთო ფორმის აქტების არსებობა. სასამართლოს ასევე უნდა გაეთვალისწინებინა, რამდენად მოსალოდნელი იყო შპს „საქართველოს რკინიგზისათვის“ მოსარჩელის მიერ ამგვარი არგუმენტის წარდგენა, ან ჰქონდა თუ არა მას შესაძლებლობა ამ მოსაზრებისათვის საკუთარი პოზიცია დაეპირისპირებინა და სათანადო მტკიცებულებები წარედგინა სააპელაციო სასამართლომ კი, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით შპს „საქართველოს რკინიგზას“ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე ისე უთხრა უარი, საერთო ფორმის აქტების საქმეში არარსებობს მოტივით, რომ ზემოაღნიშნული გარემოებები არ გამოუკვლევია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკმარისად დასაბუთებული არ არის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი ამგვარ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს ვაგონების მოცდენის ფაქტი, მიზეზები, მხარეთა ბრალი და დავა აღნიშნულის შესაბამისად გადაწყვიტოს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 410-ე, 412-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა :**

სს "ქართული შაქრის" საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

შპს "საქართველოს რკინიგზის" საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

მოცემულ საქმეზე უცვლად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება სს "ქართული შაქრის" სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილების უცვლად დატოვების ნაწილში;

შპს "საქართველოს რკინიგზის" შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გაუქმდეს და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**5. სადაზღვევო თანხის ანაზღაურება**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

#ას-681-902-08

23 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი**

**დავის საგანი:** სადაზღვევო თანხის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2005 წლის 18 მარტს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს სადაზღვევო თანხის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო განცხადებით მიმართა შპს "ინაკომ" მოპასუხე სს სადაზღვევო კომპანია "ალდაგის" მიმართ.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ სს "ალდაგში" დაზღვეულ იქნა ავტომანქანა "ტოიოტა-ლენდერუიზერი" სადაზღვევო თანხით 27 000 აშშ დოლარი. სადაზღვევო პოლისის შესაბამისად, ავტომობილი დაზღვეულ იქნა სრულად, კერძოდ, ქურდობის, ძარცვისა და სხვა რისკისგან. სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა 2003 წლის 15 აპრილიდან 2004 წლის 15 აპრილამდე. 2004 წლის 14 აპრილს მითითებული ავტომანქანა მოპარულ იქნა თბილისში, ... ქ. #2-ის მიმდებარე ტერიტორიიდან. აღნიშნულ ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, თუმცა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების მიუხედავად, ავტომანქანის პოვნა ვერ მოხერხდა. შემთხვევის დღესვე მოსარჩელემ განაცხადით მიმართა სადაზღვევო კომპანიას სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურებაზე, რაზეც მოპასუხემ უარი განაცხადა.

სს სადაზღვევო კომპანია "ალდაგის" ზემოაღნიშნულ უარს მოსარჩელე ამ უკანასკნელის მხრიდან სახელშეკრულებო პირობათა დარღვევად აფასებდა, რის გამოც ითხოვდა მოპასუხისათვის სადაზღვევო თანხის -22 950 აშშ დოლარის, იურიდიულ მომსახურებაზე გაწეული თანხის -2 300 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -1197 ლარის ანაზღაურებას.

მოპასუხე სს "ალდაგმა" სარჩელი არ ცნო და წარდგინდა შესაგებელში განმარტა:

დამზღვევმა სადაზღვევო კომპანიაში წარადგინა არასწორი და ყალბი პრეტენზია #25241, სადაც აღნიშნა, რომ ავტომობილი მძღოლმა გააჩერა ... მოედნის #27-თან, სახლის წინ. შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ქ. თბილისის საგამოძიებო სამსახურის 2004 წლის 5 მაისის #3915-29 ცნობის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმე აღძრულია შპს "ინაკოს" ავტომანქანის გატაცების ფაქტზე და დადასტურებულია, რომ ავტომანქანას გატაცებამდე ფლობდა არაუფლებამოსილი პირი (მრეცხავი), რომელმაც დილის 9 საათზე ავტომანქანა გააჩერა სამრეცხა-

ოს წინ, ხოლო გასაღები ჩამოკიდა კედელზე. 11 საათისთვის მისულ მძღოლს ავტომანქანა და გასაღები ადგილზე აღარ დახვდა.

დაზღვევის პირობების თანახმად, დამზღვევი ვალდებული იყო მიეღო ყველა ზომა ზარალის თავიდან ასაცილებლად. მან უხეში გაუფრთხილებლობით ავტომობილი გადასცა არაუფლებამოსილ პირს, გასაღები აღმოჩნდა მესამე პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილას, რაც გახდა ქურდობის მიზეზი. ამავე პირობების 7.2.7 პუნქტის თანახმად, დამზღვევმა სადაზღვევო კომპანიას ვერ მიაწოდა ყველა გასაღები, რადგან ავტომანქანა გატაცებულია გასაღებთან ერთად. იმის გათვალისწინებით, რომ ავტომანქანას გატაცებამდე მართავდა არაუფლებამოსილი პირი (მრეცხავი) და გატაცება განხორციელდა დამზღვევის უხეში გაუფრთხილებლობით, სადაზღვევო პირობების 7.2.5, 7.2.7, 7.3.7 და 10.3 პუნქტებიდან გამომდინარე, სადაზღვევო კომპანია თავისუფლდებოდა სადაზღვევო თანხის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სს "ალდაგის" მიერ სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველს ის გარემოებაც წარმოადგენდა, რომ არსებითი გარემოებების შესახებ შეტყობინება არასწორ მონაცემებს შეიცავდა (სამოქალაქო კოდექსის 809-ე მუხლი). ამავე კოდექსის 829-ე მუხლი მზღვეველს ასევე ათავისუფლებდა თავისი მოვალეობების შესრულებისაგან, თუ დამზღვევი დაზღვევით გათვალისწინებულ შემთხვევას გამოიწვევდა უხეში გაუფრთხილებლობით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს "ინაკოს" სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს "ინაკოს" და სს სადაზღვევო კომპანია "ალდაგის" შორის გაფორმდა დაზღვევის ხელშეკრულება, რომლითაც დაზღვეულ იქნა მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანა "ტოიოტა ლენდ კრუიზერი", სადაზღვევო თანხა შეადგენდა 27000 აშშ დოლარს.

ასევე უდავოდ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ სადაზღვევო პერიოდში, რომელიც მოიცავდა 2003 წლის 15 აპრილიდან 2004 წლის 15 აპრილამდე დროის მონაკვეთს, 2004 წლის 14 აპრილს მოხდა დაზღვეული ავტომანქანის ქურდობა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს საგამოძიებო სამსახურის 2004 წლის 5 მაისის #39/5-29 ცნობის თანახმად, საქმეზე წარმოებული წინასწარი გამოძიებით დადგინდა შემდეგი: შპს "ინაკოს" კუთვნილ ავტომანქანას ("ტოიოტა ლენდ კრუიზერი-100", შავი ფერის, 2001 წლის გამოშვება) მართავდა აღნიშნული შპს-ის მძღოლი მ. ა-ანი, რომელიც დამით ავტომანქანას აყენებდა თავისი საცხოვრებელი სახლის გვერდით მდებარე, მძის -ა. ა-ანის ავტოფარეხში, რომელშიც პარალელურად გახსნილია ავტოსამრეცხაო. ავტომანქანა დილით ავტოფარეხიდან გამოჰყავდა მრეცხავ ი. გ-შვილს, რომელიც მას აჩერებდა ავტოსამრეცხაოსთან, ხოლო გასაღებს უბრუნებდა მ. ა-ანს ან ტოვებდა ავტოსამრეცხაოში. 2004 წლის 14 აპრილს, დილის 9 საათზე, ი. გ-შვილმა მ. ა-ანს გამოართვა გასაღები, გამოიყვანა ავტომანქანა ქუჩაში, რომ შემდეგ გასაღები ჩამოევიდა კედელზე. თვითონ დაიწყო სხვა მანქანის რეცხვა. ამ დროს მასთან მივიდა უცნობი პირი, რომელმაც სთხოვა, ეთხოვებინა მისთვის ნაჭერი. დაახლოებით 11 საათისთვის მ. ა-ანის მოვლის შემდეგ გაირკვა, რომ გასაღები და ავტომანქანა ადგილზე აღარ იყო. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების მიუხედავად, დამნაშავე პირები დადგენილი ვერ იქნა.

ზემოაღნიშნული გარემოებების საფუძველზე სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომას ხელი შეუწყო დამზღვევის გაუფრთხილებელმა მოქმედებამ.

მხარეთა შორის დაზღვევის ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების 7.2.8 და 7.3.7 პუნქტებიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დამზღვევი ვალდებული იყო, განცხადებულ პრეტენზიასთან ერთად ქურდობის შემთხვევაში მზღვეველისათვის მიეწოდებინა დაზღვეული ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობა და ყველა არსებული გასაღები.

დაზღვევის ხელშეკრულების თანახმად, სიის მიხედვით, უფლებამოსილ მძღოლს წარმოადგენდა მხოლოდ მ. ა-ანი. ამასთან, უდავოდ დგინდებოდა, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე ავტომანქანის ფლობდა მესამე პირი -მრეცხავი, რომელსაც გასაღები გადასცა მ. ა-ანმა. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება დამზღვევს აკისრებდა განსაკუთრებულ ვალდებულებას, რათა მიეღო ყველა ზომა დანაკარგის ან ზიანის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად. ამგვარ დებულებას შეიცავდა ხელშეკრულების 7.2.7 პუნქტი.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მ. ა-ანმა, რომელიც დაზღვეული ავტომანქანის უფლებამოსილ მძღოლს წარმოადგენდა, დაარღვია სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი ყურადღებრიანობის მოთხოვნები და გასაღების სხვა პირისათვის გადაცემით მნიშვნელოვნად გაზარდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის რისკი. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ საგულისხმოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს საგამოძიებო სამსახურ-

რის 2004 წლის 5 მაისის #39/5-29 ცნობის მიხედვით, როგორც წინასწარი გამოძიებით იქნა დადგენილი, ავტოსამრეცხაოს მრეცხავი გასაღებს ავტომანქანის გაყვანის შემდეგ ინახავდა ავტოსამრეცხაოში და სადაზღვევო შემთხვევის დღეს იგი ჩამოვიდა კედელზე სხვებისთვის ხელმისაწვდომ ადგილას.

მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობების თანახმად, სადაზღვევო პოლისის მიხედვით, ანაზღაურებას არ ექვემდებარებოდა ნებისმიერი სახის ზარალი ან დაზიანება, რომელიც დადგა იმ დროს, როდესაც დაზღვეულ ავტომობილს მართავდა ნებისმიერი პიროვნება უფლებამოსილი პირის გარდა. საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მსჯელობა იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში ავტომობილის მართვას ადგილი არ ჰქონია და მისი გადაცემა განხორციელდა კონკრეტული მიზნით, დასუფთავებისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სადაზღვევო ურთიერთობებში მართვად არ შეიძლება მიჩნეულიყო ავტომანქანის მოძრაობა მხოლოდ გზის ძირითად სავალ ნაწილზე და გარკვეულ მანძილზე, არამედ მართვად უნდა განხილულიყო ავტომანქანის ნებისმიერი გადაადგილება, რის დროსაც სადაზღვევო შემთხვევა შეიძლება დამდგარიყო.

საქალაქო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა შპს "ინაკოს" მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი დაზღვევის პირობები დამზღვევის მიერ ხელმოწერილ პირობებს არ წარმოადგენდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებებს. ავტომობილის დაზღვევის განსხვავებული პირობები კი, რომლებზეც შეთანხმდნენ მხარეები, მოსარჩელეს სასამართლოში არ წარუდგენია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობების შესრულებისაგან, თუ დამზღვევმა დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა გამოიწვია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა შპს "ინაკომ", რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

აპელანტის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომას ხელი შეუწყო დამზღვევის გაუფრთხილებელმა მოქმედებამ, ვინაიდან სინამდვილეში ასეთი არ მომხდარა. მესამე პირისთვის ავტომანქანის გასაღების გადაცემა არ უნდა შეფასდეს ავტომანქანის სამართავად გადაცემად. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების სწორად გამორკვევას საქმის შედეგთან მიმართებაში არსებითი მნიშვნელობა გააჩნია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით შპს "ინაკოს" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება გაუქმდა და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს "ინაკოს" სარჩელი დაკმაყოფილდა -სს "ალდაგს" შპს "ინაკოს" სასარგებლოდ დაეკისრა სადაზღვევო თანხის გადახდა 22 950 აშშ დოლარის ოდენობით; სს "ალდაგს" შპს "ინაკოს" სასარგებლოდ ასევე დაეკისრა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -1197 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. ამასთან, სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის ფაქტობრივ გარემოებათა შეფასებას და მათ კვალიფიკაციას. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ მოსარჩელემ თავისი გაუფრთხილებელი მოქმედებით სადაზღვევო შემთხვევის დადგომას შეუწყო ხელი.

მხარეთა შორის დადებული სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების 10.3 პუნქტის თანახმად, სადაზღვევო პოლისის მიხედვით არ ანაზღაურდება ნებისმიერი სახის ზარალი ან დაზიანება, რომელიც დადგა უფლებამოსილი პირის გარდა ნებისმიერი პირის მიერ დაზღვეული ავტომობილის მართვის დროს. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ის გარემოება, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ავტომანქანას მართავდა არაუფლებამოსილი პირი, ვინაიდან საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ უფლებამოსილი მძღოლის -მ. ა-ანის მიერ ავტომანქანის გასაღები მესამე პირს -ი. გ-შვილს გადაეცა კონკრეტული მიზნით -ავტომანქანის გასარეცხად და არა სამართავად. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების პირობები არ დარღვეულა და რომ დაუსაბუთებელია მოპასუხის მსჯელობა იმის შესახებ, რომ სადაზღვევო შემთხვევა გამოიწვია მოსარჩელის გაუფრთხილებელმა მოქმედებამ.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს არ წარმოადგენდა მოპასუხის მიერ მითითებული ის გარემოება, რომ დაზღვევის ხელშეკრულების პირობების 7.2.8 და 7.3.7 პუნქტების საწინააღმდეგოდ მოსარჩელემ არ მიაწოდა მზღვეველს დაზღვეული ავტომანქანის ყველა არსებული გასაღები, ვინაიდან აღნიშნული გამოწვეული იყო ობიექტური მიზეზით –ავტომანქანის ქურდობით. ამასთან, დადგენილი არ იყო სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოება (სადაზღვევო შემთხვევის გამოწვევა დამზღვევის ბრალით), რაც მზღვეველს უფლებამოსილს გახდიდა უარი ეთქვა სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის საფუძველზე სადაზღვევო კომპანიას გააჩნდა მოსარჩელისათვის სადაზღვევო თანხის ანაზღაურების ვალდებულება. ამავე კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, სადაზღვევო კომპანიას უნდა დაკისრებოდა სახელმწიფო ბაჟი სარჩელზე და სააპელაციო საჩივარზე.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს "ალდაგი-ბისიამ", რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი განმარტავს, რომ შპს "ინაკოსა" და სადაზღვევო კომპანია "ალდაგს" შორის დადებული დაზღვევის ხელშეკრულებით დეტალურად განისაზღვრა როგორც მხარეთა უფლება-მოვალეობები, ისე სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი. ხელშეკრულების 7.2.8 და 7.3.7 პუნქტები ადგენს ქურდობის შემთხვევაში დამზღვევის მიერ სადაზღვევო კომპანიისათვის ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობისა და ყველა არსებული გასაღების წარდგენის ვალდებულებას. ამავე ხელშეკრულების 10.3 პუნქტის თანახმად, არ ანაზღაურდება ნებისმიერი სახის ზარალი ან დაზიანება, რომელიც დადგა უფლებამოსილი მძღოლის გარდა დაზღვეული ავტომობილის ნებისმიერი პიროვნების მიერ მართვის დროს. დაზღვევის ხელშეკრულებაში ამგვარი დათქმის არსებობა სხვადასხვა ფაქტორებითაა განპირობებული. ერთი მხრივ, აღნიშნული წარმოადგენს პრევენციულ ღონისძიებას და უკავშირდება სადაზღვევო ბიზნეს-რისკის შემცირებას. მხოლოდ სადაზღვევო პრემიის გადახდა რომ წარმოშობდეს ანაზღაურების ვალდებულებას, ბუნებრივია, სადაზღვევო საქმიანობას, როგორც სამეწარმეო –მოგებაზე ორიენტირებული საქმიანობის არსებობას აზრი დაეკარგებოდა. მეორე მხრივ, ასეთი ვალდებულების არსებობა ზრდის სამართალდამცავი ორგანოების მიერ მოპარული ავტომობილის აღმოჩენის ალბათობას, რამდენადაც ზემოთ დასახელებული პირობების დაცვის შემთხვევაში საკმაოდ რთულია მოპარული ავტომობილით გადაადგილება, მით უფრო, მისი რეალიზაცია. გარდა ამისა, ამგვარი ვალდებულების არსებობა მიმართულია თავად დამზღვევის მიერ უშუალოდ ან სხვასთან ფარული შეთანხმებით ავტომობილზე მფლობელობის ცრუ დაკარგვის გამორიცხვისკენ, ვინაიდან გასაღების და სარეგისტრაციო მოწმობის წარდგენის ვალდებულების არსებობისას ასეთი განზრახვის განხორციელება საკმაოდ რთული იქნება.

რამდენადაც ხელშეკრულების დადებისას მოსარჩელისათვის ზემოაღნიშნული პირობები ცნობილი იყო, კასატორის აზრით, იგი ვალდებული იყო ნაკისრი ვალდებულებები შეესრულებინა. შპს "ინაკოს" მიერ წარდგენილ პრეტენზიაში განზრახ შეტანილ იქნა არასწორი ინფორმაცია, კერძოდ, მიეთითა, რომ ავტომობილის მძღოლმა (უფლებამოსილმა პირმა მ. ა-ანმა) ავტომობილი დააყენა . . . ქ. 27-თან, სახლის წინ და შემდგომ აღმოაჩინა იგი მოპარული, მაშინ როდესაც საგამომიებო ორგანოების მიერ დადგენილია და აღნიშნულს არც სააპელაციო სასამართლო უარყოფს, რომ ქურდობის დღეს მ. ა-ანმა ავტომობილის გასაღები გადასცა მრეცხავ ი. გ-შვილს (არაუფლებამოსილი მძღოლი), რომელმაც ავტომობილი გამოიყვანა და დააყენა ქუჩაში, შემდეგ გასაღები ჩამოკიდა კედელზე.

კასატორის მოსაზრებით, მოსარჩელის მიერ განზრახ არასწორი ინფორმაციის მიწოდება მზღვეველისათვის სწორედ იმ გარემოებით იყო განპირობებული, რომ დამზღვევეს მოტყუებით მიეღო ანაზღაურება, რაც სინამდვილეში არ ეკუთვნოდა.

კასატორი მცდარად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ უფლებამოსილი მძღოლის მ. ა-ანის მიერ ავტომანქანის გასაღები მესამე პირს (ი. გ-შვილი) გადაეცა კონკრეტული მიზნით –ავტომანქანის გასარეცხად და არა სამართავად. აღნიშნულთან დაკავშირებით კასატორი განმარტავს, რომ ავტომანქანის სამართავად გადაცემა გულისხმობს გასაღების გადაცემას მესამე პირისათვის ნებისმიერი, კონკრეტული თუ ზოგადი მიზნით, მაგალითად: გასარეცხად, საბურავის გამოსაცვლელად, შესაკეთებლად, აუდიო სისტემის მონტაჟისათვის და არავითარი მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეს ავტომობილის მიმღები პირის შემდგომ მოქმედებას, კერძოდ, გაივლის იგი ავტომანქანით 10 კილომეტრს თუ 10 მეტრს, გარეცხავს მას თუ გამოუცვლის საბურავს და ა.შ. შესაბამისად, მართვაში გადაცემა არ გულისხმობს მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით სამართავად (სატარებლად) გადაცემას.

კასატორის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული მსჯელობა ადასტურებდა, რომ მოცემულ შემთხვევაში სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეული იყო თავად დამზღვევის ბრალით, რაც სადაზღვევო ხელშეკრულებისა და სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლის საფუძველზე მზღვეველს სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის უფლებას ანიჭებდა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ სს "ალდაგი ბისიას" საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს "ინაკოს" და სს სადაზღვევო კომპანია "ალდაგს" შორის გაფორმდა დაზღვევის ხელშეკრულება, რომლითაც დაზღვეულ იქნა მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანა "ტოიოტა ლენდ კრუიზერი", სადაზღვევო თანხა შეადგენდა 27000 აშშ დოლარს;

სადაზღვევო პერიოდი მოიცავდა დროის მონაკვეთს 2003 წლის 15 აპრილიდან 2004 წლის 15 აპრილამდე. ამ პერიოდში -2004 წლის 14 აპრილს მოხდა დაზღვეული ავტომანქანის ქურდობა;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს საგამომიებო სამსახურის 2004 წლის 5 მაისის #39/5-29 ცნობის თანახმად, საქმეზე წარმოებული წინასწარი გამოძიებით დადგინდა შემდეგი: შპს "ინაკოს" კუთვნილ ავტომანქანას ("ტოიოტა ლენდ კრუიზერი-100", შავი ფერის, 2001 წლის გამოშვება) მართავდა აღნიშნული შპს-ის მძღოლი მ. ა-ანი, რომელიც ღამით ავტომანქანას აყენებდა მისი საცხოვრებელი სახლის გვერდით მდებარე მისი ძმის, ა. ა-ანის ავტოფარეხში, რომელშიც პარალელურად გახსნილია ავტოსამრეცხაო. ავტომანქანა დილით ავტოფარეხიდან გამოჰყავდა მრეცხავ ი. გ-შვილს, რომელიც მას აჩერებდა ავტოსამრეცხაოსთან, ხოლო გასაღებს უბრუნებდა მ. ა-ანს ან ტოვებდა ავტოსამრეცხაოში. 2004 წლის 14 აპრილს, დილის 9 საათზე ი. გ-შვილმა მ. ა-ანს გამოართვა გასაღები, გამოიყვანა ავტომანქანა ქუჩაში, რომ შემდეგ გასაღები ჩამოეკიდა კედელზე. თვითონ დაიწყო სხვა მანქანის რეცხვა. ამ დროს მასთან მივიდა უცნობი პირი, რომელმაც სთხოვა, ეთხოვებინა მისთვის ნაჭერი. დაახლოებით 11 საათისთვის მ. ა-ანის მოვლის შემდეგ, გაირკვა, რომ გასაღები და ავტომანქანა ადგილზე აღარ იყო. ჩატარებული საგამომიებო მოქმედებების მიუხედავად, დამნაშავე პირები დადგენილი ვერ იქნა.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები საქმეზე სადავო არ არის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საკასაციო სასამართლო მათ დამტკიცებულად მიიჩნევს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებას იმგვარად, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მრეცხავი ი. გ-შვილი ჩაითვლება სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ავტომანქანის მართვაზე უფლებამოსილ პირად და რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომაში დამზღვევის გაუფრთხილებელი მოქმედება გამოირიცხება.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ უფლებამოსილი მძღოლის -მ. ა-ანის მიერ ავტომანქანის გასაღები მესამე პირს -ი. გ-შვილს გადაეცა კონკრეტული მიზნით -ავტომანქანის გასარეცხად და არა სამართავად. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოცემულ შემთხვევაში მრეცხავი ი. გ-შვილი იყო ის პირი, რომელსაც შპს "ინაკოს" კუთვნილი დაზღვეული ავტომანქანა ყოველ დილით გამოჰყავდა ავტოფარეხიდან და მიჰყავდა ავტოსამრეცხაოში, რაც სცილდება მხოლოდ ავტომანქანის გასარეცხად გადაცემის ფარგლებს. გარდა ამისა, მხარეთა შორის დადებული ავტომანქანის დაზღვევის პირობებში ("ტერმინთა განმარტება") პირდაპირ განსაზღვრულია, რომ უფლებამოსილი მძღოლი ნიშნავს სადაზღვევო პოლისში მითითებული დაზღვეული ავტომობილის მართვის უფლების მქონე მძღოლს. დაზღვევის პირობების 7.2.5 პუნქტის თანახმად, უფლებამოსილ მძღოლს უნდა ჰქონდეს ძალაში მყოფი, ავტომობილის შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობა. ამავე პირობების 10.3 პუნქტის თანახმად, სადაზღვევო პოლისის მიხედვით, არ ანაზღაურდება ნებისმიერი სახის ზარალი ან დაზიანება, რომელიც დადგა უფლებამოსილი მძღოლის გარდა ნებისმიერი პიროვნების მიერ დაზღვეული ავტომობილის მართვის დროს. მძღოლი მ. ა-ანის მიერ ყოველ დილით, მათ შორის, სადავო შემთხვევის დადგომის დღეს, მრეცხავისთვის ავტოფარეხიდან ავტომობილის გამოყვანისა და ავტოსამრეცხაოში მიყვანის უფლების მინდობა ვერ ჩაითვლება სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირისათვის ავტომანქანის გადაცემად.

მრეცხავი ი. გ-შვილი უფლებამოსილ პირსაც რომ წარმოადგენდეს, გარეშე პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილზე მის მიერ ავტომანქანის გასაღების დადება, ამ გასაღებისა და ავტომანქანის უყურადღებოდ მიტოვება, მესამე პირის წასვლის შემდეგ (რომელსაც ათხოვა ნაჭერი) დილის 11



საათამდე, მ. ა-ანის მოსვლამდე, ავტომანქანისა და გასაღების მოუკითხველობა ასევე წარმოადგენს უხემ გაუფრთხილებლობას. სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლის მიხედვით კი მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან, თუ დამზღვევემა დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა გამოიწვია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს დამზღვევისათვის სადაზღვევო თანხის ანაზღაურების საფუძველი, რის გამოც სარჩელი არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იზიარებს იმ ნაწილში, რომელიც ეხება შპს "ინაკოს" მიერ ავტომანქანის ყველა არსებული გასაღების მზღვეველისათვის მიწოდების ვალდებულების დაცვას. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავტომანქანის ყველა არსებული გასაღების მზღვეველისათვის მიწოდების ვალდებულება ვერ გავრცელდება ავტომანქანის იმ გასაღებზე, რომელიც ავტომანქანასთან ერთადაა გატაცებული, რის გამოც მხოლოდ ამ გასაღების წარუდგენლობა ვერ იქნება სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის საკითხი (შეჯამებისა და განაწილების საკითხი) უნდა გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას. პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელე შპს "ინაკოს" სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვს, სააპელაციო სასამართლოში შპს "ინაკოს" თავდაპირველად გადაუვადდა საპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის -918 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ხოლო სააპელაციო წარმოების დასრულების შემდეგ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ამ ბაჟის გადახდა დაეკისრა სს "ალდაგი ბისიას". საკასაციო საჩივარზე სს "ალდაგი ბისიას" გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი -1622,57 ლარი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს. ამავე კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ამდენად, შპს "ინაკოს" უნდა დაეკისროს სს "ალდაგი ბისიას" მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -1622,57 ლარი სს "ალდაგი ბისიას" სასარგებლოდ, ასევე სააპელაციო წარმოებისათვის გადასახდელი სახელმწიფო ბაჟი -918 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

- სს "ალდაგი ბისიას" საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
- გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
- შპს "ინაკოს" სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
- შპს "ინაკოს" დაეკისროს სს "ალდაგი ბისიას" მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -1622,57 ლარი სს "ალდაგი ბისიას" სასარგებლოდ;
- შპს "ინაკოს" დაეკისროს სააპელაციო წარმოებისათვის გადასახდელი სახელმწიფო ბაჟი -918 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
- საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **6. საბანკო გარანტია**

#### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

#ას-781-996-08

17 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

**ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი**

**დავის საგანი:** საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის გადახდევინება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2005 წლის 9 ივნისს მცხეთის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მოპასუხე შპს სადაზღვევო კომპანია "ოლიმპის" მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის 29 915 ლარი საგარანტიო თანხის, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.15%-ის ოდენობით პირგასამტეხლოს, აგრეთვე, სასამართლო პროცესთან დაკავშირებული ხარჯების დაკისრება.

სარჩელის საფუძვლები მდგომარეობს შემდეგში:

2004 წლის 17 ნოემბერს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში #10 ზონის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვასთან დაკავშირებით გაიმარჯვა შპს #25 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო "უჩამ". 2004 წლის 17 დეკემბერს შპს #25 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო "უჩასა" და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად, შპს #25 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო "უჩამ" იკისრა #10 ზონაზე საავტომობილო გზების მოვლა-შენახვის ვალდებულება 2005 წლის 1 იანვრიდან 2008 წლის 1 იანვრამდე. აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების საგარანტიოდ 2005 წლის 28 თებერვალს სადაზღვევო კომპანია შპს "ოლიმპის" მიერ გაიცა #05/1 საბანკო გარანტია, რომლის შესაბამისად, გარანტმა - შპს "ოლიმპმა" საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წინაშე აიღო პასუხისმგებლობა 29 915 ლარის ოდენობით და იკისრა საგარანტიო თანხის გადახდის ვალდებულება შპს #25 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო "უჩას" მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ბენეფიციარის პირველი მოთხოვნისთანავე.

2005 წლის 16 მაისს შპს #25 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო "უჩამ" განცხადებით მიმართა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს და ზემოაღნიშნული ხელშეკრულების შეწყვეტა მოითხოვა. განმცხადებელმა ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნა დაასაბუთა ნავთობის ფასის და მის შესაბამისად ასფალტის ნარევის ფასის ზრდის გამო ვალდებულებების მოსალოდნელი შეუსრულებლობით. ამასთან, შპს #25 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო "უჩამ" ხელშეკრულების მოქმედების დროსაც არაჯეროვნად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს, რის გამოც მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა #10 ზონაში შემავალ გზებს, ხოლო საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს დამატებითი ხარჯები წარმოეშვა.

2005 წლის 19 მაისს მხარეთა შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც მითითებული დროიდან გაუქმდა #10 ზონაზე საავტომობილო გზის მოვლა-შენახვის სამუშაოებთან დაკავშირებით 2004 წლის 17 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება, შპს #25 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო "უჩას" მიმდინარე წლის 16 მაისის განცხადებისა და ამავე ხელშეკრულების საერთო პირობების მე-17 პუნქტის 17.1 ქვეპუნქტის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული გარემოების შესახებ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა 2005 წლის 23 მაისის #02/1263 წერილით აცნობა სადაზღვევო კომპანია შპს "ოლიმპს" და მოითხოვა საგარანტიო თანხის გადახდა. წერილობითი მოთხოვნის მიუხედავად შპს "ოლიმპი" საბანკო გარანტიით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას თავს არიდებდა.

მოპასუხე შპს სადაზღვევო კომპანია "ოლიმპმა" სარჩელი არ ცნო და წარდგინდა შესაგებელში განმარტა, რომ მის მიერ გარანტია არ გაცემულა მხარეთა მიერ შეთანხმებულად, ყოველგვარი პირობების გაუთვალისწინებლად ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევისათვის. შპს "უჩამ" ხელშეკრულების შეწყვეტა მოითხოვა არა დამდგარი, არამედ მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილების მიზნით, რაც საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა დააკმაყოფილა ხელშეკრულების 3.18 პუნქტის მოთხოვნის დაუცველად, პრეტენზიისა და დეფექტური აქტის წარდგენის გარეშე. აღნიშნულის გათვალისწინებით, სავარაუდო იყო, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე შეთანხმების გაფორმება შპს "ოლიმპის" ხარჯზე უსაფუძვლო გამდიდრების მიზნით მომხდარიყო.

2005 წლის 16 მაისის წერილიდან გამომდინარე, მოპასუხემ მიიჩნია, რომ შპს #25 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო "უჩამ" მოქმედებდა ხელშეკრულების 11.2 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად და ითხოვდა ხელშეკრულების პირობების გადასინჯვას, რათა ნავთობზე ფასების ზრდიდან გამომდინარე ასფალტზე გაზრდილი ფასების გამო ზიანი არ დამდგარიყო. ამასთან, მოპასუხემ მიუთითა ხელშეკრულების მე-7 პუნქტზე, სადაც ცალსახად იყო აღნიშნული, რომ გარანტია არ გამოიყენებოდა.

მოპასუხის მოსაზრებით, 2005 წლის 19 მაისის შეთანხმება 2004 წლის 17 დეკემბრის ხელშეკრულების მოშლის თაობაზე ხელმოწერილი იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ, კერძოდ, მოცემული დროისათვის ზიგფრიდ ბ-ია შპს #25 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო "უჩას" დირექტორს აღარ წარმოადგენდა.

მოპასუხის განმარტებით, შპს სადაზღვევო კომპანია "ოლიმპის" მიერ გაცემული გარანტია ძალაში იყო მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ანუ 2005 წლის 19 მაისამდე. შესაბამისად, მისი მოქმედების ვადა შეწყდა ხელშეკრულების მოშლისთანავე.

შპს სადაზღვევო კომპანია "ოლიმპის" შესაგებლთან დაკავშირებით წარდგენილ ახსნა-განმარტებაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა აღნიშნა, რომ 2004 წლის 17 დეკემბრის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი იყო შპს #25 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო "უჩას" მხრიდან ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, რადგან ხელშეკრულება შეწყდა შპს "უჩას" წერილობითი თხოვნის გამო ანუ მისი ინიციატივით და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს შესრულება არ მიუღია. აღნიშნულთან დაკავშირებით მოსარჩელემ მიუთითა ხელშეკრულების სპეციფიური პირობების 10.2 პუნქტზე, რომლის თანახმად, საბანკო გარანტია გამოიყენებოდა ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგა შემსყიდველს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო და 10.5 პუნქტზე, რომლის თანახმად, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი იყენებდა გარანტიას მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად მიყენებული ზიანის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მიიჩნია, რომ მოპასუხის პოზიცია საგარანტიო თანხის მოთხოვნის საფუძვლის არარსებობის თაობაზე არასწორი იყო.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის შესახებ, რომ შპს #25 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო "უჩა" 2005 წლის 16 მაისის წერილით ითხოვდა ხელშეკრულების პირობების გადასინჯვას, რამდენადაც დასახელებული წერილის ბოლოს გარკვევით იკითხებოდა განმცხადებლის თხოვნა ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

2005 წლის 19 მაისის ხელშეკრულების არაუფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერასთან დაკავშირებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა აღნიშნა, რომ, მართალია, ზ. ბ-ია მოცემული დროისათვის შპს #25 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო "უჩას" დირექტორი არ იყო, მაგრამ მას ჰქონდა შესაბამისი მინდობილობა, რაც უფლებას აძლევდა, შპს "უჩას" საქმეები ეწარმოებინა.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 889-ე მუხლზე, რომლის თანახმად, გარანტი ვალდებულია გადაუხადოს ბენეფიციარს ფულადი თანხა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე და ამავე კოდექსის 881-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის უზრუნველსაყოფადაც არის გარანტია გაცემული. კანონის დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მიიჩნია, რომ საგარანტიო თანხის მოთხოვნა საფუძვლიანი იყო.

შპს სადაზღვევო კომპანია "ოლიმპის" საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებით წარდგენილ შეპასუხებაში აღნიშნა, რომ მხარეებს შორის არსებობდა ნარდობის ურთიერთობა, რომლის შესრულების დროს ხარჯები და მისი წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო. სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნულის თაობაზე მენარდეს დაუყოვნებლივ უნდა შეეტყობინებინა შემკვეთისათვის, რაც მისი მხრიდან განხორციელდა 2005 წლის 16 მაისს. იმ შემთხვევაში, თუ შემკვეთი შეწყვეტდა ხელშეკრულებას ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გამო, მაშინ იგი ვალდებული იყო აენაზღაურებინა შესრულებული სამუშაო. აქედან გამომდინარე, მოპასუხემ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოსაზრება შპს #25 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო "უჩას" ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით არასწორი იყო.

მოპასუხის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ბენეფიციარი (მოსარჩელე) ვალდებული იყო წარმოედგინა დოკუმენტი, თუ რაში გამოიხატა პრინციპალის (შპს "უჩას") მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის წარდგენა გარანტის მიმართ უნდა მომხდარიყო არა ხელშეკრულების მოშლის შემდეგ, არამედ გარანტიით განსაზღვრული ვადის გასვლამდე.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 7 ივლისის საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება შპს "უჩა".

რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა წარადგინა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009

წლის 9 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც შპს #25 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო "უჩას" საავტომობილო გზების დეპარტამენტის სასარგებლოდ 35 000 ლარი დაეკისრა. სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით, დასახელებული თანხის დაკისრების საფუძველს 2004 წლის 17 დეკემბრის ხელშეკრულება წარმოადგენდა, რომელზეც მოსარჩელე განსახილველ საქმეში საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის გადახდევინების საფუძველად მიუთითებდა.

რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას გამოიკვია, რომ ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 31 იანვრის განჩინებით შპს #25 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო "უჩას" გაკოტრების საქმის წარმოება დასრულდა გაკოტრების მასის მთლიანად რეალიზაციისა და ამონაგების კრედიტორებზე სრულად განაწილების გამო.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ საქმეზე დადგინოდა მიიჩნია, რომ შპს #25 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო "უჩასა" და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს შორის 2004 წლის 17 დეკემბერს დადებული #49 ხელშეკრულების შესაბამისად, შპს #25 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო "უჩამ" იკისრა #10 ზონაზე საავტომობილო გზების მოვლა-შენახვის ვალდებულება. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა 2005 წლის 1 იანვრიდან 2008 წლის 1 იანვრამდე. შპს სადაზღვევო კომპანია "ოლიმპის" მიერ 2005 წლის 28 თებერვალს გაცემული #05/1 საბანკო გარანტიის თანახმად, გარანტი შპს "ოლიმპი" იღებდა პასუხისმგებლობას საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წინაშე 29915 ლარის ოდენობით და კისრულობდა ვალდებულებას, გადაეხადა საგარანტიო თანხა შპს #25 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო "უჩას" მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, ბენეფიციარის (საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის) პირველი მოთხოვნისთანავე. გარანტია ძალაში იყო მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში. 2005 წლის 19 მაისს შპს #25 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო "უჩასა" და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს შორის გაფორმდა შეთანხმება 2004 წლის 17 დეკემბრის #49 ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა 2005 წლის 23 მაისის #02/1263 წერილით აცნობა შპს სადაზღვევო კომპანია "ოლიმპს" 2004 წლის 17 დეკემბრის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და მოითხოვა საგარანტიო თანხის გადახდა.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რაიონულმა სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, საბანკო გარანტიით ბენეფიციარის მოთხოვნა ფულადი თანხის გადახდის შესახებ უნდა წარედგინოს გარანტს წერილობითი ფორმით, გარანტიაში მითითებული დოკუმენტების დართვით, მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია. აქედან გამომდინარე, რაიონულმა სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2005 წლის 23 მაისის #02/1263 წერილის გარანტისთვის (შპს სადაზღვევო კომპანია "ოლიმპი") ჩაბარება საქმეზე არ დგინდებოდა. მოცემულ შემთხვევაში ბენეფიციარის (საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) მოთხოვნას კანონის ზემოაღნიშნული ნორმით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია არ ერთვოდა, ამასთან, აღნიშნული მოთხოვნა პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევის კონკრეტულ გამოხატულებაზე მითითებას არ შეიცავდა. სასამართლომ იმავდროულად მიუთითა, რომ ბენეფიციარის (საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) მიერ გარანტისათვის შეტყობინების კანონით დადგენილი წესით განხორციელების პირობებშიც, მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილებას ვერ დაექვემდებარებოდა, რადგან აღნიშნული მოთხოვნის წარდგენა გარანტიით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ განხორციელდა. სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა წარედგინოს გარანტს გარანტიით განსაზღვრული იმ ვადის დამთავრებამდე, რა ვადითაც იგი გაიცა. მოცემულ შემთხვევაში შპს სადაზღვევო კომპანია "ოლიმპის" მიერ 2005 წლის 28 თებერვალს გაცემული #05/1 საბანკო გარანტიის მიხედვით, გარანტია ძალაში იყო მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, რომელიც 2005 წლის 19 მაისს დასრულდა.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის გადახდევინების მოთხოვნაზე გავლენას ვერ მოახდენდა მოპასუხის მითითება იმის შესახებ, რომ 2005 წლის 19 მაისის შეთანხმებაზე ხელმომწერი პირი ზ. ბ-ია იმ დროისათვის დირექტორს აღარ წარმოადგენდა, ვინაიდან აღნიშნული შეთანხმება თავად მხარეთა მიერ სადავო არ გამხდარა.

რაიონულმა სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.15%-ის ოდენობით პირგასამტეხლოს გადახდასთან მიმართებითაც, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 888-ე მუხლის თანახმად, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტიის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ შემოიფარგლებოდა იმ თანხის გადახდით, რომელზეც გაცა გარანტია.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ, ბენეფიციარის მიერ გარანტიის მიმართ შეტყობინების ვადაში განხორციელების შემთხვევაშიც, მოთხოვნა გარანტისათვის 29 915 ლარის ოდენობით საგარანტიო თანხის დაკისრების თაობაზე დაუსაბუთებელი იყო. სასამართლოს აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობდა იმ ფაქტობრივი გარემოებიდან, რომ მოსარჩელეს 2004 წლის 17 დეკემბრის #49 ხელშეკრულების 3.18 პუნქტის შესაბამისად შედგენილი აქტი, სადაც დეტალურად იქნებოდა აღწერილი ხელშეკრულების შეუსრულებლობის მიზეზები, არ წარუდგენია. ხელშეკრულების მითითებული დანაწესის მოთხოვნის დაცვა შემსყიდველის შეხედულებისამებრ შესაძლებელს გახდიდა უზრუნველყოფის გარანტიების მექანიზმის გამოყენებას, რაც მოცემულ შემთხვევაში ვერ განხორციელდა.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს მოცემული დავის მიმართ პრეიუდიციული მნიშვნელობა არ გააჩნდა, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მხარეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან ერთად წარმოადგენდა შპს "უჩა", რომელიც ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 31 იანვრის განჩინებით გაკოტრების საქმის შედეგების გამო ლიკვიდირებულად იყო გამოცხადებული. ამასთან, აღნიშნული გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტიდან, ასევე "მეწარმეთა შესახებ" კანონის მე-14 მუხლიდან გამომდინარე, მოცემულ საქმეზე წარმოების შეჩერებას არ განაპირობებდა, რადგან იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტისას საქმის წარმოება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩერდებოდა, როდესაც ადგილი ჰქონდა იურიდიული პირის რეორგანიზაციას.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის 29 915 ლარის დაკისრება მოითხოვა.

აპელანტმა არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ 2004 წლის 17 დეკემბრის ხელშეკრულება შეწყდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინიციატივით, რის გამოც არ არსებობდა პრინციპალის მხრიდან ხელშეკრულების პირობათა დარღვევის ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით აპელანტმა განმარტა, რომ დასახელებული გადაწყვეტილება შეწყდა შპს #25 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო "უჩას" მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, რითაც აპელანტს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა. მითითებულ გარემოებას ადასტურებდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ივნისის განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ #10 ზონის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვასთან დაკავშირებით 2004 წლის 17 ნოემბერს გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა შპს #25 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო "უჩამ".

შპს #25 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო "უჩასა" და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს შორის 2004 წლის 17 დეკემბერს დადებული #49 ხელშეკრულების შესაბამისად შპს #25 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო "უჩამ" იკისრა ვალდებულება, განეხორციელებინა #10 ზონაზე საავტომობილო გზების მოვლა-შენახვა 2005 წლის 1 იანვრიდან 2008 წლის 1 იანვრამდე.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების შესრულების საგარანტიოდ 2005 წლის 28 თებერვალს სადაზღვევო კომპანია შპს "ოლიმპმა" გასცა #05/1 საბანკო გარანტია, რომლის შესაბამისად გარანტმა

შპს "ოლიმპი" საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წინაშე იკისრა პასუხისმგებლობა 29 915 ლარის ოდენობით და საგარანტიო თანხის გადახდის ვალდებულება შპს #25 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო "უჩას" მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ბენეფიციარის პირველი მოთხოვნისთანავე.

2005 წლის 16 მაისს შპს #25 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო "უჩამ" მოსარჩელეს მიმართა განცხადებით და მოითხოვა ხელშეკრულების შეწყვეტა.

2005 წლის 19 მაისს შპს #25 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო "უჩასა" და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს შორის გაფორმდა შეთანხმება 2004 წლის 17 დეკემბრის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

რამდენადაც განსახილველი სარჩელის მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა შპს სადაზღვევო კომპანია "ოლიმპის" მიერ გაცემული საბანკო გარანტია, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალი) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდოს პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულადი თანხა ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

საქმეზე დგინდებოდა, რომ მოცემულ შემთხვევაში ბენეფიციარმა (საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) 2005 წლის 23 მაისის #02/1263 წერილით აცნობა შპს სადაზღვევო კომპანია "ოლიმპს" შპს #25 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო "უჩასა" და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს შორის 2004 წლის 17 დეკემბრის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბანკო გარანტიით ბენეფიციარის მოთხოვნა ფულადი თანხის გადახდის შესახებ უნდა წარედგინოს გარანტს წერილობითი ფორმით, გარანტიაში მითითებული დოკუმენტების დართვით. მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია.

სადავო შემთხვევაში საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები კანონის ზემოძირებული ნორმის მოთხოვნებს ეწინააღმდეგებოდა. უწინარესად, არსებითი მნიშვნელობა გააჩნდა იმას, რომ აღნიშნული საქმის მასალები შპს სადაზღვევო კომპანია "ოლიმპისათვის" (გარანტი) ხელშეკრულების მოშლის თაობაზე 2005 წლის 23 მაისის #02/1263 წერილის ჩაბარებას არ ადასტურებდა. ამასთან, დასახელებულ წერილს თან არ ერთვოდა კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, რაც ბენეფიციარს უნდა წარედგინა გარანტისათვის, მასში არ იყო მითითებული, თუ რაში გამოიხატებოდა პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია.

მიუხედავად იმისა, რომ განსახილველი საქმის შედეგთან მიმართებით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორი იყო, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც ბენეფიციარის მოთხოვნა გარანტიაში განსაზღვრული ვადის გასვლის გამო უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მოსაზრება გამომდინარეობდა სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლიდან, რომლის თანახმად, ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის უზრუნველსაყოფადაც არის გარანტია გაცემული, მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე. კანონის დასახელებული ნორმის შინაარსის გათვალისწინებით, შპს სადაზღვევო კომპანია "ოლიმპის" მიერ გაცემულ საბანკო გარანტიაში ასახული პირობა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ გარანტია ძალაში იყო მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის დადებული ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ზეგავლენას ვერ იქონიებდა ბენეფიციარის უფლებაზე და ვერ შეზღუდავდა მას, მოეთხოვა გარანტისაგან ნაკისრი ვალდებულების შესრულება. ამ შემთხვევაში საგულისხმო იყო, რომ კანონმდებელმა სწორედ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დაუშვა მესამე პირის მხრიდან კრედიტორის სასარგებლოდ გარანტიის გაცემის შესაძლებლობა და ბენეფიციარის უფლება არ გახადა დამოკიდებული კრედიტორსა და მოვალეს (ბენეფიციარსა და პრინციპალს) შორის ურთიერთობაზე. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მათ შორის ურთიერთობის შეწყვეტა არ იწვევდა გარანტის პასუხისმგებლობის შეწყვეტას ბენეფიციარის მიმართ ძირითადი ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, მოცემულ შემთხვევაში - 2008 წლის 1 იანვრამდე პერიოდში.

სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაუსაბუთებლობასთან მიმართებით მიუთითა 2004 წლის 17 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების 3.18 პუნქტზე, რომლის მიხედვით, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველისა და მიმწოდებლის სამსახურის წარმომადგენლების მონაწილეობით ფორმდება შესაბამისი აქტი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ხელშეკრუ-

ლების შეუსრულებლობის მიზეზები, რის შემდგომაც შემსყიდველის შეხედულებისამებრ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტირების მექანიზმი. მოცემულ შემთხვევაში საქმეზე დგინდებოდა, რომ მოსარჩელეს ხელშეკრულების ზემოაღნიშნული პუნქტის შესაბამისად შედგენილი აქტი არ წარუდგენია. ამასთან, საქმეში არსებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება მოცემულ დავაზე პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონედ ვერ ჩაითვლებოდა, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "ბ" პუნქტი მხარეებს მტკიცებულებების წარდგენისაგან ათავისუფლებდა ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებიც დადგენილი იყო ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ იყო, კერძოდ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მხარეებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი და შპს #25 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო "უჩა" წარმოადგენდნენ.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის მიყენების თაობაზე მტკიცებათა ტვირთისაგან მოსარჩელე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოების გამო ვერ გათავისუფლდებოდა, რადგან ამ გადაწყვეტილების მიხედვით ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაუდგინდა შპს #25 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო "უჩას" და არა შპს სადაზღვევო კომპანია "ოლიმპს" (განსახილველი დავის მხარეს), რის შესაბამისადაც ამ უკანასკნელს არ გააჩნდა სარჩელისაგან თავის დაცვის ან მისი უარყოფელი არგუმენტების წარდგენის საშუალება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მოსაზრება მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს სახით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.15%-ის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ და მიიჩნია, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 888-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ შემოიფარგლება იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია. რამდენადაც გარანტია გაცემული იყო კონკრეტული ოდენობის თანხაზე, დასახელებული ნორმის საფუძველზე პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში მოთხოვნა უსაფუძვლო იყო.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მარტოოდენ იმ გარემოებაზე მითითება, რომ შპს #25 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო "უჩამ" დაარღვია ძირითადი ვალდებულება, რითაც საავტომობილო გზებს მიადგა ზიანი და მათ შესაკეთებლად მოსარჩელეს მოუწია დამატებითი ხარჯების გადახდა, სარჩელის დაკმაყოფილებას ვერ განაპირობებდა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის 29 915 ლარის დაკისრება, შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე 2005 წლის 23 მაისის #02/1263 წერილის ადრესატისათვის (შპს სადაზღვევო კომპანია "ოლიმპი") ჩაბარება ვერ დასტურდებოდა, თუმცა აღნიშნულის ფაქტობრივ გარემოებას ნათლად ასაბუთებს შპს "ოლიმპის" 2005 წლის 28 ივნისის #28-06 წერილი საავტომობილო გზების დეპარტამენტისადმი.

მცდარია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბენეფიციარის (საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) მიერ წარდგენილ წერილზე (მოთხოვნაზე) სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დოკუმენტაციის დაურთველობა განაპირობებდა საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის გადახდევინების უსაფუძვლობას, რადგან შპს "ოლიმპის" მიერ წარდგენილი გარანტია უპირობო იყო და შესაბამისად, უნდა ანაზღაურებულიყო პრინციპალის (შპს #25 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო "უჩა") მიერ ძირითადი ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის პირველივე მოთხოვნისთანავე.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიუთითა 2004 წლის 17 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების 3.18 პუნქტზე, ვინაიდან აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული აქტის გაფორმება წარმოადგენს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთობის შემადგენელ ნაწილს და შესაბამისად, მის არსებობაზე არ არის დამოკიდებული შპს "ოლიმპის" მიერ საავტომობილო გზების დეპარტამენტის წინაშე გარანტიით ნაკისრი ვალდებულება.

არასწორია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ვერ შეძლო მისთვის ზიანის მიყენების ფაქტის შესაბამისი მტკიცებულებებით დადასტურება. შპს #25 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო "უჩას" მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობისა და საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ზიანის მი-

ყენების ფაქტს ასაბუთებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება. დასახელებულ გადაწყვეტილებას განსახილველი საქმის მიმართ პრეიუდიციული მნიშვნელობა იმ მიზეზით არ მიენიჭა, რომ შპს "უჩა" მოცემულ საქმეზე მხარედ არ მონაწილეობდა. ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ აღნიშნულ საქმეზე შპს "უჩას" მესამე პირად ჩაბმის თაობაზე მოთხოვნა არსებობდა, თუმცა მისი გაკოტრების გამო აღნიშნულის განხორციელება ვერ მოხერხდა.

საქმეში არსებული შპს #25 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო "უჩას" 2005 წლის 16 მაისის განცხადება, ასევე 2005 წლის 19 მაისის შპს #25 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო "უჩასა" და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს შორის გაფორმებული შეთანხმება ნათლად ადასტურებს იმას, რომ შპს #25 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო "უჩამ" ვერ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორის მოსაზრებით, მოთხოვნა საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის -29 915 ლარის მოპასუხისათვის გადახდევინების თაობაზე, საფუძვლიანია და ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ #10 ზონის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვასთან დაკავშირებით 2004 წლის 17 ნოემბერს გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა შპს #25 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო "უჩამ";

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და შპს #25 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო "უჩას" შორის 2004 წლის 17 დეკემბერს დაიდო #49 ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად შპს "უჩამ" იკისრა #10 ზონაზე საავტომობილო გზების მოვლა-შენახვის ვალდებულება 2005 წლის 1 იანვრიდან 2008 წლის 1 იანვრამდე;

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად 2005 წლის 28 თებერვალს სადაზღვევო კომპანია შპს "ოლიმპის" მიერ გაიცა #05/1 საბანკო გარანტია, რომლის შესაბამისად გარანტმა -შპს "ოლიმპმა" საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წინაშე იკისრა პასუხისმგებლობა 29 915 ლარის ოდენობით და საგარანტიო თანხის გადახდის ვალდებულება შპს #25 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო "უჩას" მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ბენეფიციარის პირველი მოთხოვნისთანავე;

2005 წლის 16 მაისის შპს #25 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო "უჩამ" მოსარჩელეს მიმართა განცხადებით და მოითხოვა ხელშეკრულების შეწყვეტა. განმცხადებელმა თავისი მოთხოვნა დაასაბუთა ნავთობის ფასისა და შესაბამისად ასფალტის ნარევის ფასის ზრდის გამო ვალდებულების მოსალოდნელი შეუსრულებლობით;

2005 წლის 19 მაისის შპს #25 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო "უჩას" და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს შორის გაფორმდა შეთანხმება 2004 წლის 17 დეკემბრის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე;

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის კანონიერ ძალაში შესული 2006 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა საავტომობილო გზების დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება საავტომობილო გზების დეპარტამენტის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, საავტომობილო გზების დეპარტამენტის სარჩელი 2004 წლის 17 დეკემბრის #49 ხელშეკრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ დაკმაყოფილდა, შპს #25 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო "უჩას" საავტომობილო გზების დეპარტამენტის სასარგებლოდ დაეკისრა 35 000 ლარი. დანარჩენ ნაწილში (შპს "უჩას" შეგებებული სარჩელის ნაწილში) პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

მოცემულ შემთხვევაში ბენეფიციარი -საავტომობილო გზების დეპარტამენტი ითხოვს გარანტის - შპს სადაზღვევო კომპანია "ოლიმპისათვის" საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის დაკისრებას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გარანტის მიერ ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლით გათვალისწინებულ არც ერთ საფუძველს ამ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.



საბანკო გარანტიის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი, რაც მას გამოარჩევს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისაგან, არის საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობა ძირითადი ვალდებულებისგან. საბანკო გარანტია ეფუძნება არა მხარეთა შეთანხმებას (ხელშეკრულებას), არამედ მისი გამცემი პირის (გარანტის) ცალმხრივ და უპირობო ვალდებულებას. საბანკო გარანტიის ზემოაღნიშნული თავისებურება ასახულია სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლში, რომლის თანახმად, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული, მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე. ბენეფიციარის წინაშე გარანტის ვალდებულების ძირითადი ვალდებულებისაგან დამოუკიდებლობის პრინციპის გამოხატულება იმაში მდგომარეობს, რომ ბენეფიციარისათვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად კანონმდებელი ორ ძირითად შემთხვევას განიხილავს, კერძოდ: თუ ბენეფიციარის მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს, ანდა ისინი წარედგინა გარანტს გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ (სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის პირველი ნაწილი). ცხადია, დასახელებულ პირობათაგან არც ერთს არა აქვს კავშირი ძირითად ვალდებულებასთან. რაც შეეხება ძირითად ვალდებულებასთან დაკავშირებულ შემთხვევებს, როგორცაა: საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულება, მისი სხვა საფუძველებით შეწყვეტა ან ბათილად აღიარება, კანონი მათ გარანტის ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძველად არ განიხილავს. ასეთ შემთხვევებში გარანტი უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს, თუმცა მიუხედავად ამ შეტყობინებისა, ბენეფიციარის განმეორებითი მოთხოვნა დაკმაყოფილებას ექვემდებარება (სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის მეორე ნაწილი).

სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს ბენეფიციარის მოთხოვნის წარდგენის ფორმაზე, კერძოდ, რომ საბანკო გარანტიით ბენეფიციარის მოთხოვნა ფულადი თანხის გადახდის შესახებ უნდა წარედგინოს გარანტს წერილობითი ფორმით, გარანტიაში მითითებული დოკუმენტების დართვით. მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია. აღნიშნული ნორმა ავსებს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესს მოთხოვნისა და თანდართული დოკუმენტების გარანტიის პირობებისადმი შესაბამისობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მართებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ საბანკო გარანტიაში მითითებული პირობა ძირითადი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ძალაში ყოფნის შესახებ გავლენას ვერ იქონიებდა ბენეფიციარის უფლებაზე და ვერ შეზღუდვდა, გარანტისაგან მოეთხოვა ვალდებულების შესრულება. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა არ იწვევდა გარანტის პასუხისმგებლობის შეწყვეტას ბენეფიციარის მიმართ და სწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლი. აღნიშნული მსჯელობა ასევე მართებულია სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, რომელიც ძირითადი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევას ასევე განიხილავს გარანტის პასუხისმგებლობის საფუძველად და ამ შემთხვევაში საბანკო გარანტიის ძალადაკარგულად ცნობას არ ითვალისწინებს.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა 2005 წლის 23 მაისის #02/1263 წერილით აცნობა შპს "ოლიმპს" ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე და მოითხოვა საგარანტიო თანხის გადახდა. სააპელაციო სასამართლომ იმავედროულად მიიჩნია, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2005 წლის 23 მაისის #02/1263 წერილის შპს სადაზღვევო კომპანია "ოლიმპის" მიერ მიღება არ დასტურდებოდა, რაც ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთ-ერთი საფუძველი იყო. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ მსჯელობას არ იზიარებს, რამდენადაც საქმეში წარმოდგენილია შპს სადაზღვევო კომპანია "ოლიმპის" 28.06.08წ. #28-06 მიმართვა საავტომობილო დეპარტამენტისადმი, რაც ასაბუთებს ზემოაღნიშნული წერილის ადრესატისათვის ჩაბარებას, გარდა ამისა, წერილის ჩაბარების თარიღის დაუდგენლობა მოცემულ საქმეზე გავლენას ვერ მოახდენდა, რამდენადაც შპს სადაზღვევო კომპანია "ოლიმპის" პოზიცია, რომ იგი უარს აცხადებს ამ წერილით წარდგენილი მოთხოვნის შესაბამისად საგარანტიო თანხის ანაზღაურებაზე, საქმიდან სრულიად ნათელია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გარანტის სამსახური იმაში გამოიხატება, რომ გარანტიით გათვალისწინებული თანხა ბენეფიციარს გადაუხადოს პრინციპალის მიერ სწორედ ვალდებულების შეუსრულებლობისას. სამოქალაქო კოდექსის 880-ე მუხლის თანახმად, საბანკო გარანტია

უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ ბენეფიციარის მიმართ თავისი მოვალეობის სათანადო შესრულებას.

საქმეში წარმოდგენილი მასალები ცხადყოფს, რომ შპს #25 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო "უჩასა" და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს შორის დადებული ხელშეკრულების შეწყვეტა ინიცირებული იყო ვალდებულების შესრულებაზე შპს #25 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო "უჩას" უარით, კერძოდ, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს შპს "უჩას" წერილობითი განცხადება წარმოადგენდა, რასაც საავტომობილო გზების დეპარტამენტი დაეთანხმა. ძირითადი ვალდებულების შეწყვეტის შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, ასევე წარმოიშობა ბენეფიციარის მიერ გარანტიით განსაზღვრული თანხის გადახდევინების მოთხოვნის უფლება, ხოლო გარანტის მიმართ - აღნიშნული თანხის გადახდის ვალდებულება. მოცემულ შემთხვევაში ასევე მნიშვნელოვანია საგარანტიო თანხის გადახდის ძირითადი ვალდებულებით და საბანკო გარანტიით განსაზღვრული კონკრეტული საფუძვლის არსებობა, კერძოდ, პრინციპალის მიერ (შპს #25 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო "უჩა") ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებლობა.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა შპს #25 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო "უჩას" მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა და აღნიშნულის გამო მისთვის ზიანის მიყენების ფაქტის დასადასტურებლად საქმეზე წარადგინა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 9 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც შპს #25 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო "უჩას" მის სასარგებლოდ დაეკისრა 35 000 ლარის გადახდა. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, აღნიშნული თანხის შპს "უჩასათვის" დაკისრების საფუძველია ამ უკანასკნელის მხრიდან სწორედ 2004 წლის 17 დეკემბერს დადებული #49 ხელშეკრულების (რომლის უზრუნველსაყოფადაც სადაზღვევო კომპანია შპს "ოლიმპის" მიერ #05/1 საბანკო გარანტია გაიცა) შეუსრულებლობა და ამის შედეგად საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ზიანის მიყენება.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ 2006 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებას მოცემული დავის მიმართ პრეიუდიციული მნიშვნელობა ვერ მიენიჭება, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარე სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების პრეიუდიციულობის საკითხი დგება სხვა საქმის განხილვისას მხოლოდ იმავე მხარეების მონაწილეობის პირობებში, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა, კერძოდ, ამ საქმეში მონაწილე შპს "ოლიმპი" ზემომითებულ საქმეში არ წარმოადგენდა მხარეს. მიუხედავად ამისა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 9 მარტის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას მოცემულ საქმეზე გააჩნია მტკიცებულებითი ძალა, რომელიც უდავოდ ასაბუთებს შპს "უჩას" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის, 102-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მოახდინა აღნიშნულთან დაკავშირებით თავისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზაცია, რისი საწინააღმდეგო გარემოებაც საქმეზე არ დასტურდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის გარანტისათვის დაკისრებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის საკითხი (შეჯამებისა და განაწილების საკითხი) უნდა გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას. ამავე კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან გათავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია. კანონის დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, სამივე ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებული იყო "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" კანონის პირველი მუხლის "ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე, მოცემულ შემთხვევაში მოპასუხისათვის დასაკისრებელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ამგვარად უნდა განისაზღვროს: პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოებისათვის შპს სადაზღვევო კომპანია "ოლიმპს" უნდა დაეკისროს 897.45 ლარის (29 915 ლარის 3%), სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოებისათვის -1196.60 ლარის (29 915 ლარის 4%), ხოლო საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოებისათვის -

1495.75 ლარის (29 915 ლარის 5%) სახელმწიფო ბაჟის გადახდა. სახელმწიფო ბაჟის სახით გადასახდელი თანხა შეადგენს 3589.80 ლარს, რომელიც შპს სადაზღვევო კომპანია "ოლიმპს" უნდა გადახდეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ივნისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. შპს სადაზღვევო კომპანია "ოლიმპს" დაეკისროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სასარგებლოდ 29 915 ლარის გადახდა;
5. შპს სადაზღვევო კომპანია "ოლიმპს" დაეკისროს პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის წარმოებისათვის სახელმწიფო ბაჟის -3589.80 ლარის გადახდა;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **საბანკო გარანტია**

##### **განჩინება**

#ას-562-871-09

20 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),**

**ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),**

**ლ. ლაზარაშვილი**

**დავის საგანი:** საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

სსიპ "მუნიციპალური განვითარების ფონდმა" სარჩელი აღძრა სასამართლოში სს სადაზღვევო კომპანია "გეოპოლისის" მიმართ #06/შ საბანკო გარანტიით გათვალისწინებული 72 524 ლარისა და #07/შ საბანკო გარანტიით განსაზღვრული 58 691 ლარის, სულ -131 215 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: სსიპ „საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი“ ახორციელებდა ქ. თბილისის სკოლების შენობების რეაბილიტაციის პროექტს. ამ პროექტის განხორციელების მიზნით, შპს „მშენებელსა“ და მოსარჩელეს შორის გაფორმდა შესაბამისი კონტრაქტები. 2005 წლის 20 სექტემბერს გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით, შპს „მშენებელს“ უნდა ეწარმოებინა სამუშაოები #87 სკოლაში, ხოლო 2005 წლის 10 ოქტომბერს გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით -#9 სკოლაში. #87 სკოლაში ჩატარებული სამუშაოებისათვის გათვალისწინებული იყო შპს „მშენებლისათვის“ 725 236,61 ლარის, ხოლო #9 სკოლაში ჩატარებული სამუშაოებისათვის -586 906,61 ლარის გადახდა. 2005 წლის 6 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის #1027 ბრძანებულებით სსიპ „საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი“ მიუერთდა სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდს“, ამავე ბრძანებულების მე-2 მუხლით სსიპ „საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის“ უფლებამონაცვლედ განისაზღვრა სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდი“. შპს „მშენებელმა“ წარმოადგინა სს სადაზღვევო კომპანია „გეოპოლის“ მიერ გაცემული კონტრაქტის შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიები, რომელთა თანახმად ბენეფიციარისათვის გადასახდელი თანხა შეადგენდა #87 სკოლისათვის -72 524 ლარს, #9 სკოლისათვის კი -51 691 ლარს. შპს „მშენებელი“ ვერ იცავდა სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის განსაზღვრულ ვადებს. ფონდის ხელმძღვანელობამ მიიღო კონტრაქტების ვადის გაგრძელების გადაწყვეტილება. საბოლოოდ ორივე კონტრაქტის მოქმედების ვადად განისაზღვრა 2006 წლის 31 დეკემბერი, თუმცა დეკემბრის მეორე ნახევარში აშკარა გახდა, რომ შპს „მშენებელი“ ვერც ამ ვადაში შესრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს. 2006 წლის 18 დეკემბერს სსიპ

„მუნიციპალური განვითარების ფონდის“ აღმასრულებელმა დირექტორმა წერილი გაუგზავნა სს სადაზღვევო კომპანია „გეოპოლისს“, რომლითაც აცნობა მას, რომ წყვეტდა კონტრაქტს პრინციპალთან და მოითხოვა გარანტისაგან საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხების ანაზღაურება. 2006 წლის 22 დეკემბრის წერილით სს სადაზღვევო კომპანია „გეოპოლისმა“ მოითხოვა საბანკო გარანტიის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანხების ასანაზღაურებლად აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენა. გარანტის ეს მოთხოვნა ბენეფიციარმა დროულად შეასრულა. სადაზღვევო კომპანიამ 2007 წლის 15 იანვრის წერილით სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდს“ აცნობა, რომ შპს „მშენებელთან“ გაფორმებული საბანკო გარანტიის ხელშეკრულებების ვადები 2006 წლის 4 ივლისსა და 2006 წლის 25 მაისს დასრულდა, რის გამოც, სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის მეორე ნაწილისა და 887-ე მუხლის პირველი ნაწილი თანახმად, მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განუცხადა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: საბანკო გარანტიის ამონაწერი ცალკე დოკუმენტად ან რაიმე ვალდებულების წარმოშობის საფუძველად ვერ იქნება მიჩნეული, რადგან თავად საბანკო გარანტიის ხელშეკრულებაშია მითითებული, რომ საბანკო გარანტიის ამონაწერი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილს და დამოუკიდებელი ძალა არ გააჩნია. ამდენად, ამონაწერში გაკეთებული დათქმა იმის შესახებ, რომ გარანტია მოქმედებს კონტრაქტის მოქმედების პერიოდში, გულისხმობდა მხოლოდ თავად საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით დადგენილ ვადას. ბენეფიციარს გარანტისათვის მოთხოვნა უნდა წარედგინა ორჯერ კანონით გათვალისწინებული წესით, წერილობითა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენით, რაც მას არ გაუკეთებია, შესაბამისად, მოსარჩელის მხრიდან სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლზე აპელირება უსაფუძვლოა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 მარტის განჩინებით მოპასუხე -სს სადაზღვევო კომპანია „გეოპოლისის“ უფლებამონაცვლედ ჩაერთო შპს „ბი-ჯი-სი“. ამავე სასამართლოს 2008 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლით და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ (ბენეფიციარი) უსაფუძვლოდ მიიჩნია შპს „ბი-ჯი-სი და კომპანიის“ (გარანტის) უარი საბანკო გარანტიის ხელშეკრულებების მოქმედების ვადის გასვლის საფუძველით საგარანტიო თანხების გადახდაზე და მოითხოვა მათი ანაზღაურება. შესაბამისად, დავის გადასაწყვეტად უნდა დადგინდეს მოქმედებდა თუ არა თანხების ანაზღაურების თაობაზე ბენეფიციარის მიერ გარანტისათვის მოთხოვნის წარდგენის მომენტში საბანკო გარანტია, ანუ კანონიერია თუ არა გარანტის უარი თანხის გადახდაზე. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 6 დეკემბრის #1027 ბრძანებულებით სსიპ „საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი“ მიუერთდა სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდს“ და ეს უკანასკნელი განისაზღვრა სსიპ „საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის“ უფლებამონაცვლედ. საქმეში თავდაპირველი მოპასუხე სს სადაზღვევო კომპანია „გეოპოლისის“ უფლებამონაცვლეს წარმოადგენს მოპასუხედ ჩართული შპს „ბი-ჯი-სი და კომპანია“. 2005 წლის 20 სექტემბერს სსიპ „სოციალური ინვესტიციების ფონდსა“ და შპს „მშენებელს“ შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მშენებელს სამუშაოები უნდა ეწარმოებინა #87 სკოლაში, ხოლო იმავე წლის 10 ოქტომბერს დადებული კონტრაქტით -#9 სკოლაში. ხსენებული კონტრაქტების ვადები რამდენჯერმე გაგრძელდა და საბოლოოდ ვალდებულების შესრულების ბოლო ვადად განისაზღვრა 2006 წლის 31 დეკემბერი. სატენდეროდ წარდგენილი დოკუმენტაციის მოპოვების შემდეგ, 2006 წლის დეკემბრამდე სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და სს „გეოპოლისს“ რაიმე სახის სამართლებრივი ურთიერთობა ან ინფორმაციული ხასიათის მიწერ-მოწერა არ ჰქონიათ, ანუ არც ბენეფიციარს უცნობებია გარანტისათვის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ და არც გარანტს მიუმართავს მოსარჩელისათვის გარანტიით გათვალისწინებული ვადის გასვლის თაობაზე. 2005 წლის 31 ოქტომბერს გაფორმდა #06/შ საბანკო გარანტიის ხელშეკრულება სს სადაზღვევო კომპანია „გეოპოლისსა“ და შპს „მშენებელს“ შორის 72 524 ლარის ფარგლებში და, ხელშეკრულების 1.3 მუხლის შესაბამისად, მისი მოქმედების ვადა განისაზღვრა 2005 წლის ოქტომბრიდან 2006 წლის 4 ივლისამდე პერიოდი, ხოლო #07/შ საბანკო გარანტიის ხელშეკრულება გაფორმდა იმავე მხარეებს შორის 58 691 ლარზე, 2005 წლის 24 ოქტომბრიდან 2006 წლის 25 მაისამდე ვადით. პალატამ ჩათვალა, რომ ხელშეკრულებების

1.3 პუნქტებით მათი მოქმედების ვადა განისაზღვრა კონკრეტული კალენდარული თარიღებით, ანუ შეთანხმება ამ არსებით პირობებზე განხორციელდა და ნება დაფიქსირდა არაორაზროვანი ფორმით. იმავე პუნქტში აღნიშნულია, რომ "საბანკო გარანტიით გათვალისწინებული წერილობითი მოთხოვნა გარანტს ბენეფიციარის მიერ შეიძლება წარედგინოს მხოლოდ აღნიშნული ვადის განმავლობაში". ხელშეკრულებების 5.1 პუნქტებით დადგინდა, რომ ხელშეკრულებებში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით ან ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. საქმეში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა კონტრაქტთა შორის გარანტიის მოქმედების ახალ ვადაზე შეთანხმებას. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ #06/შ და #07/შ ხელშეკრულებებით მხარეები შეთანხმდნენ ასევე საბანკო გარანტიის ამონაწერის გაცემის წესზე და განსაზღვრეს მისი სამართლებრივი ბუნება, კერძოდ, ხელშეკრულებების 5.7 პუნქტის თანახმად, წინამდებარე საბანკო გარანტიის ხელშეკრულების საფუძველზე ბენეფიციარისათვის წარსადგენად გაიცემა საბანკო გარანტიის ამონაწერი, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და მას დამოუკიდებელი იურიდიული ძალა არ გააჩნია. ამასთან, თავად ამონაწერებიც შეიცავს პირდაპირ მითითებას გარანტსა და პრინციპალს შორის გაფორმებულ საბანკო გარანტიის ხელშეკრულებებზე. სააპელაციო პალატა იზიარებს საქალაქო სასამართლოს დასკვნას, რომ საბანკო ამონაწერი დამოუკიდებელ დოკუმენტად, რაიმე ვალდებულების წარმოშობის ან დადგენის სამართლებრივ საფუძველად ვერ იქნება მიჩნეული, რადგან ის, ფაქტობრივად, შეიცავს მოკლე აღწერას ძირითადი ხელშეკრულების არსებით პირობებზე და თავად ხელშეკრულებითვე განსაზღვრული, რომ ამონაწერი ხელშეკრულების არსებითი შემადგენელი ნაწილია და დამოუკიდებელი ძალა არ გააჩნია. ამდენად, მათი შინაარსის განმარტება უნდა მოხდეს სწორედ საბანკო გარანტიის ხელშეკრულებების ფარგლებში. სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლის თანახმად პალატამ მიიჩნია, რომ შპს "ბი-ჯი-სი და კომპანია" და სსიპ "მუნიციპალური განვითარების ფონდს" შორის ურთიერთობისას გარანტის ვალდებულება დამოუკიდებელია ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის არსებულ ურთიერთობაზე. სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, რომ საბანკო გარანტიის ხელშეკრულებების საფუძველზე გაცემულ ამონაწერებში გაკეთებული დათქმა არ შეიძლება ეხებოდეს სხვა ხელშეკრულების მოქმედების ვადას. სასამართლოს მოსაზრებით, უსაფუძვლოა აპელანტის მითითება, რომ უნდა იგულისხმებოდეს გარანტიების მოქმედება ძირითადი ხელშეკრულებების მოქმედების ვადით, რადგან ამონაწერებში აღნიშნულია გარანტიის მოქმედებაზე კონტრაქტის მოქმედების პერიოდში და ტერმინი „კონტრაქტი“ გამოყენებულია ძირითადი ვალდებულების (სამუშაოების შესრულების) შესახებ შეთანხმებებში. ტერმინი „კონტრაქტი“ და „ხელშეკრულება“ სამართლებრივი ბუნებით თანაბარი მნიშვნელობის მქონე ცნებებია. ამასთან, თავად საბანკო გარანტიების ტექსტებშიც ეს ხელშეკრულებები ზოგ პუნქტში მოიხსენიება კონტრაქტად. მაგალითად, ხელშეკრულებების 4.1.2 პუნქტში საუბარია ხელშეკრულების შეწყვეტის ისეთ საფუძველზე, როგორცაა კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის გასვლა. ასეთ პირობებში, როცა თავად ხელშეკრულებების 1.3 პუნქტებით მათი მოქმედების ვადის ამოწურვის კონკრეტული კალენდარული თარიღებია განსაზღვრული, პალატამ ჩათვალა, რომ 4.1.2 პუნქტებში საუბარია სწორედ საბანკო გარანტიის ხელშეკრულებების (კონტრაქტების) მოქმედების ვადის გასვლაზე და სწორედ აღნიშნული დაფიქსირდა თავის მხრივ ამონაწერებში საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ. სასამართლომ აღნიშნა, რომ დამატებით შედარებისათვის ძირითადი ვალდებულების (სამუშაოს შესრულების) თაობაზე შეთანხმებებშიც და მათ დანართებშიც ზოგან მითითებულია ტერმინი „ხელშეკრულება“ ზოგან კი „კონტრაქტი“, რაც ამ დოკუმენტების იურიდიულ ბუნებას არ ცვლის. პალატის მითითებით, სამუშაოთა შესრულების ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ვადებზე საბანკო გარანტიის ამონაწერების გაცემის მომენტში 2006 წლის 31 დეკემბერი არ მოიაზრებოდა, რადგან ვერც ერთი სუბიექტი, პრინციპალი, გარანტი და ბენეფიციარი, იმ მომენტში ვერ ივარაუდებდა, თუ რა პერიოდით და რამდენჯერ გაიზრდებოდა იმ დროისათვის დადგენილი ვადები. ხელშეკრულებებით სამუშაოთა დასრულების მითითებული ვადები არაერთხელ შეიცვალა, მაგრამ თანმიმდევრულად საბანკო გარანტიის ხელშეკრულებებში ცვლილებები ახალი ვადით გარანტიის გაცემის თაობაზე არ შეტანილია. ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით პალატამ დაადგინა, რომ #06/შ საბანკო გარანტიის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული გარანტია მოქმედებდა 2006 წლის 4 ივლისამდე, ხოლო #07/შ საბანკო გარანტიის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული გარანტია კი - 2006 წლის 25 მასამდე. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის მეორე ნაწილისა და 889-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა წარმოადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც არსებობს ბენეფიციარის უფლება მოთხოვნის წაყენების თაობაზე. დოქტრინაში იგი განმარტებულია აღმკვეთი ხასიათის ვადად, რომლის გასვლასაც უკავშირდება საგარანტიო თანხის მოთხოვნის უფლების დაკარგვა. საქმის მასალებით პალატამ დაადასტურებულად მიიჩნია, რომ ბენეფიციარმა 2006 წლის 18 დეკემბრის

#1053-გ/06 წერილით გარანტს აცნობა, პრინციპალის მიერ სამშენებლო ვადების დარღვევის გამო. მასთან, ხელშეკრულების შეწყვეტისა და, #06/შ საბანკო გარანტიის შესაბამისად, გარანტისაგან 72 524 ლარის გადახდის მოთხოვნის თაობაზე. სასამართლომ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ ამავე თარიღისა და შინაარსის მეორე #1054-გ/06 წერილზე, რომლითაც ბენეფიციარი ითხოვს გარანტი-საგან #07/შ საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის -58 691 ლარის ანაზღაურებას. ამდენად, სასამართლომ დაადგინა, რომ გარანტს ორივე მოთხოვნა წარედგინა გარანტიების მოქმედების ვადების გასვლის შემდეგ. სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტი მოთხოვნის დაკმაყოფილების ერთ-ერთ საფუძვლად მიიჩნევს მასა და გარანტს შორის არსებულ მიმოწერას საგარანტიო თანხის ანაზღაურების მოთხოვნის თაობაზე, საქმის მასალებით კი დასტურდება, რომ გარანტის მიერ ბენეფიციარისაგან წერილით ჯერ მოთხოვნილ იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, მისი წარდგენის შემდეგ კი ბენეფიციარს ეცნობა მოთხოვნის მოგვიანებით განხილვაზე, კერძოდ, უფლებამოსილი პირების საშობაო-საახალწლო შვებულებაში ყოფნის გამო, კომპანიის გადაწყვეტილების არა უგვიანეს ერთი კვირის ვადაში შეტყობინების შესახებ, რაც განხორციელდა კიდევ უშუალოდ გარანტის დირექტორის მიერ ბენეფიციარისათვის გაგზავნილი წერილობითი განმარტებით, რომ საბანკო გარანტიის ხელშეკრულებების მოქმედების ვადის გასვლის საფუძვლით საგარანტიო თანხის გადახდა არ მოხდებოდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ, მართალია, გარანტს მისთვის მოთხოვნის წაყენებისთანავე, სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაუყოვნებლივ ბენეფიციარისათვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ არ უცნობებია, მაგრამ ეს არ წარმოადგენს, ვადის გასვლის გამო, უკვე შეწყვეტილი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის აღდგენის წინაპირობას. ამდენად, სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი ვერ გახდება. რაც შეეხება აპელანტის მითითებას სამოქალაქო კოდექსის 889-ე მუხლის მეორე ნაწილზე, პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა, რომ იგი აღდგენს გარანტის ვალდებულებას შეტყობინების შესახებ პრინციპალის და არა ბენეფიციარის წინაშე. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ აპელანტი, როგორც სარჩელში, ისე სააპელაციო საჩივარში, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად უთითებდა სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის მეორე ნაწილს, კერძოდ, ამ ნორმით განმტკიცებულ გარანტის ვალდებულებას, დააკმაყოფილოს ბენეფიციარის ხელმეორე მოთხოვნა. პალატამ ჩათვალა, რომ ამ ნორმის თანახმად, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან იგი არეგულირებს ისეთ შემთხვევებს, როცა საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულება შეწყვეტილია ან ბათილია, მაგრამ საბანკო გარანტია ძალაშია. რაც შეეხება საბანკო გარანტიის შეწყვეტის შემდეგ მისთვის წარდგენილ მოთხოვნებს, მიუხედავად იმისა, ეს იქნება პირველი თუ ხელმეორე მოთხოვნა, იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება სსიპ "საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა" გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: საფუძველს მოკლებულია სასამართლოს მითითება, რომ საბანკო ამონაწერი დამოუკიდებელ დოკუმენტად, რაიმე ვალდებულების წარმოშობის ან დადგენის სამართლებრივ საფუძვლად ვერ იქნება მიჩნეული, თუნდაც ასეთი მითითებული ყოფილიყო პრინციპალსა და გარანტს შორის დადებულ ხელშეკრულებაში. აღნიშნული დარეგულირებულია კანონით. ამდენად, უდავოა, რომ საბანკო გარანტია წარმოადგენს ერთგვარ დამოუკიდებელ, ვალდებულების მატარებელ დოკუმენტს გარანტსა და ბენეფიციარს შორის. შესაბამისად, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლი. რაც შეეხება თვით საბანკო გარანტიას, იგი წარმოადგენს გარანტსა და ბენეფიციარს შორის ვალდებულების მატარებელ დოკუმენტს. სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ შემდეგ წინადადებაში - „წინამდებარე გარანტია ძალაშია კონტრაქტის მოქმედების პერიოდში“, „კონტრაქტი“ მოიაზრება სწორედ ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის დადებული ხელშეკრულება (კონტრაქტი), ვინაიდან, საბანკო გარანტია შედგენილია იმ პრინციპზე დაყრდნობით, რომ „კონტრაქტში“ ყველგან ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის დადებული ხელშეკრულება იგულისხმება და გარანტსა და პრინციპალს შორის დადებული ხელშეკრულება მხოლოდ ერთხელაა ნახსენები, ამასთან, საბანკო გარანტია გაიცემა ბენეფიციარისათვის, რათა იგი დაზღვეული იყოს პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან. სასამართლომ არასწორად განმარტა ჩანაწერი, რომ ვერც ერთი სუბიექტი - პრინციპალი, გარანტი და ბენეფიციარი, იმ მომენტში ვერ ივარაუდება, Eთუ რა პერიოდით და რამდენჯერ გაიზრდებოდა იმ პერიოდისათვის დადგენილი ვადები, აღნიშნული მითითება უნდა განიმარტოს ბენეფიციარის სასარგებლოდ, ვინაიდან ვალდებულება თეორიულად შეიძლება დათქმულ დროს, ადგილას და ჯეროვნად ვერ შესრულდეს. საბანკო გარანტიაში იმის ჩაწერა, რომ იგი მოქმედებს ვალდებულების შესრულებამდე, კიდევ ერთხელ აზღვევს ბენეფიციარს. ამდენად, საბანკო გარანტიები მოქმედებდა 2006 წლის 31 დეკემბრამდე, ძირითადი ვალდებულების შესრულებამდე, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის

887-ე მუხლი, როდესაც მიუთითა, რომ ბენეფიციარმა გარანტს მიმართა ვადის დამთავრების შემდგომ.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ შემდეგი გარემოებები: საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 6 დეკემბრის #1027 ბრძანებულებით სსიპ „საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი“ მიუერთდა სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდს“ და ეს უკანასკნელი განისაზღვრა სსიპ „საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის“ უფლებამონაცვლედ. სს სადაზღვევო კომპანია „გეოპოლისის“ უფლებამონაცვლეს წარმოადგენს შპს „ბი-ჯი-სი და კომპანია“. 2005 წლის 20 სექტემბერს სსიპ „სოციალური ინვესტიციების ფონდსა“ და, შპს „მშენებელს“ შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მშენებელს სამუშაოები უნდა ეწარმოებინა #87 სკოლაში, ხოლო იმავე წლის 10 ოქტომბერს დადებული კონტრაქტით -#9 სკოლაში. ხსენებული კონტრაქტების ვადები რამდენჯერმე გაგრძელდა და საბოლოოდ ვალდებულების შესრულების ბოლო ვადად განისაზღვრა 2006 წლის 31 დეკემბერი. 2005 წლის 31 ოქტომბერს გაფორმდა #06/შ საბანკო გარანტიის ხელშეკრულება სს სადაზღვევო კომპანია „გეოპოლისისა“ და შპს „მშენებელს“ შორის 72 524 ლარის ფარგლებში და, ხელშეკრულების 1.3 მუხლის შესაბამისად, მისი მოქმედების ვადა განისაზღვრა 2005 წლის ოქტომბრიდან 2006 წლის 4 ივლისამდე, ხოლო #07/შ საბანკო გარანტიის ხელშეკრულება გაფორმდა იმავე მხარეებს შორის 58 691 ლარზე, 2005 წლის 24 ოქტომბრიდან 2006 წლის 25 მაისამდე ვადით. სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდს“ სს „გეოპოლისისათვის“ არ უცნობებია შპს „მშენებელთან“ დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ არა აქვს ადგილი კანონის მითითებულ დარღვევას.

მოცემულ შემთხვევაში კასატორი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად უთითებს იმ გარემოებას, რომ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდსა და შპს „მშენებელს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტიის ვადა ხელშეკრულების ვადის გაგრძელებასთან ერთად ავტომატურად გაგრძელდა, რის გამოც მისი მოთხოვნა, მოვალის ვალდებულების დარღვევის გამო, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების -საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის თაობაზე კანონიერია. კასატორი ამ მოსაზრებას აყრდნობს საბანკო გარანტიაში მითითებულ დათქმაზე, რომლითაც „წინამდებარე გარანტია ძალაშია კონტრაქტის მოქმედების პერიოდში“.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო პრეტენზია დაუსაბუთებელია, კერძოდ, მოდავე მხარეთა შორის წარმოშობილია საბანკო გარანტიის ხელშეკრულებიდან მომდინარე ვალდებულება, რომლის შესაბამისად საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ, ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე (სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლი). სამოქალაქო კოდექსი საბანკო გარანტიას განიხილავს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისაგან განსხვავდება თავისი დამოუკიდებლობით -არააქცესორულობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ძირითადი ვალდებულება -ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა გავლენას ვერ ახდენს ამ უკანასკნელზე. საბანკო გარანტია შესასრულებელია გაცემული პირობების ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნისთანავე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესაგებელი. სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის ეს დანაწესი უზრუნველყოფს საბანკო გარანტიის საიმედოობას და იმავდროულად, კრედიტორის მოლოდინს ვალდებულების შესრულებასთან მიმართებით, მაგრამ მხოლოდ საბანკო გარანტიით გარანტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში. ამასთან, კრედიტორის (ბენეფიციარის) მიერ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად წარდგენილი პირობებით საბანკო გარანტიის არჩევა, ნიშნავს მის თანხმობას ამ პირობებზე, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა.

მოწინააღმდეგე მხარის მიერ გაცემული საბანკო გარანტიით დადასტურებულია ის გარემოება, რომ გარანტმა (სს "სადაზღვევო კომპანია გეოპოლისმა") იკისრა ვალდებულება, ბენეფიციარისათვის (სსიპ "საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა") საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის გაცემისა პრინციპალის (შპს "მშენებელი") მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. ბენეფიციარისათვის წარდგენილ საბანკო გარანტიაში დაფიქსირებულია, რომ წინამდებარე გარანტია ძალაშია კონტრაქტის მოქმედების პერიოდში, ხოლო კონტრაქტად მითითებულია ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის გაფორმებული ქ. თბილისის #9 სკოლის თBILIM/EQ-20 სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნიშნული კონტრაქტის მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 2005 წლის 4 ოქტომბრიდან 2006 წლის 25 მაისამდე, რაც ასევე მიეთითა საბანკო გარანტიის გაცემის თაობაზე ხელშეკრულების 1.3 პუნქტში.

დაუსაბუთებელია კასატორის მითითება, რომ, რადგან მათ წარედგინათ მხოლოდ ამონაწერი საბანკო გარანტიიდან, მათთვის უცნობი იყო საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით კონკრეტული ვადის გათვალისწინების შესახებ. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ კასატორისათვის წარდგენილ საბანკო გარანტიის ამონაწერში გარანტიის გაცემის ერთ-ერთ საფუძვლად მითითებულია გარანტსა და პრინციპალს შორის გაფორმებული საბანკო გარანტიის ხელშეკრულება, რაც იძლევა მაღალი ხარისხით ვარაუდის საფუძველს, რომ ბენეფიციარი უნდა დაინტერესებულიყო და გასცნობოდა აღნიშნულ ხელშეკრულებას, თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენს საკასაციო პრეტენზიის უარყოფის საფუძველს. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კასატორისათვის წარდგენილი საბანკო გარანტიითაც არაორაზროვნად განსაზღვრულია საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა – ბენეფიციარსა (კრედიტორს) და პრინციპალს (მოვალეს) შორის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების თაობაზე დადებული ხელშეკრულების ვადა.

აქვე საკასაციო სასამართლო, საბანკო გარანტიის იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, უთითებს, რომ საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული ურთიერთობის მონაწილეები არიან რა ბენეფიციარი, პრინციპალი და გარანტი, ამ ურთიერთობის ფარგლებში ფაქტობრივად ორი ხელშეკრულება იდება: 1. გარანტსა და პრინციპალს შორის საბანკო გარანტიის გაცემის თაობაზე ორმხრივი, სასყიდლიანი ხელშეკრულება (სამოქალაქო კოდექსის 880-ე მუხლი) და 2. თვით საბანკო გარანტია, რომელიც ცალმხრივი გარიგებაა და წარმოშობს გარანტის ცალმხრივ ვალდებულებას ბენეფიციარის მიმართ (სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლი). ამავდროულად, საბანკო გარანტიის გაცემით გარანტსა და ბენეფიციარს შორის ურთიერთობა დამოუკიდებელია იმ ძირითადი ვალდებულებებისგანაც, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული (სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლი). კანონის ამ დათქმიდან გამომდინარე, მართებულია კასატორის პოზიცია, რომ გარანტსა და პრინციპალს შორის საბანკო გარანტიის გაცემაზე შეთანხმებული სახელშეკრულებო პირობები გავლენას არ ახდენს ბენეფიციარსა და გარანტს შორის ურთიერთობაზე და მხარეთა შორის სადავოდ მიჩნეული საგარანტო ვადაც მხოლოდ ბენეფიციარისათვის წარდგენილი საბანკო გარანტიით უნდა განისაზღვროს. აღნიშნული მომდინარეობს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების ბუნებიდანაც – კრედიტორის მოთხოვნა შეზღუდულია მოვალით, ვინაიდან ვალდებულებითი ურთიერთობა მხოლოდ ამ ორ სუბიექტს შორის წარმოიშობა. ამდენად, მხარეთა მიერ "საბანკო გარანტიის ამონაწერად" შეფასებული საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტი ცალმხრივი გარიგება – საბანკო გარანტიაა, რომელიც წარმოშობს მხოლოდ გარანტის ვალდებულებას ბენეფიციარის წინაშე და ბენეფიციარის მიერ მისი წარდგენა იწვევს გარანტის ნაკისრი ვალდებულების უპირობო შესრულებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს იმპერატიულ დანაწესს, რომ საბანკო გარანტიაში ზუსტად განისაზღვროს მისი მოქმედების ვადა და აუცილებლად მიეთითოს კალენდარული თარიღი ან დროის გარკვეული პერიოდი. ამასთან, ვადის განსაზღვრის შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა წარედგინოს გარანტს გარანტიით განსაზღვრული იმ ვადის დამთავრებამდე, რა ვადითაც იგი გაიცა. ამდენად, მხარეები თავისუფალი არიან საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის განსაზღვრის წესში, რაც შეიძლება დამოკიდებული იყოს როგორც კალენდარულ თარიღზე, რაიმე პირობაზე, რაიმე მოვლენის დადგომაზე ასევე რაიმე მოქმედების შესრულებაზე. მოცემულ შემთხვევაში ბენეფიციარისათვის წარდგენილ საბანკო გარანტიაში განსაზღვრულია გარანტიის მოქმედების ზუსტი ვადა – გარანტიის გაცემის საფუძვლად მითითებული თვით ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ვადის ამგვარი განსაზღვრა ეჭვს არ წარმოშობს და არც ამ პირობის განმარტების საჭიროება არსებობს, ვინაიდან ვადად კასატორისათვის ცნობილი დრო, მისი მონაწილეობით შეთანხმებული ხელშეკრულების მოქმედების დრო განისაზღვრა. შესაბამისად, კასატორს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებით – საბანკო გარანტიით შეეძლო ესარგებლა მხოლოდ იმ ვადაში, რა ვადითაც იგი გაიცა.



ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული კასატორის მოსაზრება, რომ მას და პრინციპალს შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულების გაგრძელებით ავტომატურად გაგრძელდა საბანკო გარანტიის ვადა. საბანკო გარანტიისათვის, როგორც ყველა ხელშეკრულების დადებულად მიჩნევისათვის აუცილებელია მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე (სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლი), რომლებიც შეიძლება განისაზღვროს მხარეთა შეთანხმებით ან კანონით. მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა გამოხატეს ნება, გარანტიის განსაზღვრული ვადით მოქმედებაზე და ამ პირობის შეცვლა არ შეიძლება დამოკიდებული იყოს სხვა რაიმე გარეგან ფაქტორზე, რადგან საბანკო გარანტიის გაცემა –გარიგების დადება გარკვეული პირობებით მხოლოდ გარანტის ნამდვილ ნებაზეა დამოკიდებული. გარანტიაში მითითებულია კონკრეტულ ვადაზე და არ არის რაიმე დათქმა ამ ვადის გაზრდასთან ან მოსალოდნელ ცვლილებებთან მიმართებით. კასატორი ვერც ფაქტობრივად და ვერც სამართლებრივად ვერ ასაბუთებს, თუ რატომ უნდა მოახდინოს პირდაპირი გავლენა ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის დადებულ ხელშეკრულების პირობებმა და ამ პირობებში ცვლილების შეტანამ დამოუკიდებელი ხელშეკრულების –საბანკო გარანტიის პირობებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს რომ კასატორის საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

სსიპ “საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის” საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **7. ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება**

### **განჩინება**

#ას-90-423-09

4 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),**

**თ. თოდრია (მომხსენებელი),**

**რ. ნადირიანი**

**დავის საგანი:** გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. რ-ავამ სარჩელი აღძრა სასამართლოში და მიუთითა, რომ 2003 წლის 15 თებერვალს ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა “ქობულეთი 17-ის” მიერ მოწვეულ იქნა საერთო კრება, რომელზეც განიხილეს ამხანაგობა “ქობულეთი 17-ის” სახელზე შემოსული განცხადებები, ასევე ამხანაგობა “ქობულეთი 17-ის” წევრებზე საცხოვრებელი ფართის გამოყოფა-დამტკიცების საკითხები. აღნიშნული კრების ჩატარების შედეგად შედგა ოქმი, რომლის თანახმად, მოსარჩელეს, როგორც ამხანაგობის წევრს, მიაკუთვნეს ... ქ. #17-ში საცხოვრებელი სახლის მე-9 სართულზე მდებარე 57,81 კვ.მ. მისთვის არ უცნობებიათ აღნიშნული კრების ჩატარების შესახებ; კრების ოქმში არ არის ასახული, თუ რატომ მისცეს ნ. რ-ავას ამხანაგობის მიერ 57,81 კვ.მ ბინა, რადგან ამხანაგობაში იგი გაწევრიანდა ოთხოთახიანი ბინის აშენების მიზნით. გარდა ამისა, ოქმს ხელს არ აწერს მდივანი, რაც ეჭვქვეშ აყენებს კრების ჩატარების ნამდვილობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ამხანაგობა “ქობულეთი 17-ის” 2003 წლის 15 თებერვლის საერთო კრების ოქმის ბათილად ცნობა.

ნ. რ-ავამ დაზუსტებული სარჩელი შეიტანა სასამართლოში და მიუთითა, რომ იგი თბილისის მერიის საქალაქო მმართველობის ვაკის რაიონის გამგეობის 1993 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ იქნა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის, ამხანაგობა “ქობულეთი 17-ის”

წევრად ოთხოთახიან ბინაზე. აღნიშნული ბინის აშენებასთან დაკავშირებით მოსარჩელემ მთლიანად გადაიხადა 35000 მანეთი, 2340 აშშ დოლარი და 20000000 კუპონი. საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დამთავრდა 2003 წელს. ამავე წლის 15 თებერვალს მოპასუხის მიერ ჩატარებულ იქნა საერთო კრება, რომლის გადაწყვეტილებით ნ. რ-ავას, როგორც ამხანაგობის წევრს, გამოეყო საცხოვრებელი სახლის მე-9 სართულზე მდებარე საერთო ფართით 57,81 კვ.მ #23 ბინა.

მოსარჩელეს მიაჩნია, რომ 2003 წლის 15 თებერვლის საერთო კრების ოქმი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, ვინაიდან დარღვეულია კანონის მოთხოვნები, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 226-ე მუხლის თანახმად, ბინის მესაკუთრენი გადაწყვეტილებებს იღებენ ბინის მესაკუთრეთა კრებაზე. გადაწყვეტილების ნამდვილობისათვის აუცილებელია, რომ მისი საგანი უკვე იყოს გამოცხადებული კრების მოწვევის დროისათვის, ანუ ბინის მესაკუთრეთათვის კრების მოწვევის დროისათვის ცნობილი უნდა იყოს კრებაზე განსახილველი საკითხები. წინააღმდეგ შემთხვევაში კრების გადაწყვეტილება იურიდიულ ძალას ვერ შეიძენს. ამავე კოდექსის 227-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, კრება მოიწვევა ერთი კვირის ვადაში მისი მოწვევის შესახებ წერილობითი განცხადების გაკეთების დღიდან. ამ შემთხვევაში მოსარჩელე არ იყო ინფორმირებული არც კრების მოწვევისა და განსახილველი საკითხების თაობაზე კანონით დადგენილი წესით.

კრების ჩატარების დროისათვის არ შეცვლილა ვაკის რაიონის გამგეობის გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის ოთხოთახიანი ბინის გადაცემის შესახებ. აქედან გამომდინარე, გაურკვეველია, რატომ დაადგინა კრებამ მოსარჩელისათვის მხოლოდ ერთოთახიანი ბინის გადაცემა ნაცვლად ოთხოთახიანისა.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. რ-ავას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ნ. რ-ავამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით ნ. რ-ავას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება; ნ. რ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდა -ბათილად იქნა ცნობილი ამხანაგობა "ქობულეთი 17-ის" 2003 წლის 15 თებერვლის კრების ოქმი.

თ. გ-შვილმა, ლ. გ-შვილმა, ნ. ვ-მემ, მ. გ-შვილმა, ნ. ს-მემ და გ. მ-შვილმა განცხადებით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 10 ნოემბრის განჩინებით თ. გ-შვილისა და ნ. ვ-მის განცხადება არ დაკმაყოფილდა, ლ. გ-შვილის, მ. გ-შვილის, ნ. ს-მისა და გ. მ-შვილის განცხადება დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება და ნ. რ-ავას სააპელაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა თ. გ-შვილისა და სხვათა წარმომადგენელმა პ. კ-მემ. მან მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ნოემბრის განჩინებით, თ. გ-შვილისა და ნ. ვ-მის განცხადება არ დაკმაყოფილდა, დანარჩენ განმცხადებელთა მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება და ნ. რ-ავას სააპელაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უშუალოდ შეეხებოდა განმცხადებელთა უფლებებსა და მოვალეობებს, რის გამოც ისინი ჩაბმული უნდა ყოფილიყვნენ საქმეში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსკ-ის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ლ. გ-შვილის, მ. გ-შვილის, ნ. ს-მისა და გ. მ-შვილის განცხადება საფუძვლიანად მიიჩნია. პ. კ-მის აზრით, არასწორია გასაჩივრებული განჩინების მოტივაცია იმის თაობაზე, თითქოს ნ. ვ-მემ მოცემულ საქმეში წარმოადგენდა თ. გ-შვილისა და ნ. ვ-მის ინტერესებს. რამდენადაც ამხანაგობა შეიძლება იყოს პროცესის მხარე, არ არსებობს არანაირი საფუძველი დასკვნისათვის, თითქოს ნ. ვ-მეს მიენიჭა არა ამხანაგობის, როგორც ორგანიზებული წარმონაქმნის, არამედ ფიზიკური პირების: თ. გ-შვილისა და ნ. ვ-მის კერძო დავების სასამართლოში წარმოების უფლება. უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, თითქოს მოცემულ საქმეში თ. გ-შვილისა და ნ. ვ-მეს წარმოადგენდა ნ. ვ-მემ, რის გამოც მათ შესაძლებლობა ჰქონდათ წარმომადგენლის მეშვეობით საქმის არსებითი განხილვისას განეცხადებინათ იმ გარემოებათა შესახებ, რომელიც ასახული იყო განცხადებაში, საქმის წარმოების განახლების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 10 ნოემბრის განჩინებაზე ასევე კერძო საჩივარი შეიტანა ნ. რ-ავამ და მიუთითა, რომ აღნიშნული განჩინება არის უკანონო და დაუსაბუთებელი და იგი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლოს აზრით, ამხანაგობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს და არის ფიზიკურ პირთა გაერთიანება, რის გამოც ნ. ვ-მე მიჩნეულ იქნა არა ამხანაგობის, არამედ ამხანაგობის ცალკეულ წევრთა წარმომადგენლად, იმ წევრთა, რომლებიც მოხსენებული იყვნენ მინდობილობაში.

განჩინებიდან ირკვევა, რომ იმ ფაქტის იურიდიულ საფუძველად, რის გამოც ამხანაგობის თავმჯდომარე არ ჩაითვალა ამხანაგობის წარმომადგენლად, გამოყენებულია ორი დოკუმენტი, კერძოდ კი, ამხანაგობა „ქობულეთი 17-ის“ კრების ოქმი და მინდობილობა. აღნიშნული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ დოკუმენტებზე ხელმოწერმა ამხანაგობის წევრებმა ნ. ვ-მე აირჩიეს ამხანაგობის თავმჯდომარედ და მას მიანიჭეს უფლება, რომ წარმოადგინოს მესამე პირებთან ურთიერთობებში და სასამართლო ორგანოებში ამხანაგობა და არა ამხანაგობის ცალკეული წევრები.

სასამართლო გადაწყვეტილება ჩაბარებული აქვს 2007 წელსვე ამხანაგობის თავმჯდომარეს და არაერთ წევრს. აქედან გამომდინარე, განმცხადებლებს გადაწყვეტილების არსებობის თაობაზე უნდა სცოდნოდათ 2007 წელს.

ამასთან, საჯარო რეესტრის ამონაწერებიდან ირკვევა, რომ 2008 წლის ივნისში მ. გ-შვილსა და ლ. გ-შვილს კუთვნილი ფართები, რომელიც მათ გააჩნდათ ამხანაგობის მიერ აშენებულ სახლში, რეესტრში დაურეგისტრირებიათ ინდ. მენაშენეთა ამხანაგობა „ქობულეთი 17-ის“ საერთო კრების ოქმის საფუძველზე და, აქედან გამომდინარე, შეუძლებელია, ამხანაგობის თავმჯდომარესთან შეუთანხმებლად, დაერეგისტრირებინათ ფართები.

რაც შეეხება გადაწყვეტილების კანონიერებას ნ. და გ. მ-შვილებთან მიმართებაში, ამ შემთხვევაშიც 2008 წლის 10 ნოემბრის განჩინება უსაფუძველოა. საქმეში წარმოდგენილია არაერთი უწყება, საიდანაც დასტურდება, როგორც სასამართლო პროცესის ჩატარების, ისე გადაწყვეტილების ჩაბარების შეტყობინებები ჰბარდებოდა მ-შვილების ოჯახს, თუმცა მათ მიერ არც გადაწყვეტილება გასაჩივრებულა და არც ინფორმაცია მიწოდებულა სასამართლოსათვის იმის თაობაზე, რომ ლ. მ-შვილი გარდაცვლილი იყო. აქედან გამომდინარე, მათი მოთხოვნა, 422-ე მუხლიდან გამომდინარე, ხანდაზმულია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, კერძო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ თ. გ-შვილის, ლ. გ-შვილის, ნ. ვ-მის, მ. გ-შვილის, ნ. ს-მისა და გ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ასევე არ უნდა დაკმაყოფილდეს ნ. რ-ავას კერძო საჩივარი შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ნ. რ-ავას სააპელაციო საჩივარი, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ნ. რ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ამხანაგობა „ქობულეთი 17-ის“ 2003 წლის 15 თებერვლის საერთო კრების ოქმი. აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილად იქნა ცნობილი, რომ ზემოაღნიშნული საქმის განხილვის დროს, 2005 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილებით, საქმეში მოპასუხეებად ჩაბმულ იქნენ ბინების მესაკუთრეები.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ განმცხადებლები თ. გ-შვილი, ლ. გ-შვილი, ნ. ვ-მე, მ. გ-შვილი და აწ გარდაცვლ. ლ. მ-შვილი, (რომლის უფლებამონაცვლები არიან გ. მ-შვილი და ნ. ს-მე) წარმოადგენენ ამხანაგობა „ქობულეთი 17-ის“ წევრებს. მათ შეიტანეს განცხადება ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საკითხის განხილვა უკავშირდება საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობებს, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერების შემოწმებისათვის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის განმარტების სისწორის განსაზღვრისათვის, აუცილებელია განისაზღვროს განმცხადებლების, როგორც საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების მხარეების (წევრების) უფლებები და კანონით გათვალისწინებული ინტერესები.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთო საქმიანობის გაძღოლის მიზნით, პირთა გაერთიანება (ამხანაგობა) წარმოადგენს ორგანიზაციულ წარმონაქმნს, რომლის უფლება-ვალდებულებები განისაზღვრება ხელშეკრულებით, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის თანახმად, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს, ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად.

კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის კონტექსტიდან გამომდინარე, საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების მხარეების (წევრების) უფლებებისა და კანონით გათვალისწინებული ინტერესების განსაზღვრისათვის ხაზი უნდა გაუსვათ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით დადგენილ დავის საგანს და ამ დავაში მონაწილე მხარეებს, კერძოდ, მოსარჩელე ნ. რ.-ავამ აღძრა სარჩელი ამხანაგობა "ქობულეთი 17-ის" წინააღმდეგ და ითხოვდა ამხანაგობა "ქობულეთი 17-ის" 2003 წლის 15 თებერვლის საერთო კრების ოქმის ბათილად ცნობას, რაც დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ. აღნიშნული ოქმით განაწილებულ იქნა ბინები მრავალბინიან სახლში, რასაც მოსარჩელე, როგორც ამხანაგობის წევრი არ დაეთანხმა და მიიჩნევდა, რომ მას უნდა მიეღო სხვა ფართი. ამდენად, აღნიშნული მოთხოვნა საბოლოოდ მიმართული იყო მის წილზე უფლების აღიარებაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით ისმის კითხვა: ზემოაღნიშნული საქმის განხილვაში მოპასუხეს წარმოადგენს საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) სახელით მისი თავმჯდომარე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად), თუ ამ საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) დანარჩენი მონაწილეები.

პასუხის გასაცემად აუცილებელია განისაზღვროს, თუ რა უფლებების განხორციელება შეიძლება დაეკისროს საერთო საქმიანობის ერთ-ერთ მონაწილეს (თავმჯდომარეს) მესამე პირებთან ურთიერთობაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად.

აქედან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს ის სამართლებრივი ურთიერთობები, რომლის თანახმად საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეები ერთმანეთის მიმართ გამოდიან როგორც კრედიტორი და მოვალე.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც გააჩნიათ ამხანაგობის წევრებს ერთმანეთთან, განსხვავდება იმ სამართლებრივ ურთიერთობებისაგან, რომელიც გააჩნია ამხანაგობას მესამე პირებთან.

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება ამხანაგობის წევრებს შორის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის დაკისრებისა და მისი განსაზღვრის სამართლებრივი საკითხი და არ შეიძლება ამ თავისებურების გავრცელება ამხანაგობასა და მესამე პირებს შორის სამართლებრივ ურთიერთობებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის დაკისრებისა და მის განსაზღვრაზე.

ამხანაგობას მესამე პირებთან სამართლებრივი ურთიერთობების შედეგად დაკისრებულმა პასუხისმგებლობამ შეიძლება გამოიწვიოს "შიდა სახელშეკრულებო" ურთიერთობაში გარკვეული უფლება-ვალდებულებების წარმოშობა, რაც არანაირ სამართლებრივ გავლენას არ ახდენს მესამე პირებთან არსებულ სამართლებრივ ურთიერთობაზე (პასუხისმგებლობაზე), ამდენად, ამ შემთხვევაში მესამე პირებთან ურთიერთობაში სამართლებრივი მნიშვნელობა ენიჭება საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების მხარეებთან ერთობლივად დადებულ ხელშეკრულებას და არა ცალკე ამხანაგობის წევრებთან წარმოშობილ ურთიერთობას. სწორედ ამიტომ, მესამე პირისათვის არ აქვს მნიშვნელობა ამხანაგობის მიერ ისეთი "შიდა სახელშეკრულებო" ცვლილებების განხორციელებას, როგორცაა ამხანაგობის წევრების შეცვლა და ა.შ.

იმის გათვალისწინებით, რომ ამხანაგობა წარმოადგენს ორგანიზებულ ერთობას, ამხანაგობის მონაწილეები ერთობლივად უძღვებიან ამხანაგობის საერთო საქმიანობას საბოლოო მიზნის მასაღწევად მათი ინტერესებიდან გამომდინარე.

ამდენად, საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებას, რომელიც წარმოადგენს კოლექტიურ გაერთიანებას, გარკვეულ წილად ახასიათებს კორპორაციული სტრუქტურის ისეთი თვისებები, რომელიც მოიცავს როგორც ორგანიზაციულ, ასევე ქონებრივ ელემენტებს. ზუსტად ასეთი ტიპის გაერთიანება წარმოადგენს გარკვეულ წილად იმ საშუალებათა ერთობას, რითაც საბოლოოდ უზრუნველყოფილია ამ გაერთიანების მონაწილეთა მიერ დასახული მიზნის მიღწევა.

აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების ზემოაღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით, მისი მონაწილეები სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობენ არა ცალკე-ცალკე, არამედ ერთობლივად.

ამდენად, საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) წევრების ინტერესები მიმართულია საერთო მიზნის მიღწევისაკენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ერთმანეთის მიმართ ისინი არ შეიძლება გამოდიოდნენ როგორც კრედიტორი და მოვალე. ზუსტად ეს წარმოადგენს იმ შემთხვევას, როდესაც ჩვენ უნდა გავმიჯნოთ საერთო საქმიანობის მიზნის მასაღწევად ამხანაგობის წევრების უფლებები და ნაკისრი ვალდებულებები იმ უფლება-ვალდებულებებისაგან, რომელიც შემდეგ მათ წარმოეშობათ ერთმანეთის მიმართ, კერძოდ, ერთ შემთხვევაში, საერთო საქმიანობასთან დაკავშირებით, კეთილსინდისიერად შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს თითოეულ მონაწილეს ერთობლივი საქმიანობის ყოველივე მონაწილისაგან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 935-ე მუხლის მე-2 ნა-

წილი) არა უშუალოდ თავისი, არამედ მხოლოდ საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეთა სასარგებლოდ. მეორე შემთხვევაში, ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 937-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება). ამ უკანასკნელ შემთხვევაში კანონით გათვალისწინებულია დანაწესი, რომლის თანახმად პასუხისმგებლობის საკითხი დგება ერთმანეთის მიმართ. საერთო საქმიანობის შედეგად მიღებული ქონების განაწილება (მაგალითად, საერთო საქმიანობის შედეგად აშენებული მრავალბინიანი სახლის ბინები) წარმოადგენს საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეთა იმ უფლებების დაკმაყოფილებას, რომლისთვისაც იქმნება ამხანაგობა. ამდენად, საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება წარმოადგენს საშუალებას, რომლის მეშვეობითაც ხდება ყველა მონაწილის უფლებების დაკმაყოფილება. აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ხელშეკრულებით ამხანაგობის საქმეების გაძღოლაში იგულისხმება იმ საშუალების (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლი) გამოყენება, რომელიც მიმართულია მხოლოდ საერთო მიზნის მიღწევისაკენ (კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ ამ დროს შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს თითოეულ მონაწილეს ერთობლივი საქმიანობის ყოველივე მონაწილისაგან არა უშუალოდ თავისი, არამედ მხოლოდ საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეთა სასარგებლოდ). რაც შეეხება საერთო საქმიანობის შედეგად მიღებულ სიკეთეს, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული შედეგი მიუთითებს საერთო საქმიანობით მიღწეულ მიზანზე. ზუსტად ამ საქმიანობის შედეგად მიღებული (კონკრეტულ შემთხვევაში) ქონების განაწილება გავლენას ახდენს საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების მონაწილეთა უფლებრივ მდგომარეობაზე, რამაც შეიძლება დაარღვიოს "შიდა სახელშეკრულებო" ბალანსი.

ამდენად, საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის მიერ ამ ბალანსის აღდგენის მოთხოვნა გავლენას ახდენს ამავე ხელშეკრულების სხვა მონაწილეთა უფლებებზე, რომლებიც უკავშირდება არა ამხანაგობის საქმეების გაძღოლას, არამედ მის შედეგად ამხანაგობის შექმნის მიზნით არსებული უფლების დაკმაყოფილებას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ამხანაგობის მონაწილეები ერთმანეთის მიმართ გამოდიან როგორც კრედიტორი და მოვალე და მონაწილეობენ სასამართლოში არა ამხანაგობის, არამედ თავისი სახელით.

ამ კონკრეტულ შემთხვევაზე არ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, თუ ხელშეკრულებით ამხანაგობის საქმეების გაძღოლა დაკისრებული აქვს ერთ-ერთ მონაწილეს, საეჭვოებისას ის წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში და მის მიერ დადებული გარიგებები ნამდვილია. განსახილველი ნორმიდან გამომდინარე, ამხანაგობის საქმეების გაძღოლის დაკისრებაში იგულისხმება ამხანაგობის მონაწილეთა მიერ იმ უფლების გამოყენება, რომლებიც მიმართულია არა ერთმანეთის მიმართ, არამედ -საერთო მიზნის მისაღწევად. ზუსტად ამ უფლებების განხორციელება შეიძლება დაეკისროს ამხანაგობის ერთ-ერთ მონაწილეს, რომელსაც წარმოეშობა ამ უფლებების კეთილსინდისიერად განხორციელების (საერთო საქმეების გაძღოლა) ვალდებულება.

განსახილველ საქმეში ამხანაგობის საერთო საქმიანობა გამოიხატება ამხანაგობის მონაწილეების მიერ მრავალბინიანი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელებაში, რომლის მიზანს წარმოადგენს აშენებული მრავალბინიანი სახლის კონკრეტული ბინების მიღებით საერთო საქმიანობის მონაწილეთა უფლებების დაკმაყოფილება.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება ეხება ამხანაგობა "ქობულეთი 17-ის" ყველა იმ წევრს, ვისი უფლებებიც განსაზღვრული იყო ამხანაგობა "ქობულეთი 17-ის" 2003 წლის 15 თებერვლის საერთო კრების ოქმით, კერძოდ, ამ ოქმით განაწილდა ამხანაგობის წევრებს შორის აშენებული მრავალბინიანი სახლის ბინები, რაც უშუალოდ ეხება განმცხადებლების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. როგორც უკვე აღინიშნა, განმცხადებლების უფლებები აშენებული მრავალბინიანი სახლის ბინების განაწილებასთან მიმართებაში უკავშირდება არა მათი საერთო საქმიანობის გაძღოლას, არამედ ამ საერთო საქმიანობის შედეგად მიღებული ქონების გაყოფით თავიანთი უფლებების დაკმაყოფილებას.

გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში მითითებული ამხანაგობა "ქობულეთი 17-ის" 2002 წლის 22 ოქტომბრის კრების #1 ოქმით და ამავე თარიღით ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობით, ნ. პ-მე არჩეულ იქნა ამხანაგობა "ქობულეთი 17-ის" თავმჯდომარედ და განისაზღვრა მისი როგორც ამხანაგობა "ქობულეთი 17-ის" წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სასამართლოში, ასევე მესამე პირებთან ურთიერთობაში.

აღნიშნული მინდობილობები ასახავს საერთო საქმიანობის ურთიერთობებიდან გამომდინარე, საერთო საქმიანობის გაძღოლასთან დაკავშირებული უფლებების დაკისრებას ერთ-ერთ მონაწილისათვის (ნ. პ-მისათვის), რაც მიუთითებს იმაზე, რომ ამ უკანასკნელმა უნდა დაიცვას საერთო

საქმიანობის ხელშეკრულებით პირთა გაერთიანების შედეგად შექმნილი ორგანიზაციული ერთობის ინტერესები, რითაც უზრუნველყოფილია საერთო მიზნის მიღწევის შესაძლებლობა და არა უკვე მიღწეული მიზნის შედეგად თითოეული მონაწილის თავიანთი წილის მიღების უფლება.

ამდენად, არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ნ. პ-მე წარმოადგენდა თ. გ-შვილის და ნ. ვ-მეს ინტერესებს, რადგან მათ გასცეს მინდობილობა (იგულისხმება ამხანაგობა "ქობულეთი 17-ის" 2002 წლის 22 ოქტომბრის კრების #1 ოქმი და ამავე თარიღით ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა). თ. გ-შვილისა და ნ. ვ-მეს მიერ გაცემული იყო მინდობილობა, რომლის თანახმად ნ. პ-მეს დაეკისრა საერთო საქმიანობის გაძღვალასთან დაკავშირებული უფლებების განხორციელება, ამ შემთხვევაში ნ. პ-მე, როგორც ამხანაგობის თავმჯდომარე, იცავდა ამხანაგობის ინტერესებს (რომლის უფლებამოსილებას სხვა ამხანაგობის მონაწილეებთან ერთად აძლევდნენ თ. გ-შვილი და ნ. ვ-მე), მაგრამ, აღნიშნული მინდობილობებიდან გამომდინარე, ნ. პ-მე არ წარმოადგენდა, კონკრეტულ შემთხვევაში თ. გ-შვილსა და ნ. ვ-მეს, როგორც კრედიტორებს დანარჩენ ამხანაგობის მონაწილეთა მიმართ.

ზემოაღნიშნულიოდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ (სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით), თ. გ-შვილი და ნ. ვ-მე არ იყვნენ მოწვეული საქმის განხილვაზე, ამასთან ერთად მათ მიერ ნ. პ-მის სახელზე გაცემული მინდობილობები ეხება ამხანაგობა "ქობულეთი 17-ის" საერთო საქმიანობის გაძღვალის უფლებამოსილებას (წარმოადგინოს ამხანაგობა სასამართლოში, მესამე პირებთან ურთიერთობაში) და არა უკვე აშენებული სახლის ბინების განაწილების შესახებ მათი უფლებების დაცვას სხვა ამხანაგობის მონაწილეთა მიმართ, ამდენად აღნიშნული პირები უნდა ყოფილიყვნენ მოწვეული სასამართლო პროცესზე მხარეებად.

ზემოაღნიშნული მიზეზების გათვალისწინებით არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს ნ. რ-ავას კერძო საჩივარი. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ სასამართლო სხდომაზე ასევე არ იყვნენ მოწვეული ლ. გ-შვილი და მ. გ-შვილი და მათ მიერ არ იყო გაცემული მინდობილობა ნ. პ-მის სახელზე, ხოლო ლ. მ-შვილი გარდაიცვალა 2005 წლის 15 აპრილს და მისი უფლებამონაცვლეები არ იყვნენ მოწვეული საქმის განხილვაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნული მინდობილობები ეხება საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) უფლებების განხორციელებას (გაძღვალას), ნ. პ-მე როგორც ამხანაგობის წარმომადგენელი არ შეიძლება მივიჩნიოთ ცალ-ცალკე აღებული ამხანაგობის მონაწილეების (მათ შორის, ლ. გ-შვილის, აწ. გარდაცვლ. ლ. მ-შვილისა და, შესაბამისად, მისი უფლებამონაცვლეებისა და მ. გ-შვილის) იმ უფლებების წარმომადგენლად, რომელიც მიმართულია ერთმანეთის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ ნ. რ-ავას მოთხოვნა ეხებოდა არა საერთო საქმიანობის გაძღვალას (რა დროსაც მხარეს შეიძლება წარმოადგენდეს ამხანაგობა), არამედ - ამ გაძღვალის შედეგად მიღებული ქონების განაწილებას (როცა მხარეებს წარმოადგენდა ამხანაგობის ყველა მონაწილე).

ამდენად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია გავითვალისწინოთ დასკვნა, რომ ამხანაგობა "ქობულეთი 17-ის" 2003 წლის 15 თებერვლის საერთო კრების ოქმის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის განხილვისას მოპასუხეებს უნდა წარმოადგენდნენ თ. გ-შვილი, ლ. გ-შვილი, ნ. ვ-მე, მ. გ-შვილი, ნ. ს-მე და გ. მ-შვილი.

რაც შეეხება ნ. რ-ავას კერძო საჩივარში მითითებულ გარემოებას იმის შესახებ, რომ საქმეში წარმოდგენილია უწყებები, რითაც დასტურდება რომ როგორც პროცესის ჩატარების, ასევე გადაწყვეტილების ჩაბარების შეტყობინებები ბარდებოდა მ-შვილის ოჯახს, არ შეიძლება იყოს გაზიარებული, კერძოდ, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქმეში წარმოდგენილია სასამართლო შეტყობინება, რომელიც გაეგზავნა ლ. მ-შვილს, ხოლო ჩაჰბარდა ამხანაგობის დაცვას. აღნიშნული შეტყობინება ეხებოდა 2007 წლის 14 თებერვალს დანიშნულ სასამართლო სხდომას. სასამართლო სხდომა გაგრძელდა 2007 წლის 5 მარტს, რომლის შესახებ არ ეცნობა მ-შვილის ოჯახს. იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველი საქმე ეხებოდა უშუალოდ ყველა ამხანაგობის წევრს, მათ შორის მ-შვილს, ამხანაგობის დაცვა არ იყო უფლებამოსილი ჩაებარებინა აღნიშნული შეტყობინება, მით უმეტეს 2007 წლის 5 მარტის სასამართლო სხდომის შესახებ მას უწყება არ გაეგზავნა. აღნიშნული მიუთითებს, რომ დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნები, შესაბამისად გარდაცვლილის უფლებამონაცვლეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა სასამართლოს დაცვის წესით დაიცვან თავიანთი უფლებები.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არ შეიძლება გაზიარებული იქნეს ნ. რ-ავას კერძო საჩივარში მითითებული გარემოება იმის შესახებ, რომ სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მოთხოვნა, რომელიც ეხება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების შესახებ განცხადების შეტანის ერთობიან ვადას.

ამასთან მიმართებაში საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 10 სექტემბრის განჩინებით განცხადებლებს ზვადასხვა ხარვეზების შევსებასთან ერთად დაევალიათ დაედასტურებინათ სასამართლოში მიმართვის ერთიანი ვადის დაცვა.

2008 წლის 25 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე და 427-ე მუხლების შესაბამისად, მიღებულ იქნა წარმოებაში გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება. არც საქმის მასალებით და არც სხდომის ოქმებით არ დასტურდება, რომ ნ. რ-ავა (ან მისი წარმომადგენელი) უთითებდნენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე და 427-ე მუხლების დარღვევებზე და მასთან დაკავშირებულ გარემოებებზე. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომის ოქმებში, გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები.

საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ თ. გ-შვილისა და ნ. ვ-ძის მოთხოვნა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს ბათილად ცნობის შესახებ სამართლებრივად უსაფუძვლოა, რადგან განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ ეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-3 წინადადების თანახმად, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო, მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. რ-ავას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო, რაც შეეხება განმცხადებლების წარმომადგენლის -პ. კ-ძის კერძო საჩივარს, უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის 10 ნოემბრის სააპელაციო სასამართლოს განჩინება არსებითად სწორია, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება და ნ. რ-ავას სააპელაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას (რაც შეფასებულ იქნა წინამდებარე განჩინებით), საკასაციო პალატა თვლის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის "გ" პუნქტის თანახმად გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე და 410-ე მუხლებით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. თ. გ-შვილის, ლ. გ-შვილის, ნ. ვ-ძის, მ. გ-შვილის, ნ. ს-ძისა და გ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ნ. რ-ავას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ნოემბრის განჩინება;
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **8. საზიარო უფლებები**

##### **საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას**

##### **განჩინება**

#ას-596-823-08

15 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

**დავის საგანი:** სარჩელში -უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების აღიარება, მეზობელი მიწის ნაკვეთის გამიჯვნა, სასაზღვრო მიჯნის აღმართვა, ხელშემშლის აღკვეთა. შეგებებულ სარჩელში - უძრავ ნივთზე საზიარო უფლების გაუქმება.

### აღწერილობითი ნაწილი:

პ. პ-იამ თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა მოპასუხე შპს „ბუტეკ კლასიკის“ მიმართ და მოითხოვა ქ. თბილისში, ... ქ. #60ა-ში მდებარე 1438 კვ.მ-ის სახლთმფლობელობიდან 1219 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მესაკუთრედ აღიარება და საჯარო რეესტრში შესაბამისი სარეგისტრაციო ჩანაწერების განხორციელება; მოსარჩელისა და მოპასუხის მეზობელი მიწის ნაკვეთების გამოიჯვანა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის #915/15 ნახაზით დადგენილ საზღვრებში; მოსარჩელის საცხოვრებელი კიბის ქვეშ არსებული მოპასუხის საპირფარეშოს გაუქმება; მოპასუხის ოფისიდან მოსარჩელის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ ეზოში გამომავალი ჭიშკრის გაუქმება და მის ნაცვლად მოსარჩელის სახსრებით მყარი სასაზღვრო მიჯნის აღმართვის უფლების აღიარება.

მოპასუხე შპს „ბუტეკ-კლასიკმა“ წარადგინა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა: სადავო უძრავ ქონებაზე, ქ. თბილისში, ... ქ. #60ა-ში მდებარე 1427 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე თანამესაკუთრეობის დადგენა 1/2-ის ოდენობით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე საზიარო უფლების გაუქმება და ნატურით გაყოფა იმგვარად, რომ ეზოში ეკლესიის მხრიდან შემოსასვლელი გზა და ის მიწა, რომელიც უშუალოდ დაკავებულია საცხოვრებელი სახლით დარჩენილი იქნას საერთო საკუთრებაში, ხოლო დარჩენილი მიწის ნაკვეთი თანამესაკუთრეთა შორის გაიყოს თანაბარწილად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით პ. პ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა. შპს „ბუტეკ-კლასიკს“ უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ბუტეკ-კლასიკმა“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მარტის განჩინებით შპს „ბუტეკ-კლასიკის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისში ... ქ. #60ა-ში მდებარე სამოსახლო მიწის ნაკვეთი 1946 წელს ძირითადი აღრიცხვისას შეადგენდა 407 კვ.მ-ს. 1962 წელს გაცემული საინვენტარიზაციო გეგმის მიხედვით, თბილისში, ... ქ. #60ა-ში მდებარე სამოსახლო მიწის ნაკვეთზე განლაგებული შენობა-ნაგებობა ეკუთვნით ლ. შ-შვილს და პ. პ-იას, თითოეულს 1/2-1/2-ის ოდენობით. 1996 წლის 28 ივნისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტმა განიხილა პ. პ-იას და ო. შ-შვილის მიერ თბილისში, ... ქ. #60ა-ში დაკავებული მიწის ნაკვეთის დამაგრებისა და სახლთმფლობელობის დაკანონების შესახებ და მიიღო დადგენილება #10.36.663, რომლის მიხედვით აღნიშნულ პირებს დაუმაგრდათ თბილისში ... ქ. #60ა-ში მათზე რიცხული სახლთმფლობელობით დაკავებული 1188 კვ.მ მიწის ნაკვეთი და დაუკანონდათ ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მიერ 1961-1982 წლებში სახლთმფლობელობაზე აღრიცხული ცვლილებები 14.06.96. საინვენტარიზაციო გეგმის შესაბამისად. ლიტერ „ა“, კანონიერი სახლის სარდაფის სათავსი, მეორე სართულზე #7 ოთახის წინ მოწყობილი აივანი და სახლზე მიმენებული სათავსები: ლიტერ „გ“, ლიტერ „ც“ და ლიტერ „ბ“, ეცნობა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს შესაბამისი ცვლილებების შეტანის შესახებ სახლთმფლობელობის სააღრიცხვო საქმეში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1996 წლის 28 # 10.36.663 დადგენილების შესაბამისად 1996 წლის 12 ივლისს ქ. თბილისის მერიასა და ფიზიკურ პირებს: ო. შ-შვილს და პ. პ-იას შორის გაფორმდა ხელშეკრულება თბილისში, ... ქ. #60ა-ში მდებარე 1188კვ.მ მიწის ნაკვეთის 25 წლის ვადით იჯარით აღებაზე. ხელშეკრულების 2.1 მუხლით საიჯარო მიწის ნაკვეთის გამოყენების დანიშნულებად განისაზღვრა დაკანონება. მოიჯარეების მიერ გადახდილი იქნა მიწის ნაკვეთით სარგებლობისათვის ერთჯერადი გადასახადი. 1996 წლის 23 ივლისს დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება ო. შ-შვილსა და შპს „ბუტეკ-კლასიკს“ შორის თბილისში, ... ქ. #60ა-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/2-ზე, რომელიც განლაგებული იყო 1188კვ.მ მიწის ნაკვეთზე; ხელშეკრულება რეგისტრირებული იქნა თბილისის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურში.

თბილისის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების 06.09.00 საინვენტარიზაციო გეგმის მიხედვით, თბილისში, ... ქ. #60ა-ში მდებარე 1188კვ.მ მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა ირიცხება პ. პ-იას და შპს „ბუტეკ-კლასიკაზე“, თითოეულზე 1/2-1/2-ის ოდენობით.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დადგენილი იქნა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი იმის შესახებ, რომ პ. პ-იას ო. შ-შვილთან ერთად 1946 წლიდან 1994 წლამდე ფლობდა თბილისში, ... ქ. #60ა-ში მდებარე 1427 კვ.მ მიწის ნაკვეთს.



თბილისის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების 04.05.04. საინვენტარიზაციო გეგმის მიხედვით თბილისში, ... ქ. #60ა-ში მდებარე 1438 კვ.მ მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა ირიცხება პ. პ-იაზე და შპს "ბუტეკ-კლასიკი", თითოეულზე 1/2S-1/2-ის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, თბილისში, ... ქ. #60ა-ში მდებარე სამოსახლო მიწის ნაკვეთის და მასზე განლაგებული საცხოვრებელი სახლის დაკანონების შემდეგ, აღნიშნული (სამოსახლო მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი) წარმოადგენს ერთიან უძრავ ნივთს და შესაბამისად, ერთი უფლების ობიექტს.

ასევე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თბილისში, ... ქ. #60ა-ში მდებარე ერთიან უძრავ ნივთზე მოდავე მხარეებს გააჩნიათ თანასაკუთრება თანაბარი (1/2-1/2) წილობრივი მონაწილეობით, ვინაიდან შეუძლებელია მიწაზე და მის არსებით შემადგენელ ნაწილზე განსხვავებული ოდენობის წილობრივი თანასაკუთრების არსებობა; სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით თბილისში, ... ქ. #60ა-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრეებს წარმოადგენენ პ. პ-ია და შპს "ბუტეკ-კლასიკი", ხოლო აღნიშნული სახლის საკარმიდამო მიწის ნაკვეთი შეადგენს 1438 კვ.მ-ს და შესაბამისად პ. პ-ია და შპს "ბუტეკ-კლასიკი" წარმოადგენენ აღნიშნული მიწის ნაკვეთის კანონიერ მოსარგებლებს, სამოქალაქო კოდექსის 150-ე და 1513-ე მუხლების ძალით აღნიშნული მიწის ნაკვეთი ითვლება მათ თანამესაკუთრებად, რომელშიც თითოეულ მათგანს, მსგავსად ამ მიწის ნაკვეთზე განთავსებული საცხოვრებელი სახლისა, ეკუთვნით თანაბარი 1/2-1/2;

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მიწის ნაკვეთი, რომლიდანაც მოსარჩელე პ. პ-იამ მოითხოვა 1219 კვ.მ-ის ინდივიდუალურ საკუთრებაში გამოყოფას, წარმოადგენს საზიარო უფლების ობიექტს, რის გამოც სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, საზიარო უფლება მხოლოდ ნივთის ნაწილზე გაეუქმებინა და საზიარო მიწის ნაკვეთიდან მოსარჩელისათვის ინდივიდუალურ საკუთრებაში გამოეყო მხოლოდ 1219 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა პ. პ-იას წარმომადგენელმა ა. გ-იამ.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ ფაქტიურად გაიზიარა შეგებებული მოსარჩელის შპს "ბუტეკ-კლასიკის" მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სადავო ურთიერთობები ძირითადად უნდა მოწესრიგდეს სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებით, რომლებიც არეგულირებს მრავალბინიან სახლებში, მესაკუთრეთა ურთიერთობებს, რაც მიაჩნია მცდარად. აღნიშნული სამართლის ნორმები თავისი შინაარსითა და დატვირთვით არის სპეციალური ნორმები, რომლებიც უნდა იყოს გამოყენებული მრავალბინიან სახლებში ისიც მესაკუთრეთა მხოლოდ იდეალური წილის განსაზღვრისათვის. კასატორის განმარტებით სადავო მიწის ნაკვეთი მოდავე მხარეებს ეკუთვნით საერთო წილადი საკუთრების უფლებით და არა საერთო თანაზიარო საკუთრების უფლებით.

კასატორის მოსაზრებით, პ. პ-იასა და შპს "ბუტეკ-კლასიკს შორის საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ღობით არის გადატვირთული. ღობის საზღვრიდან ვაკე-სოლოლაკის გზამდე საკარმიდამო მიწის ნაკვეთს ფლობს და სარგებლობს პ. პ-ია, ეზოს ქვედა ნაწილს ფლობს და სარგებლობს შპს "ბუტეკ-კლასიკი". ამასთან შპს "ბუტეკ-კლასიკი" ფაქტიურად სარგებლობს, როგორც აუცილებელი გზა.

ვინაიდან ორივე მესაკუთრეს საერთო საკუთრებაში გააჩნიათ მატერიალური (რეალური) წილადი საკუთრება, მათი გაყოფისას და მათი წილების დაზუსტებისას უნდა იყოს გამოყენებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც არეგულირებენ სამეზობლო სამართლებრივ ურთიერთობებს. ძირითადი კრიტერიუმები არის ის, რომ ორივე მხარის წილები იზოლირებულია ერთმანეთისაგან, ხოლო მიწის ნაკვეთის საზღვრები გამიჯნულია ღობით. მისასვლელი გზითაც ეკლესიის მხრიდან შპს "ბუტეკ-კლასიკი" სარგებლობს პ. პ-იას ნებით. შესაბამისად უნდა იყოს გამოყენებული ძირითადად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 174-ე, 182-ე მუხლების ნორმები, ანუ სამეზობლო სამართლის ნორმები, რაც არასწორი საფუძვლით უმართებულად იყო იგნორირებული მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივ დაუსაბუთებლობას აფუძნებს სამოქალაქო კოდექსის 954-ე, 963-ე და 150-ე მუხლებს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლო არასწორად განმარტავს მითითებულ ნორმებს. გასაჩივრებულ განჩინებაში არასრულყოფილადაა ციტირებული 954-ე მუხლი. კერძოდ, სასამართლოს მითითებით, საზიარო ნივთზე თითოეულ მონაწილეს ეკუთვნის თანაბარი წილი. ამ ნორ-

მის სრული რედაქცია კი ასეთია: თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, თითოეულ მონაწილეს ეკუთვნის თანაბარი წილი. სასამართლოს მიერ ციტირებული და აქ მითითებული ნორმის სრულ შინაარსს უკავშირდება განსხვავებული სამართლებრივი შედეგები. კერძოდ, პირველი შემთხვევა გამორიცხავს საზიარო უფლების მონაწილეთა არათანაბარ წილს, რაც არასწორია. ასეთი სახით გაყოფა დასაშვებია, თუ სხვა რამ დადგენილი არ არის. აღნიშნული გამორიცხავს ზემოთ მითითებული სახით ნორმის განმარტებას. რაც შეეხება 963-ე მუხლს, აღნიშნული ნორმის თანახმად, საზიარო უფლების გაუქმება შესაძლებელია ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე, თანაბარი წილების განაწილება მონაწილეთა შორის ხდება კენჭისყრით. აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელია ნივთის ნაწილზე გაუქმდეს საზიარო უფლება. იმ შემთხვევაში, თუ საზიარო უფლების საგანი მხოლოდ ნივთის ნაწილია, შესაძლებელია მასზეც გაუქმდეს საზიარო უფლება, თუ აღნიშნული საზიარო საგანი შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე. სააპელაციო სასამართლო ამ მოსაზრებას უკავშირებს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლს, რომლის თანახმადაც, ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი არ შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი.

აღნიშნული დათქმა არ ნიშნავს იმას, რომ მთელ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც განლაგებულია უძრავი ნივთი, უნდა გავრცელდეს იგივე უფლება, რაც მის არსებით შემადგენელ ნაწილზე. არსებითი შემადგენელი ნაწილი არის იმ კონკრეტული მიწის მონაკვეთის შემადგენელი ნაწილი, რომელზეც აღმართულია შენობა, განლაგებული ხეხილი და ა.შ. აგრეთვე, ამ შემადგენელი ნაწილის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ტერიტორია. აღნიშნული ნორმის სააპელაციო სასამართლოსეული გაგება ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვის პრინციპებს. აღნიშნული მოსაზრებით შეუძლებელი იქნებოდა მიწის ნაკვეთის ნაწილის იჯარით გაცემა, იპოთეკით დატვირთვა და ა.შ., ხოლო მიწის ნაკვეთის გარკვეული ნაწილის იპოთეკით დატვირთვით ეს უფლება გავრცელდებოდა მიწის ნაკვეთის მთელ ტერიტორიაზეც და მასზე აღმართულ შენობაზეც, რაც არასწორია.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სამოქალაქო კოდექსის 1153-ე მუხლმა საკუთრებად გამოაცხადა ის მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებია განლაგებული.

აღნიშნული ნორმა გარდამავალი სახისაა და წარმოშობს უფლებას სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე. ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად მიწა, მისი წიაღი, წყალი და ტყე წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებას და გაიცემოდა მხოლოდ სარგებლობისათვის. ამავე კოდექსის 103-ე მუხლის თანახმად, მოქალაქეთა პირადი საკუთრებაში შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ საცხოვრებელი სახლი, ხოლო მიწა, ზემოთ მითითებული ნორმის თანახმად, რჩებოდა სახელმწიფოს საკუთრებაში. ახალმა სამოქალაქო კოდექსმა ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ინდივიდუალური სახლებია განლაგებული გამოაცხადა ამ პირთა საკუთრებად და მათზე გავრცელდა უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები. აღნიშნულიდან გამომდინარე პირთა ერთობლივ კანონიერ სარგებლობაში არსებული სკარმიდამო მიწის ნაკვეთები გამოცხადდა მათ თანასაკუთრებად. პრაქტიკაში უმეტესად ისეთი შემთხვევებია, როდესაც სახლის თანამესაკუთრებელი სარგებლობაში არსებულ მიწებს შეთანხმების საფუძველზე ღობით მიჯნავენ ან სხვა სახის მყარი ნაგებობით, ან ისინი წლების განმავლობაში სარგებლობენ შეთანხმებული მიწის ნაკვეთის ნაწილით. ასეთ შემთხვევაში მათ საკუთრების უფლება წარმოეშვა მიწის ნაკვეთის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც მათ უშუალო სარგებლობაში იყო ამ კოდექსის ამოქმედებამდე და არა მთელს მიწის ნაკვეთზე, რომელიც მიმდგრებული იყო მათ საერთო საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე. ასეთ შემთხვევაში აღნიშნული მიწა ხდება არა თანასაკუთრების, არამედ ამ პირთა დამოუკიდებელი საკუთრების საგანი. ასეთი უფლება ვრცელდება მხოლოდ იმ მიწის ნაკვეთზე, რომლითაც სარგებლობენ ეს პირები, ხოლო მიწა, რომელზეც აღმართულია მათი საცხოვრებელი სახლი, სახლთან ერთად წარმოადგენს მათ მესაკუთრეთა თანასაკუთრებას შესაბამისი წილების მიხედვით.

ამასთან უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლში მითითებული დებულება, რომ საზიარო უფლების გაუქმება შესაძლებელია, თუ საზიარო საგანი დაიყოფა ერთგვაროვან ნაწილებად, არ ნიშნავს, რომ დაყოფა უნდა მოხდეს მხოლოდ ტოლ ნაწილებად, ან ერთი და იგივე ღირებულების ნაკვეთებად. ერთგვაროვნებაში იგულისხმება ნაკვეთთა ერთგვაროვანი ფუნქცია - არიან მათთვის აუცილებელი ერთგვაროვანი სამეურნეო დანიშნულების მატარებელი, ანუ შესაძლებელი იქნება ამ მიწის ნაკვეთით ურთიერთობა სატრანსპორტო და სხვადასხვა კომუნიკაციის საშუალებებთან და ა.შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რეალურად რომელი და რა ფართის მიწის ნაკვეთით სარგებლობენ მხარეები, როგორია ამ მიწით სარგებლობის ხანგრძლივობა და შემდგომში განსაზღვრონ, შესაძლებელია თუ არა ამ მი-

წის ნაკვეთით სარგებლობა. მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენის გარეშე შეუძლებელია შეფასდეს მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი მდგომარეობა.

პალატა თვლის, რომ ზემოთ მითითებულ მიზეზთა გამო გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

პ. პ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;  
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მარტის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას**

**განჩინება**

#ას-809-1024-08 10 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** საერთო საკუთრების უფლების გაუქმება, რეალური წილის გამოყოფა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ე. და ე. მ-ძეებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში მ. მ-ძის მიმართ ქ. ბათუმში, ... ქ.#29-ში მდებარე #2 ბინაზე საერთო საკუთრების გაუქმებისა და რეალური 5/6-ის გამოყოფის შესახებ შემდეგი საფუძვლით: ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილებით სადავო ბინის 5/6 საკუთრების უფლებით ეკუთვნით მოსარჩელეებს, ხოლო 1/6 -მოპასუხეს. მხარეთა შორის არის დამაბული ურთიერთობა, მათი ერთად ცხოვრება შეუძლებელია, რის გამოც მათ უნდა გამოეყოთ საერთო საკუთრების 85 კვ.მ 4-ოთახიანი ბინიდან რეალური წილი. ამასთან, დასაშვებია, რომ ბინის გაყოფისას მ. მ-ძის სასარგებლოდ არ იქნეს დაცული ფართის ზუსტი წილობრივი ოდენობა, ასევე, მოსარჩელემ მოპასუხეს თავისი სახსრებით მოუწყოს სველი წერილები და ცალკე შემოსავლელი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ბინიდან რეალური წილის გამოყოფის წინააღმდეგია.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით ე. და ე. მ-ძეების სარჩელი დაკმაყოფილდა, ქ. ბათუმში, ... ქ.#29-ში მდებარე საერთო საკუთრების #2 ბინა გაიყო რეალურად შპს "აჭარსპეცპროექტის" მიერ საქმეში წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, კერძოდ, მოპასუხეს გამოეყო ბინის შესასვლელიდან მარჯვნივ მდებარე 16,30 კვ.მ ერთი ოთახი და შესასვლელიდან მარცხნივ მდებარე 1,34 კვ.მ, 2,08 კვ.მ შესასვლელი დერეფანი დარჩა საერთო სარგებლობაში, მოსარჩელეს დაევალა გაყოფის შემდგომი რეკონსტრუქციის განხორციელება პროექტის მიხედვით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მ. მ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ქ. ბათუმში, ... ქ.#29-ში მდებარე #2 ბინის ნაწილის მესაკუთრეა ე. მ-ძე, ამავე ბინის 1/3 ეკუთვნის ე. მ-ძეს, ხოლო 1/6 -მ. ჩ-ძეს. მ. ჩ-ძის კუთვნილი 1/6 მიიღო მ. მ-ძემ. 2006 წლის 27 ივნისის ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, იდეალური წილის -1/6-ის მფლობელს ეკუთვნის 8,73 კვ.მ საცხოვრებელი და 5,58 კვ.მ დამხმარე, სულ -14,31 კვ.მ ფართი, ხოლო 5/6-ის მფლობელს ეკუთვნის 43,65 კვ.მ საცხოვრებელი და 27,9 კვ.მ დამხმარე, სულ -71,55 კვ.მ. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნით, რეალუ-

რად სადავო ფართის გაყოფის მხოლოდ ერთი გზა არსებობს, კერძოდ, 1/6-ის მფლობელს უნდა მიეცეს 14,42 კვ.მ #35 ოთახი და შესასვლელი გაუკეთდეს ეზოს მხრიდან, სველი წერტილების მოწყობა კი შეიძლება #35 ოთახში ერთ მხარეს მისი გადატიხვრის შედეგად. შპს "აჭარსპეცპროექტის" მიერ შედგენილი პროექტის მიხედვით, ბინის შესასვლელიდან მარჯვნივ მდებარეობს 16,30 კვ.მ, ხოლო მარცხნივ -1,34 კვ.მ ოთახები, რომლებიც გამოეყო მ. მ-მეს, 2,08 კვ.მ შესასვლელი დერეფანი კი დარჩა საერთო სარგებლობაში. რეკონსტრუქციის ხარჯები დაეკისრა მოსარჩელეს. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის პირველი ნაწილით, 963-ე მუხლის პირველი წინადადებით და გაიზიარა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახული მსჯელობა, რომ სადავო ბინა შპს "აჭარსპეცპროექტის" მიერ შედგენილი პროექტის მიხედვით მართებულად გაიყო, ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტით სწორადაა განსაზღვრული სადავო ფართის გაყოფის წესი და სხვაგვარად წილის გაყოფა შეუძლებელია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე სასამართლომ დაუსაბუთებლად ჩათვალა აპელანტის მოსაზრება დამატებითი ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე და მიიჩნია, რომ საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზისა და შპს "აჭარსპეცპროექტის" დასკვნები კატეგორიულია და დასახელებული ნორმით გათვალისწინებული დამატებითი ექსპერტიზის ჩატარების წინაპირობები მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მ. მ-მემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლი, როდესაც უარი უთხრა კასატორს ექსპერტიზის დანიშვნაზე. ამ დროს სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ საქმეში წარმოდგენილია ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის ექსპერტიზის დასკვნა, კერძოდ, 2006 წლის 27 ივნისის ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით შესასვლელი კარის გამიჯვნა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთი შესასვლელი კარი გაკეთდება ეზოს მხრიდან, ხოლო მეორე, ცენტრალური კარი დარჩება უცვლელად. შპს "აჭარსპეცპროექტის" დასკვნით კი დგინდება, რომ შესასვლელი კარის გამიჯვნა შესაძლებელია, თუ ერთი შესასვლელი კარი გაკეთდება ეზოს მხრიდან, შესასვლელი დარჩება საერთო სარგებლობაში, მოწინააღმდეგე მხარის კარი გაკეთდება შიგნით, ხოლო არსებული საერთო შესასვლელი კარი კი - შეიცვლება ლითონის დასაკეცი გისოსიანი კარით. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ექსპერტიზის დასკვნებში ასახული ბინის გეგმის მონაცემები ინდივიდუალური საბინაო ფონდის საცხოვრებელი სახლის ტექნიკური პასპორტის მონაცემებს არ ემთხვევა. სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა შპს "აჭარსპეცპროექტის" დასკვნის საფუძველზე კასატორის კუთვნილი წილის რეკონსტრუქცია, ვინაიდან მ. მ-მისათვის გამოყოფილ ფართში არ არის შექმნილი საცხოვრებელი პირობები და სამზარეულოსა და სააბაზანოს მოწყობისთვის ფართი არ რჩება. ასევე მიუღებელია საერთო შესასვლელისა და გისოსებიანი კარის არსებობაც, ვინაიდან კასატორისათვის განკუთვნილი ოთახიდან საპირფარეშომდე გასავლელია საერთო დერეფანი, რომელიც გისოსებიანი კარის მიღმა სადარბაზოში გამვლელთაგან ვიზუალურად დაცული არ არის. სააპელაციო სასამართლოს სადავო ფართი იმდაგვარად უნდა გაეყო, რომ მოწინააღმდეგე მხარეს თავისი შესასვლელი გაეკეთებინა ეზოს მხრიდან, რაც 2006 წლის 27 მარტის ექსპერტიზის დასკვნითაც შესაძლებელია, ხოლო კასატორი ისარგებლებდა ცენტრალური შესასვლელი კარით და ამ კართან არსებულ დერეფანში მოიწყობდა სამზარეულოსა და აბაზანას. სასამართლომ სადავო ბინიდან წილის გაყოფისას არასწორად მიიჩნია, რომ მ. მ-მეს ეკუთვნის სახლის 1/6, ვინაიდან კასატორს, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეს, ეკუთვნოდა უძრავი ნივთის 1/2. ამდენად, სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 1310-ე, 1307-ე, 1337-ე, 1450-ე, 1424-ე, 1515-ე, 312-ე, 125-ე მუხლები, 129-ე მუხლის მესამე ნაწილი და საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის თებერვლის #107 დადგენილების მე-7 მუხლი. ამდენად, საქმეზე უნდა ჩატარდეს ახალი ექსპერტიზა, სადაც სწორედ და ობიექტურად იქნება ასახული საქმის ფაქტობრივი გარემოებანი და სადავო ნივთი იმგვარად გაიყოფა, რომ მოსარჩელემ თავისი შესასვლელი კარი გააკეთოს ეზოს მხრიდან, კასატორი ისარგებლებს ცენტრალური შემოსასვლელი კარით და ამ კართან არსებულ დერეფანში მოიწყობს სველ წერტილებს. აღნიშნულით მ. მ-მეს შესაძლებლობა მიეცემა, ისარგებლოს კუთვნილი ფართით და თავიდან აირიდოს ე. მ-მის შეურაცხყოფის ფაქტები.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-მის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

საკასაციო სასამართლო გასაჩივრებულ განჩინებას ამოწმებს რა საკასაციო საჩივრის ფარგლებში (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404.1), მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება კანონის დაცვითაა გამოტანილი, კერძოდ:

მოცემულ საქმეზე დადგენილია რა, რომ მ. მ-მის წილი საზიარო უფლებაში წარმოადგენს უძრავი ნივთის -საცხოვრებელი სახლის 1/6-ს, ხოლო ე. მ-მის -5/6-ს, სააპელაციო სასამართლომ სავსებით სწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 961-ე და 963-ე მუხლები, რომელთა მიხედვით, თითოეულ მოწილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება. საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე, სადავო საზიარო საგნის შესაკუთრეთა წილისდა მიხედვით ერთგვაროვან ნაწილებად გაყოფის შესაძლებლობა ღირებულების შემცირების გარეშე დადასტურებულია ექსპერტიზის დასკვნით. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სწორად დააფუძნა თავისი გადაწყვეტილება ექსპერტის დასკვნას.

დაუსაბუთებელია კასატორის მითითება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლის დარღვევის თაობაზე. აღნიშნული ნორმით კანონი ითვალისწინებს დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნას მხოლოდ ზუსტად განსაზღვრული პირობების არსებობისას, კერძოდ, დამატებითი ექსპერტიზა დაინიშნება, თუ ექსპერტის დასკვნა არ არის სრული ან გაურკვეველია, ხოლო განმეორებითი ექსპერტიზა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო არ ეთანხმება ექსპერტის დასკვნას დაუსაბუთებლობის მოტივით, აგრეთვე, თუ რამდენიმე ექსპერტის დასკვნა ეწინააღმდეგება ერთმანეთს. საგულისხმოა, რომ ორივე -განმეორებითი და დამატებითი ექსპერტიზის დანიშვნა ხდება სასამართლოს ინიციატივით. წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის მიმართ არასათანადოობის გამო ხელახალი ექსპერტის დასკვნის დანიშვნის აუცილებლობა საქმის განმხილველი სასამართლოს მხრიდან არ დადგენილია და ამგვარი გარემოების არსებობა არც კასატორს დაუსაბუთებია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს ამავე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ მტკიცებულებათა გამოყენების გზით. ამავე კოდექსის 162-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილის მიხედვით, მხარეებს შეუძლიათ, სასამართლოსაგან დამოუკიდებლად უზრუნველყონ ექსპერტიზის ჩატარება და ექსპერტის დასკვნა წარადგინონ სასამართლოში. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, მხარეს შესაძლებლობა აქვს მაქსიმალურად დაიცვას თავისი უფლებები საქმის განხილვისას და წარადგინოს მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამაბათილებელი მტკიცებულება. კანონით მინიჭებულ უფლებათა რეალიზაცია მხარეს აძლევს საშუალებას, დაასაბუთოს თავისი პოზიციის სისწორე და ჯეროვნად დაიცვას სადავოდ გამხდარი უფლება. საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებათა გამოუყენებლობა იწვევს მხარის თუნდაც რეალურად დარღვეული კანონიერი უფლების დაცვის შეუძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში მ. მ-მეს მითითებული კანონიერი უფლებები საქმის პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოში განხილვისას არ გამოუყენებია, შესაბამისად, მ. მ-მის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები ექსპერტიზის დასკვნის უსწორობაზე რაიმე მტკიცებულებით არ დასტურდება, რის გამოც საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია.

მიზანშეუწონელია საკასაციო საჩივრის არგუმენტის გაზიარება, რომ სასამართლოს განჩინებით გამოყენებული ექსპერტიზის დასკვნით ბინის რეკონსტრუქციის ვარიანტი კასატორისათვის მიუღებელია, რადგან მისთვის გამოყოფილ ფართში არ არის შექმნილი არანაირი საცხოვრებელი პირობები. როგორც ზემოთ აღნიშნა, მ. მ-მეს საზიარო უფლებაში განსაზღვრული აქვს 1/6. ექსპერტის დასკვნით, სადავო ფართიდან რეალურად მას განესაზღვრა თავის წილზე მეტი ფართი, კერძოდ, ნაცვლად 14,31 კვ.მ-ისა, 16,30 კვ.მ. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას სამზარეულოსა და აბაზანის მოწყობის თაობაზე, აღნიშნული ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან კასატორმა გასაჩივრებული განჩინებით იმაზე მეტი ფართი მიიღო, ვიდრე მას ეკუთვნოდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცობის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინებით მ. მ-მის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად და კასატორი გათავისუფლდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის "მ" ქვეპუნტის საფუძველზე. სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან კასატორის გათავისუფლებას კანონის ზემოხსენებული დანაწესი არასწორად დაედო საფუძვლად, ვინაიდან იგი ითვალისწინებს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ინვალიდი პირის გათავისუფლებას. მოცემულ შემთხვევაში მ. მ-მის ინვალიდობის ფაქტი არ დასტურდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები (კასატორის ოჯახის წევრების -მეუღლისა და შვილის ინვალიდობა, უმუშევრობა საკმარის საფუძველს წარმოადგენს იმ გარემოების დასადგენად, რომ კასატორს სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესაძლებლობა არა აქვს, რის გამოც იგი უნდა გათავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

მ. მ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

მ. მ-მე გათავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის დაკისრებისაგან ქონებრივი მდგომარეობის გამო. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას**

**განჩინება**

#ას-669-999-07

24 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

**დავის საგანი:** საცხოვრებელი სახლიდან და მიწის ნაკვეთიდან წილის რეალურად გამოყოფა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ჟ. ქ-იანმა სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე კ. დ-შვილის მიმართ და მოითხოვა ქ. ქუთაისში, ... ქ. #27-ში მდებარე საცხოვრებელი სახლიდან და მიწის ნაკვეთიდან წილის რეალურად გამოყოფა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ მის სახელზე ირიცხება ქ. ქუთაისში, ... ქ. #27-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 3/4, ხოლო 1/4 მისი გარდაცვლილი მეუღლის სახელზეა რეგისტრირებული, რომლის ფაქტობრივი მფლობელია მოსარჩელის გერი კ. დ-შვილი.

ჟ. ქ-იანის განმარტებით, მოპასუხე ფაქტობრივად ფლობს თითო 30.52 კვ.მ-იან 2 ოთახს ზემირკვლის სართულში 9,90 კვ.მ უნებართვოდ მიშენებულ ოთახებს, 10,29 კვ.მ ერთ ოთახს. საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე მოპასუხეს დაკავებული აქვს 32,76 კვ.მ ოთახი, რომლის 17 კვ.მ-ს იყენებს შესასვლელად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის მითითებით, მოპასუხე ფაქტობრივად ფლობს სულ 70,28 კვ.მ-ს, რაც 32,65 კვ.მ-ით აღემატება მის კუთვნილ 1/4-ს.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ საცხოვრებელი ფართი მას და მოპასუხეს შორის რეალურად გაყოფილი არ არის, რის გამოც, ხშირია უთანხმოება, როგორც საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართით, ასევე საერთო ეზოთი სარგებლობისას. მისივე განმარტებით, საერთო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან, 254 კვ.მ მოსარჩელის საკუთრებაა, ხოლო 112 კვ.მ მოსარჩელისა და მოპასუხის თანასაკუთრებას წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საერთო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლიდან თავისი 3/4-ის რეალური გამოყოფა და მიწის ნაკვეთიდან რეალური წილის

გამოყოფა იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს საერთო საკუთრებაში მყოფი 112 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან გამოყოფილი 3/4-ის მიერთება მის საკუთრებაში არსებულ 254 კვ.მ მიწის ნაკვეთთან.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით ჯ. ქ-იანის სარჩელი კ. დ-შვილის მიმართ საცხოვრებელი სახლიდან და საერთო საკუთრების ეზოდან მისი კუთვნილი წილის გამოყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა კ. დ-შვილმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ივლისის განჩინებით კ. დ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა კ. დ-შვილმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 1 თებერვლის განჩინებით კ. დ-შვილის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენით.

2008 წლის 5 მარტს კ. დ-შვილის მეუღლე ნ. დ-შვილმა შუამდგომლობით მიმართა საკასაციო პალატას, სადაც მიუთითა, რომ 2007 წლის 31 დეკემბერს გარდაიცვალა მისი მეუღლე კ. დ-შვილი. ნ. დ-შვილმა განცხადებით მოითხოვა საქმის წარმოების შეჩერება აწ გარდაცვლილ კ. დ-შვილის უფლებამონაცვლის დადგენამდე (წარმოდგენილია კ. დ-შვილის გარდაცვალებისა და ქორწინების მოწმობების ასლები).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მარტის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, მოცემულ საქმეზე შეჩერდა საქმის წარმოება კ. დ-შვილის უფლებამონაცვლის დადგენამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მაისის განჩინებით განახლდა კ. დ-შვილის საკასაციო საჩივრის განხილვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინებით აწ გარდაცვლილ კ. დ-შვილის უფლებამონაცვლედ საქმის განხილვაში ჩაერთო ნ. დ-შვილი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც, სსსკ-ის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რაც უკავშირდება მტკიცების საგნის განსაზღვრას, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ არ განსაზღვრა, თუ კონკრეტულად რა ფართობის სადავო საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთზე ვრცელდება მოსარჩელის საკუთრების უფლება, კერძოდ, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საკასაციო საჩივართ გასაჩივრებულ საქმის წარმოების შეჩერებაზე უარის თქმის განჩინებასა და ექსპერტიზის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე. ორივე განჩინება დაუსაბუთებელია. აღნიშნული განჩინებებიდან არ ირკვევა უარის თქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რაც შეუძლებელს ხდის ამ განჩინებების სამართლებრივი მხარის შემოწმებას.

საკასაციო საჩივრის ანალიზი გვადლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ კასატორი სადავოდ ხდის არა იდეალურ წილებს, არამედ -მის შესაბამისობას რეალურ წილებთან. საქმის წარმოების შეჩერების შესახებ მხარის შუამდგომლობის განხილვისას სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა ერთ შემთხვევაში იმ მატერიალურ-სამართლებრივ შედეგზე, რაც მოჰყვებოდა მოპასუხის მიერ ადმინისტრაციული წესით რეესტრის მონაცემების წინააღმდეგ შეტანილ საჩივარს, ხოლო მეორე შემთხვევაში იმ პროცესუალურ-სამართლებრივი საშუალებებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ტიპის შუამდგომლობების აღძვრას (სსსკ-ის 215-ე და 279-ე მუხლები).

აღნიშნული სამართლებრივი შედეგების ანალიზის შემდეგ (როდესაც დავას ასევე იწვევს მოთხოვნის საფუძველი -საჯარო რეესტრის მონაცემების სისწორე) შესაძლებელი იქნებოდა, ზუსტად განსაზღვრულიყო ექსპერტიზის ობიექტი და, აქედან გამომდინარე, ექსპერტიზის დასკვნის მართებულობა. მხოლოდ ამის შემდეგ დადგებოდა საკითხი ახალი ექსპერტიზის დანიშვნისა ან და არ დანიშვნის შესახებ.

საკასაციო სასამართლო ვერ მიიღებს კასატორის მიერ წარმოდგენილ 2007 წლის 3 აგვისტოს საჯარო რეესტრის ამონაწერს, რადგან საკასაციო ინსტანცია არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო, არამედ ყურადღებას აქცევს კასატორის ახსნა-განმარტებას, რომლის თანახმად, აღნიშნული ამონაწერი წარმოადგენს საჯარო რეესტრში მის მიერ შეტანილი საჩივრის განხილვის შედეგს, რის გამოც იგი ითხოვდა საქმის წარმოების შეჩერებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა შეფასება მისცეს აღნიშნულ საჯარო რეესტრის ამონაწერს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მივა იმ დასკვნამდე, რომ მოპასუხეს გააჩნდა საპატიო მიზეზი, სააპელაციო სასამართლოში აღედრა შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ. მხოლოდ ამის შემდეგ სასამართლო შეძლებს გადაწყვიტოს ექსპერტიზის ხელშეწყობა და დანიშნის საკითხი.

მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლოს აზრით, იმ შემთხვევაშიც, თუ გაზიარებული იყო 2004 წლის საჯარო რეესტრის მონაცემების, სააპელაციო სასამართლოს მაინც არ უმსჯელია საქმისათვის აუცილებელ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ჯ. ქ-იანი სარჩელით ითხოვდა ქ. ქუთაისში, ... ქ. #27-ში მდებარე საცხოვრებელი სახლიდან და მიწის ნაკვეთიდან მის საკუთრებაში არსებული წილის რეალურად გამოყოფას. აღნიშნული მოთხოვნას იგი ხსნიდა იმით, რომ მითითებული საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი არ არის მხარეთა შორის იზოლირებულად გამოყოფილი, რაც მას უშლის მის საკუთრებაში არსებული წილით სარგებლობაში.

საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორი წარმოადგენს აწ გარდაცვლილი კ. დ-შვილის უფლებამონაცვლეს, რომელიც საქმეში მონაწილეობდა მოპასუხედ. კ. დ-შვილი იყო დ. დ-შვილის შვილი და მოსარჩელე ჯ. ქ-იანის გერი. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, რაც დადგენილი იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, სადავო საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა ჯ. ქ-იანისა და მისი აწ გარდაცვლილი მეუღლის დ. დ-შვილის და არა მისი გერის -კ. დ-შვილის თანასაკუთრებას. მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში არაა სადავო კ. დ-შვილს, შესაბამისად, მის უფლებამონაცვლეს ეკუთვნის თუ არა საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის წილზე საკუთრება. უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტობრივად მოსარჩელე ითხოვს თავის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლიდან და მიწის ნაკვეთიდან რეალური 3/4-ის გამოყოფას, ხოლო 1/4-ში, რომელიც, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით ეკუთვნოდა საკუთრების უფლებით აწ გარდაცვლილ მის მეუღლეს -დ. დ-შვილს, იგი გულისხმობს კ. დ-შვილის მფლობელობაში არსებულ ფართს, რაზედაც იგი პრეტენზიას არ აცხადებს. ამრიგად, მოსარჩელე ითხოვს საზიარო საგანის ნატურით გამოყოფას, მაგრამ ისმის კითხვა: წარმოადგენს თუ არა სადავო საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი საზიარო საგანს? პასუხის გასაცემად კი საჭიროა, დაზუსტდეს, ამ საგანზე მხარეებს გააჩნიათ თუ არა საზიარო უფლება.

ამ დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო კოდექსით მოცემული საზიარო უფლებების ინსტიტუტს, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 953-ე მუხლით განსაზღვრულია საზიარო სამართლებრივი ურთიერთობების ცნება, რომლის თანახმად, თუ უფლება რამდენიმე პირს ერთდროულად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება ამ თავის წესები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. კონკრეტულ შემთხვევაში იგულისხმება ერთგვაროვანი უფლებები, როდესაც საზიარო საგანი (საგნები) რამდენიმე პირს ერთდროულად ეკუთვნის თანასაკუთრებაში ან თანამფლობელობაში.

ამდენად, საქმე ეხება თანასაკუთრებას ან თანამფლობელობას.

იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე სადავოდ არ ხდის მისი მეუღლის საკუთრებაში არსებულ წილზე მოპასუხის უფლებას, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნულ ურთიერთობაზე უნდა გავრცელდეს საზიარო უფლებების მარეგულირებელი ნორმები. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მოსარჩელე ჯ. ქ-იანი ითხოვს მის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის რეალური წილის გამოყოფას, და ამასთან ერთად, პრეტენზია არ გააჩნია იმაზე, რომ მისი მეუღლის -დ. დ-შვილის საკუთრებაში არსებული წილი გამოეყოს მის გერს -კ. დ-შვილს (მის უფლებამონაცვლეს -ნ. დ-შვილს). ამდენად, აღნიშნული მოთხოვნით უქმდება საზიარო უფლება, რომელიც მას გააჩნდა მეუღლესთან და რომლის მიღების უფლებას კ. დ-შვილი უფლებამონაცვლის მიერ იგი სადავოდ არ ხდის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი, რომლის თანახმად საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლო არ მსჯელობს განსახილველი ნორმის შესაბამისად იმ ფაქტობრივი გარემოებების არსებობა-არარსებობაზე, რაც გავლენას ახდენს



სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმებაზე, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი მიუთითებს ორ აუცილებელ ფაქტორზე, რომელთა არსებობა იწვევს ამ ნორმით გათვალისწინებულ იურიდიულ შედეგს. საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში: 1) თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; 2) მათი დაყოფა შესაძლებელია ღირებულების შემცირების გარეშე. როგორც პირველი, ასევე მეორე ელემენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ დადგეს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგი. განსახილველი დავასთან მიმართებაში, როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ ის, რომ ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ის ასრულებდა გაყოფამდე, ე.ი. არ უნდა წაერთვას ის ფუნქცია და მნიშვნელობა, რასაც იგი ასრულებდა მესაკუთრისათვის.

ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა ზუსტად განსაზღვროს, თუ რამდენი კვადრატული მეტრის მესაკუთრეა მოსარჩელე, კონკრეტულად რა რაოდენობის ფართზე ამხვილებს ყურადღებას მესაკუთრე; რამდენად შესაძლებელია საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის ნატურით გაყოფა მათი დანიშნულების შემცირების გარეშე.

ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს, მოსარჩელის საკუთრებაში არსებული წილი რამდენად შეესაბამება, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით მოსარჩელესათვის გამოყოფილ წილს, ე.ი. დასადგენია, ხომ არ გამოეყო მოსარჩელეს მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე მეტი.

#### **სარეზულუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

ნ. დ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;  
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ივლისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **წილთა თანაფარდობა**

##### **განჩინება**

#ას-179-506-09

22 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),**

**თ. თოდრია (მომხსენებელი),**

**რ. ნადირიანი**

**დავის საგანი:** საზიარო უფლების გაუქმება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 16 ივნისს თ. ს-მემ სარჩელით მიმართა სასამართლოს ა. რ-მის მიმართ და მხარეთა შორის სასაზღვრე მიჯნის დადგენა და მის საკუთრებაში გამოყოფილი მიწის ნაკვეთის სარგებლობაში ხელშეშლის აღკვეთა მოითხოვა. მოსარჩელემ მიუთითა, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. #36-ში 2000 წლის 2 მაისს მოსარჩელემ გ. და დ. ა-ძეებისგან საკუთრების უფლებით შეიძინა 708 კვ. მ მიწის ნაკვეთზე არსებული სახლთმფლობელობის 6/11, ხოლო ამავე მისამართზე მოპასუხე ა. რ-მეს საკუთრებაში გააჩნია სახლთმფლობელობის 5/11. აღნიშნულ მისამართზე მხარეების საკუთრებაში არსებული დასახელებული წილები დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. მხარეთა საერთო საკუთრებაშია ამავე მისამართზე 708 კვ. მ მიწის ნაკვეთი, რომლის გაყოფაზე მხარეები ვერ შეთანხმდნენ.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ქ. ბათუმში, ... ქ. #36-ში მდებარე საერთო საკუთრებაში არსებულ 708 კვ. მიწის ნაკვეთზე საზიარო საკუთრების გაუქმება, თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან მისთვის 6/11 რეალურად გა-

მოყოფა, მხარეთა შორის სასაზღვრე მიჯნის დადგენა და მის საკუთრებაში გამოყოფილი მიწის ნაკვეთის სარგებლობაში ხელშეშლის აღკვეთა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით თ. ს-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა -ქ. ბათუმში, ... ქ. #36-38-ში მდებარე მხარეთა საერთო საკუთრებაში არსებული 708 კვ. მ მიწის ნაკვეთზე საზიარო საკუთრება გაუქმდა და მოსარჩელე თ. ს-ძეს აღნიშნული მიწის ნაკვეთიდან ინდივიდუალურ საკუთრებაში რეალურად გამოეყო 6/11-ის შესატყვისი 386,19 კვ.მ მიწის ნაკვეთი; დადგინდა, რომ მისი გამიჯვნა მოპასუხე ა. რ-ძის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან უნდა მოხდეს საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნაზე თანდართული სქემა-ნახაზის "ა" ვარიანტის შესაბამისად.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. რ-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. რ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, თ. ს-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ქ. ბათუმში, ... ქ. #36-38-ში მდებარე მხარეთა საერთო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე გაუქმდა საზიარო უფლება, თ. ს-ძეს აღნიშნულ მიწის ნაკვეთიდან ინდივიდუალურ საკუთრებაში რეალურად გამოეყო მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული, იზოლირებულად შემოსაზღვრული 266 კვ. მ მიწის ნაკვეთი. ა. რ-ძეს ინდივიდუალურ საკუთრებაში გამოეყო მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული, იზოლირებულად შემოსაზღვრული 485 კვ. მ მიწის ნაკვეთი, ნაკვეთებს შორის საზღვრად მიჩნეულ იქნა უკვე არსებული მიჯნა.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, მიუთითა, რომ 2008 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, ქ. ბათუმში, ... ქ. #36-ში, 708 კვ. მ მიწის ნაკვეთი ირიცხებოდა მხარეთა საერთო საკუთრებაში. 2003 წლის მარტის მდგომარეობით გაცემული საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, თ. ს-ძის საკუთრებად აღრიცხულია ... ქ. #36-38-ში არსებული სახლთმფლობელობის 6/11, ხოლო ა. რ-ძის საკუთრებად -5/11. მოსარჩელის მიერ აღნიშნულ მისამართზე სახლთმფლობელობის ნაწილი, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, შეძენილია 2002 წლის 2 მაისს, ვ., გ. და დ. ა-ძეებისგან.

პალატამ დადგენილად ცნო, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. #36-ში მდებარე მიწის ნაკვეთი დაუზუსტებელი მონაცემებით შეადგენს 708 კვ. მ-ს და ა. რ-ძისა და თ. ს-ძის საერთო საკუთრებაა; აღნიშნულ მისამართზე 96, 29 კვ. მ შენობა-ნაგებობა, ავტოსადგომი -25, 8 კვ.მ, დამხმარე ლიტ „უ“, „ს“ ა. რ-ძის, ხოლო 112, 13 კვ. მ შენობა-ნაგებობა თ. ს-ძის საკუთრებაა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ ჯერ კიდევ 1990 წლისთვის თ. ს-ძის წინამორბედ მესაკუთრესა და ა. რ-ძეს შორის განსაზღვრული იყო საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის წესი, ათეული წლების განმავლობაში ფაქტობრივად გაყოფილი იყო საზიარო ქონება და ნაკვეთებს შორის გავლებული იყო მყარი სასაზღვრო მიჯნა, საზიარო მიწით სარგებლობის ეს წესი გამოყენებულ უნდა იქნეს წინა მესაკუთრის უფლებამონაცვლის - თ. ს-ძის მიმართაც.

სააპელაციო პალატამ ასევე, მიუთითა, რომ, ვინაიდან ქ. ბათუმში, ... ქ. #36-ში მხარეთა საერთო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი შეესაბამება საჯარო რეესტრში დაფიქსირებულ საზღვრებს და აზომვის შედეგად, ფაქტობრივად, დაზუსტებული მონაცემია 750 კვ.მ. ამასთან, სახლთმფლობელობა გაყოფილია ორ ნაწილად, რომლის ერთი ნაწილი, იზოლირებულად შემოსაზღვრული 485 კვ.მ, ა. რ-ძის კუთვნილებაა, ხოლო მეორე, ასევე იზოლირებულად შემოსაზღვრული, 266 კვ.მ თ. ს-ძის კუთვნილებაა და მიწის ნაკვეთებს გააჩნიათ დამოუკიდებელი შესასვლელები ეზოებში, პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელე თ. ს-ძეს, აღნიშნული მიწის ნაკვეთიდან ინდივიდუალურად საკუთრებაში რეალურად უნდა გამოეყო არა მიწის ნაკვეთის 6/11, არამედ -ძის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული, იზოლირებულად შემოსაზღვრული 266 კვ. მ მიწის ნაკვეთი; ა. რ-ძეს ინდივიდუალურ საკუთრებაში უნდა გამოეყო არა მიწის ნაკვეთის 1/5, არამედ მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული, იზოლირებულად შემოსაზღვრული 485 კვ. მ მიწის ნაკვეთი,

სააპელაციო პალატამ მიუთითა, ვინაიდან გარკვეულია ნაკვეთებს შორის საზღვარი და გავლებულია მიჯნა, სამოქალაქო კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ნაკვეთებს შორის საზღვრად მიჩნეულ უნდა იქნეს უკვე არსებული მიჯნა.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა თ. ს-ძემ. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა კანონი რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის I და II ნაწილები.

კასატორმა მიუთითა, რომ ყოფილი ტექნიურის მონაცემებში, ტექპასპორტში, 200 წლის 27 აპრილის ცნობა-დახასიათებაში, მისი საკუთრების საფუძვლად მითითებულია 1991 წლის 17 დეკემბრის #380 გადაწყვეტილება და 1992 წლის 10 აპრილის ექსპლოატაციაში მიღების აქტი, რომლის მიხედვითაც ექსპლოატაციაში მიიღეს და საკუთრებაში დაუკანონდა 96,29 კვ. მ-ის გარდა, დამატებით პირველ სართულზე მდებარე 25,8 კვ. მ შენობა-ნაგებობანი და ეზოში მდებარე ლიტ "ყ" დამხმარე სათავსები. კასატორის მოსაზრებით, სწორედ ფართობის დაუზუსტებლობით საერთო საკუთრებაში შემცირდა მისი წილი, რაც არ გაითვალისწინა სასამართლომ.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მოთხოვნა, კერძოდ, სასამართლომ მოპასუხეს მიაკუთვნა იმაზე მეტი, რაც მას არ მოუთხოვია. სააპელაციო პალატა ასეთ გადაწყვეტილებამდე მივიდა 2008 წლის 24 ივლისის სანიჟინო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, რაც არასწორია, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლომ საჯარო რეესტრის მონაცემებითა და ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე განახორციელა საზიარო მიწის ნაკვეთის გაყოფა წილების მიხედვით, რაც სამართლიანია.

სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ მხარეებს შორის საზღვარი დადგენილია, რაც უნდა იქნეს მიჩნეული საზიარო ქონების გამყოფად. კასატორი არ იზიარებს სასამართლოს ამგვარ მოსაზრებას და მიუთითებს, რომ მხარეებს შორის დავის საგანია საზიარო ქონების წილების მიხედვით გაყოფა. მხარეებს შორის საზიარო ქონების სარგებლობის წესი დარღვეულია და სასამართლოს სწორედ ამაზე უნდა ემსჯელა ან საზიარო ქონება უნდა გაეყო მხარეთა შორის არსებული წილების მიხედვით ან თანაბარ წილად, რასაც ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 954-ე მუხლი.

კასატორის აზრით, სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თ.ს-ძის კუთვნილ მიწის ნაკვეთს გააჩნია დამოუკიდებელი შესასვლელი ეზოში, არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან მას გააჩნია მხოლოდ ვიწრო საცალფეხო შესასვლელი, ხოლო წილების სწორად განაწილების შემთხვევაში მას მიეცემა შესაძლებლობა, ჰქონდეს ნორმალური შესასვლელი სახლში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, საკასაციო საჩივარი, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ, სასამართლო საინჟინო-ტექნიკური ექსპერტიზის 2008 წლის 1 სექტემბრის #1568/5 დასკვნის თანახმად, დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო მიწა ნაცვლად 708 კვ.მ-ისა, ფაქტობრივად 750 კვ.მ-ია. სახლთმფლობელობა გაყოფილია ორ ნაწილად, რომლის ერთი ნაწილი -იზოლირებულად შემოსაზღვრულია 485 კვ.მ ა. რ-ძის კუთვნილებათა, აგრეთვე, იზოლირებულად შემოსაზღვრულია 266 კვ.მ და თ. ს-ძის კუთვნილებათა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მოდავე მხარეებს შორის გავლებულია ბეტონის მიჯნა, რაზედაც აღმართულია მავთულბადის ღობე ჯერ კიდევ წინამორბედი მესაკუთრეების მიერ.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ჯერ კიდევ 1990 წლისათვის, თ. ს-ძის წინამორბედი მესაკუთრესა და ა. რ-ძეს შორის განისაზღვრა საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის წესი, ათეული წლების მანძილზე გაიყო საზიარო ქონება და ნაკვეთებს შორის გავლებული იყო მყარი სასაზღვრო მიჯნა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 953-ე მუხლის თანახმად, თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება ამ თავის წესები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

უდავო ფაქტია, რომ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი საზიარო საკუთრების უფლებით ეკუთვნის ორივე მხარეს.

ამასთან ერთად საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით მიწის ნაკვეთზე წილები მხარეთა შორის არ არის განაწილებული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 954-ე მუხლის თანახმად, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის დადგენილი, თითოეულ მონაწილეს ეკუთვნის თანაბარი წილი.

განსახილველი ნორმის თანახმად, წილების განაწილების თანაბრობის პრინციპი არ არსებობს მაშინ, თუ დადგენილია წილის კუთვნილების სპეციალური წესი, რაც შეიძლება განსაზღვრული იყოს კანონით ან მხარეთა (ან მათი წინამორბედი მესაკუთრეების) შორის დადებული ხელშეკრულებით.

კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო უთითებს იმ გარემოებაზე, რომ ჯერ კიდევ 1990 წლისათვის, თ. ს-მის წინამორბედ მესაკუთრესა და ა. რ-მეს შორის განსაზღვრული იყო საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის წესი, ათეული წლების მანძილზე დაიყო საზიარო ქონება და ნაკვეთებს შორის გავლებული იყო მყარი სასაზღვრო ბეტონის მიჯნა, რაზედაც აღმართულია მავთულბადის ღობე ჯერ კიდევ წინამორბედი მესაკუთრეების მიერ. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული გარემოება მიუთითებს საზიარო უფლების მესაკუთრეთა მიერ სპეციალური შეთანხმების არსებობაზე.

აღნიშნული გარემოების საწინააღმდეგოდ კასატორს არა აქვს შემოტანილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რაც მიუთითებდა იმაზე, რომ წინამორბედი მესაკუთრეების მიერ ათეული წლების მანძილზე არ გაყოფილა საზიარო ქონება და ნაკვეთებს შორის გაივლო მყარი სასაზღვრო ბეტონის მიჯნა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 954-ე მუხლის თანახმად, მიწის ნაკვეთზე საზიარო უფლება უნდა გაიყოს მხარეთა შორის ფაქტობრივად არსებული წესის შესახებ შეთანხმების მიხედვით.

კასატორმა აღნიშნა, რომ ა. რ-მის წარმომადგენელმა განაცხადა და ოქმში დაფიქსირებულია, რომ ა. რ-მის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთი 369 კვ.მ-ია, ხოლო თ. ს-მის -338 კვ.მ. სააპელაციო სასამართლომ კი ა. რ-მეს საზიარო უძრავი ნაკვეთიდან საკუთრებაში გამოუყო 485 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ხოლო თ. ს-მეს -266 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რითაც დაირღვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი.

ამასთან მიმართებაში საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლო სხდომის ოქმში ა. რ-მის წარმომადგენელი უთითებს, რომ ისინი თანახმა არიან, მათ დარჩეთ ის, რასაც რეალურად ფლობენ საზღვრის შეუცვლელად.

აღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელობა ენიჭება მხარის დამოკიდებულებას სასაზღვრო მიჯნის აღებასთან დაკავშირებით, ხოლო სასაზღვრო მიჯნით გამოყოფილი მიწის ნაკვეთის მოცულობა, რაც მოითხოვს სპეციალური ცოდნას, დადგენილია სასამართლო საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის 2008 წლის 1 სექტემბრის #1568/5 დასკვნით, რაც წარმოადგენს საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ერთ-ერთ საფუძველს.

ამდენად, საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

თ. ს-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **9. უსაფუძვლო გამდიდრება**

**ვითომ კრედიტორისაგან მოთხოვნის საფუძველები; უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები**

## განჩინება

#ას-1104-1259-08

30 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი,  
თ. თოდრია

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება, ზიანის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით შპს „პატრიონის“ სარჩელი დაკმაყოფილდა. შპს „საქართველოს რკინიგზას“ შპს „პატრიოტის“ სასარგებლოდ დაეკისრა 48622.21 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა შპს „საქართველოს რკინიგზამ“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს „პატრიოტსა“ და შპს „საქართველოს რკინიგზას“ შორის 2006 წლის 25 ივლისს დაიდო ხელშეკრულება #შს/06-244 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომლითაც შპს „პატრიოტმა“ იკისრა ვალდებულება, შპს „საქართველოს რკინიგზისათვის“ მიეწოდებინა 94010 აშშ დოლარის ღირებულების საგეთი მასალა-ინდუსტრიული ზეთი #-40.

2006 წლის 18 აგვისტოს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის თანახმად თბილისის მახარისხებელ სალოკომოტივო სამმართველოში შპს „პატრიოტმა“ შეიტანა ორი ვაგონისტერნა #73005423 და #74043274 ინდუსტრიული ზეთი #-40, საერთო რაოდენობით 134250 ლიტრი, 119859 კგ. აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს შპს „პატრიოტის დირექტორი ზ. ს-შვილი და თბილისის მახარისხებელ სალოკომოტივო სამმართველოს წამყვანი თბიონჩინერი.

აღნიშნულ ფაქტზე გამოიწერა ორი ანგარიშგაქტურა (სერია ას #083007 და #083008).

შპს „საქართველოს რკინიგზამ“ მიიღო იმაზე მეტი ზეთი, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მან გადაიხადა მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული 79000 კგ-ს საფასური, ხოლო დამატებით მიღებული 40859 კგ-ს ღირებულება არ გადაუხდია.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ დადასტურებულ იქნა მათ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე მეტი რაოდენობის ზეთის მიღება და რომ მათ მიერ გადახდილია მხოლოდ 2006 წლის 25 ივლისის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობის ზეთის საფასური.

პალატამ მიიჩნია, რომ შპს „საქართველოს რკინიგზას“ არგუმენტი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე, არ იყო უფლებამოსილი, მიეღო იმაზე მეტი რაოდენობის ზეთი, რაც ხელშეკრულებაში იყო მითითებული, არ ცვლის გარიგების შინაარსს და მოთხოვნის საფუძველს კერძო სამართლებრივ ურთიერთობაში და აღნიშნული გარემოება შეიძლება იყოს სახელმწიფოს მხრიდან შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ სხვა მოთხოვნის საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ოქტომბრის განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა შპს „საქართველოს რკინიგზამ“.

კასატორის განმარტებით, შპს „პატრიონის“ მიერ შპს „საქართველოს რკინიგზისათვის“ საქონლის მიწოდება განხორციელდა არა 2006 წლის 25 ივლისის ხელშეკრულებით, როგორც მოსარჩელე აცხადებს, არამედ მანამდე, ანუ 2006 წლის 18 ივნისს, რასაც ადასტურებს შპს „პატრიოტის“ მიერ წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც თარიღდება 18 ივნისით.

კასატორი ასევე განმარტავს, რომ, შპს „საქართველოს რკინიგზა“ 100%-იანი სახელმწიფო წილობრივი საკუთრებაა და ამ ოდენობის თანხაზე ხელშეკრულების გარეშე არაუფლებამოსილი იყო, მიეღო საქონელი. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის თანახმად ამ კანონის მოქმედება ვრცელდება იმ საწარმოებზე, რომლის საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. ამავე კანონის მე-2 მუხლი განსაზღვრავს კანონის მიზანს -სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის შესახებ. გამომდინარე აქედან, შპს „საქართველოს რკინიგზა“

აღნიშნულ მიწოდებას არ ცნობს და მიაჩნია, რომ სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს.

კასატორის აზრით, მიღება-ჩაბარების აქტები, რომელიც სასამართლომ მიიჩნია კონკრეტული გარემოებების დამადასტურებელ სარწმუნო წერილობით მტკიცებულებებად, აქტებს შპს „საქართველოს რკინიგზის“ მხრიდან ხელს აწერს თბოინჟინერი, ხოლო, მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის თანახმად, საზოგადოების წარმომადგენლობის უფლებამოსილება ენიჭება საზოგადოების დირექტორს. ამავე კანონის თანახმად, საზოგადოების დირექტორს უფლება აქვს, წარმომადგენლობა მიანიჭოს სხვა პირს. მოცემულ შემთხვევაში უფლებამოსილება მინიჭებული ჰქონდა ინფრასტრუქტურის დირექტორს ი. ჭ-ძეს, რასაც ადასტურებს მათ მიერ წარმოდგენილი 2006 წლის 18 მაისის მინდობილობა. ე.ი. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელი უნდა მოეწერა ინფრასტრუქტურის დირექტორს და არა თბოინჟინერს. გამომდინარე აქედან, სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელზე უარის თქმა

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებანი იმის თაობაზე, რომ შპს „საქართველოს რკინიგზამ“ მიიღო იმაზე მეტი ზეთი, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული და მას დამატებით მიღებული ზეთის ღირებულება არ გადაუხდია.

აღნიშნული გარემოებას შპს „საქართველოს რკინიგზა“ უარყოფს იმ არგუმენტით, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება დადებულია 2006 წლის 25 ივლისს, მიღება-ჩაბარების აქტი კი თარიღდება 18 ივნისით და შეუძლებელია საქონლის მიწოდება მომხდარიყო ხელშეკრულების დადებამდე. საკასაციო პალატა აღნიშნულთან დაკავშირებით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ თარიღი მითითებულია არასწორად, რაც უნდა ჩაითვალოს მექანიკურ შეცდომად, რადგან აქტის შინაარსიდან ნათლად ჩანს, რომ იგი შედგენილია 2006 წლის 18 აგვისტოს, ამასთან ანგარიშ-ფაქტურებიც შედგენილია იმავე თარიღით.

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ შპს „საქართველოს რკინიგზა“ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე არ იყო უფლებამოსილი მიეღო იმაზე მეტი ზეთი ვიდრე იგი მითითებულია ხელშეკრულებაში. ასეთი ქონების მიღება-არმიღების ფაქტი შეიძლება უარყოფილი იქნეს არა კანონით და ნორმატიული აქტით, არამედ მტკიცებულებით, რომლითაც გაქარწყლდება ეს ფაქტობრივი გარემოება.

პალატა ვერ გაიზიარებს იმ არგუმენტსაც, რომ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელი მოწერილი აქვს არაუფლებამოსილ პირს მოცემულ შემთხვევაში აქტს ხელს აწერს რკინიგზის თანამშრომელი თბოინჟინერი და თუნდაც იგი იყოს არაუფლებამოსილი ამით არ იცვლება ის ფაქტი, რომ რკინიგზამ მიიღო ზეთი იმაზე მეტი ოდენობით, ვიდრე ხელშეკრულებით უნდა მიეღო მას.

აღნიშნული გარემოების უარსაყოფად არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კასატორის ის არგუმენტიც, რომ ხელშეკრულების თანახმად ხელშეკრულებაში ცვლილება დაუშვებელია მხარეთა მიერ წერილობითი შესწორების გარეშე და იგი უნდა დაერთოს ხელშეკრულებას დანართის სახით. სადავოდ არაა გამხდარი ის გარემოება, რომ შპს „საქართველოს რკინიგზამ“ მიიღო საქონელი, რომელიც არ იყო გათვალისწინებული ხელშეკრულებით. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ რადგან ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული და კანონიც უკრძალავს ასეთი ხელშეკრულების დადებას, არ მომხდარა ასეთი გარემოება როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, შპს „საქართველოს რკინიგზამ“ პროდუქცია მიიღო ხელშეკრულების გარეშე. ასეთ შემთხვევას კი კანონი (სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი) გადაცემულის უკან დაბრუნებას უკავშირებს. სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კი თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის გამო, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს მისი საერთო ღირებულება. ვინაიდან დღეისათვის ზეთი გახარჯულია, შპს „საქართველოს რკინიგზა“ ვალდებულია, გადაიხადოს მიღებული საქონლის ღირებულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა თვლის, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად უნდა დარჩას

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა :**

შპს "საქართველოს რკინიგზის" საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის 2008 წლის 2 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელი.  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ვითომ კრედიტორისაგან მოთხოვნის საფუძვლები**

**განჩინება**

#ას-839-1053-08

4 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),**  
**რ. ნადირიანი (მომხსენებელი),**  
**თ. თოდრია**

**დავის საგანი:** უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული თანხის დაბრუნება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 27 თებერვალს ქ. ქუთაისის მერიამ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე სს "უნივერსალური ბირჟა რიონის" მიმართ უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე, მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 99488 ლარის დაკისრება.

სს "უნივერსალური ბირჟა რიონმა" სარჩელი არ ცნო ხანდაზმულობის გამო და თავის მხრივ შეგებებული სარჩელი აღძრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ქ. ქუთაისის მერიის მიმართ და მოითხოვა მერიის სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტა, მატერიალური ზიანის 3333 ლარის ანაზღაურება და მისთვის მიყენებული მორალური ზიანისათვის ქუთაისის მერიისათვის პრესისა და ტელევიზიის საშუალების ბოდიშის მოხდის დავალდებულება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის პირველი აპრილის გადაწყვეტილებით ქ. ქუთაისის ადგილობრივი თვითმართვლობის აღმასრულებელი ორგანოს – მერიის სარჩელი სს "უნივერსალური ბირჟა რიონის" მიმართ უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე თანხის გამოთხოვის შესახებ დაკმაყოფილდა, სს "უნივერსალურ ბირჟა რიონს" მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 99488 ლარის გადახდა, მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა ზაჟის გადახდა 2984,64 ლარის ოდენობით. სს "უნივერსალური ბირჟა რიონის" შეგებებული სარჩელი ქ. ქუთაისის მერიის სარჩელზე წარმოების შეწყვეტის, ქ. ქუთაისის მერიისათვის მის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის ანაზღაურებისათვის 3333 ლარის დაკისრებისა და მორალური ზიანისათვის პრესისა და ტელევიზიის საშუალებით მისთვის ბოდიშის მოხდის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს "უნივერსალურმა ბირჟა რიონმა", მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის პირველი აგვისტოს განჩინებით სს "უნივერსალური ბირჟა რიონის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის პირველი აპრილის გადაწყვეტილება. ქ. ქუთაისის მერიის შუამდგომლობა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის პირველი აპრილის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ. ქუთაისის მერიის 1996 წლის 30 სექტემბრის #625 განკარგულებით სს "უნივერსალურ ბირჟა რიონს" კუთვნილი შენობის სანაცვლოდ გადაეცა ყოფილი მაღაზია "ბავშვთა სამყაროს" შენობის ნაწილი და აღნიშნული შენობების ღირებულებათა სხვაობამ, რომელიც დადგენილ იქნა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ბიუროს "კომუნპროექტის" წარმომადგენელ თ. ქ-იას და სხვათა მიერ, სს "უნივერსალური ბირჟა რიონის" კუთვნილ შენობაში ჩატარებული სამუშაოების მოცულობისა და ღირებულების გათვალისწინებით, შეადგინა 63000 ლარი, სააქციო საზოგადოების შენობის ღირე-

ბუღალტრული განისაზღვრა 249805 აშშ დოლარით, ხოლო ყოფილი მალაზიის –“ბავშვთა სამყაროს” ლირებულება კი 140072 აშშ დოლარით;

ქ. ქუთაისის მერიის 1996 წლის 30 სექტემბრის #625 განკარგულებით, ზემოაღნიშნულ ფასთან სხვაობა -63000 ლარი ქ. ქუთაისის მთავრობას სს “უნივერსალური ბირჟა რიონისათვის” უნდა გადაეხადა 1996 წლის ბოლომდე, რაზედაც მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება გადახდის პირობებთან დაკავშირებით. პირობის დარღვევის შემთხვევაში, ქ. ქუთაისის მერიას სს “უნივერსალური ბირჟა რიონისათვის” ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე უნდა გადაეხადა გადასარიცხი თანხის 0,2%;

ქ. ქუთაისის მერიამ საზოგადოებას 1996 წლის 31 დეკემბრიდან 2002 წლის 28 სექტემბრამდე გადაურიცხა 107000 ლარი, მათ შორის, ძირითადი თანხა -63000 ლარი დაფარა 2001 წლის 21 დეკემბრისათვის, ხოლო 2002 წელს გადაურიცხა საურავების სახით დარიცხული 44000 ლარი.

მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ქ. ქუთაისის მერიის განკარგულება, რომლითაც მათ შორის უძრავი ქონების გაცვლა მოხდა;

სასამართლო საქმეში არსებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის 2004 წლის 6 აგვისტოს #358/18 და იმავე წლის 24 აგვისტოს #406/15 ცნობებით დადგენილად მიიჩნია, რომ შენობათა გაცვლის მომენტში სს “უნივერსალური ბირჟა რიონის” კუთვნილი შენობის რეალური ღირებულება შეადგენდა არა 249805 აშშ დოლარს, არამედ -194303 აშშ დოლარს, ხოლო ყოფილი მალაზიის “ბავშვთა სამყაროს” შენობის ნაწილის ღირებულება კი 188341 აშშ დოლარს და არა 140072 აშშ დოლარს. შესაბამისად, ქუთაისის რეგიონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატის ექსპერტიზის ბიუროს 2006 წლის პირველი სექტემბრის #688-ე დასკვნის თანახმად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ქუთაისის მერიას სს “უნივერსალური ბირჟა რიონისათვის” ზედმეტად გადახდილი ჰქონდა 99488 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ 99488 ლარის გადახდის ვალდებულება ქ. ქუთაისის მერიას არ გააჩნდა და მისი გადახდა გამოწვეული იყო აწ გარდაცვლილი თ. ქ-ის მიერ ქონების არასწორი შეფასებით, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სს “უნივერსალური ბირჟა რიონის” მხრიდან ადგილი ჰქონდა უსაფუძვლო გამდიდრებას;

სააპელაციო სასამართლომ განჩინების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის “ა” ქვეპუნქტი.

საქმეში არსებული 2006 წლის 26 დეკემბრის დადგენილების მიხედვით, რომლითაც შეწყდა წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისაცემი პირის თ. ქ-ის გარდაცვალების გამო, დადასტურებულ იქნა, რომ ქ. ქუთაისის მერიას ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სს “უნივერსალური ბირჟა რიონის” სასარგებლოდ 1996 წლის 31 დეკემბრიდან 2002 წლის 28 სექტემბრამდე პერიოდში უკანონოდ ჰქონდა გადაურიცხული 99488 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა სს “უნივერსალური ბირჟა რიონის” წარმომადგენლის მოსაზრება სასარგებლო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. პალატამ მიუთითა, რომ საქმის მასალების მიხედვით, უფლების დარღვევის შესახებ ქ. ქუთაისის მერიამ შეიტყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის 2004 წლის 6 აგვისტოსა და იმავე წლის 24 აგვისტოს ცნობების შემდეგ, ხოლო სარჩელი აღძრა 2007 წლის 27 თებერვალს, შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 129-ე-130-ე მუხლების თანახმად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით საზოგადოების მოსაზრება უსაფუძვლო იყო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის პირველი აგვისტოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს “უნივერსალურმა ბირჟა რიონმა”, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ქ. ქუთაისის მერიის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და მათი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, სასამართლომ ქუთაისის მერიის სარჩელი ისე დააკმაყოფილა, რომ სარცელს არ ახლად არანაირი მტკიცებულება, რომელიც სს “უნივერსალური ბირჟა რიონის” მხრიდან უსაფუძვლო გადიდრებას დაადასტურებდა;

კასატორის აზრით, სასამართლომ განჩინების გამოტანისას არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი, ვინაიდან როგორც თავად აღნიშნა, მხარეები ქუთაისის მერიის 1996 წლის 30 სექტემბრის #625 განკარგულებას სადავოდ არ მიიჩნევდნენ, შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული 63000 ლარის გადახდა მერიის მხრიდან სს “უნივერსალური ბირჟა რიონის” სასარგებლოდ მოხდა ნამდვილი გარიგების საფუძველზე;



კასატორი საეჭვოდ მიიჩნევს იმ გარემოებასაც, რომ შემფასებელი კომისიის 11 წევრიდან პასუხისგებაში მხოლოდ გარდაცვლილი თ. ქ-ია იქნა მიცემული, ხოლო კომისიის ცოცხალი წევრები არავის დაუკითხავს, შესაბამისად, კასატორი გაუგებრად თვლის იმის მტკიცებას, რომ შენობების ღირებულებები არასწორად იქნა დაანგარიშებული.

გარდა ამისა, კასატორის აზრით, გარიგება ხელშემკვრელ მხარეებს შორი იდება თავისუფლად და მერიის მიერ დანიშნული კომისიის შეფასებას მნიშვნელობა ჰქონდა თავად აღმასრულებელი ორგანოსათვის, მაგრამ, ვინაიდან სს „უნივერსალური ბირჟა რიონი“ თავად წყვეტდა, თუ რა ღირებულების სანაცვლოდ უნდა დეთმო თავისი კუთვნილი შენობა, არასწორ შეფასებასა და უსაფუძვლო გამდიდრებაზე მსჯელობა სასამართლოს მიერ, ყოველგვარ სამართებრივ და ფაქტობრივ საფუძველს იყო მოკლებული.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 59-ე, 72-ე და 79-ე მუხლები და გამოიყენა კანონი, რომელის არ უნდა გამოეყენებინა, მაშინ, როდესაც ხანდაზმულად არ მიიჩნია, მერიის დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო სასარჩელო მოთხოვნა, რაც საფუძველი გახდა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანისა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ სს „უნივერსალური ბირჟა რიონის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პირს, რომელმაც სხვა ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში.

უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების უპირველესი ფუნქციაა კრედიტორის ადრინდელ ქონებრივ მდგომარეობაში აღდგენის სამართლებრივი უზრუნველყოფა ქონების უსაფუძვლოდ შეძენა ნიშნავს შემძენის ქონების გაზრდას სხვა პირის ხარჯზე კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძველების გარეშე. სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი შეიცავს სხვის თვის გადაცემული ქონების უკან დაბრუნების საფუძველების ჩამონათვალს, კერძოდ ქონების უკან გამოთხოვა შესაძლებელია თუ ვალდებულება ფაქტობრივად არ არსებობს ან გარიგება გაბათილებულია და არარსებულად ითვლება ან არსებობდა, მაგრამ შემდგომში შეწყდა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ქუთაისის მერიის მოთხოვნის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველების განხილვისას სააპელაციო სასამართლოს უნდა შეემოწმებინა, არსებობდა თუ არა ყველა ის სამართლებრივი წინაპირობა, რომელიც აუცილებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის გამოყენებისათვის. სააპელაციო სასამართლომ კი, ერთი მხრივ, აღნიშნა, რომ ქუთაისის მერიამ 1996 წლის 30 სექტემბრის ხელშეკრულების საფუძველზე გადაუხადა მოპასუხეს თანხა, ხოლო, მეორე მხრივ, დაადგინა, რომ ქუთაისის მერიას თანხის გადახდის ვალდებულება არ გააჩნდა. აღნიშნული დასკვნები ურთიერთგამომრიცხავია და იმდენად დაუსაბუთებელია გადაწყვეტილება აღნიშნულ ნაწილში, რომ მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება შეუძლებელია.

რაც შეეხება სს „უნივერსალური ბირჟა რიონის“ შეგებულ სარჩელს, სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ ნაწილში საერთოდ არ განუხილავს სააპელაციო საჩივარი, შესაბამისად ამ მიმართებითაც შეუძლებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს ზემოთ აღნიშნული მითითებების გათვალისწინებით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

სააქციო საზოგადოება „უნივერსალური ბირჟა რიონის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

გაუქმდეს ამ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 1 აგვისტოს განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას;

სასამართლო ხარჯები განისაზღვროს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.